



Nana M. Machavariani

Vocabulary of Fauna in Abkhazian

(A semantic-structural analysis)

2023

ნანა მაჭავარიანი

ფაუნის ლექსიკა აფხაზურში
(სემანტიკურ-სტრუქტურული
ანალიზი)

2023

ნაშრომის მიზანია აფხაზური ენის ფაუნის ადმნიშვნელი ლექსიკის, რაც შეიძლება, სრული ასახვა; თითოეული სახელდების მოტივის დადგენა, სახელწოდებების სისტემატიზაცია სემანტიკურ-სტრუქტურული თვალსაზრისით; ლექსიკის ნასესხები ნაწილის გამოყოფა აფხაზური ენის საფუძველზე შექმნილ სახელწოდებათაგან; აფხაზურ ენაში ფაუნის ლექსიკის სტრუქტურული მოდელების გამოყოფა, მათში მეტყველების სხვადასხვა ნაწილთა, თუ მორფემათა გამოვლენა და შეძლებისდაგვარად ახსნა.

ნაშრომში აღწერილი და რეკონსტრუირებულია ფაუნის ლექსიკის შექმნისა და ჩამოყალიბების მოდელები, მოცემულია ზოგიერთი სახელწოდების ეტიმოლოგიური ანალიზი.

ფაუნის ლექსიკაში ასე თუ ისე აისახება ეთნოსის საცხოვრებელი გარემოც. კვლევის შედეგები აფხაზთა ისტორიული საცხოვრისის ზოგად შტრიხებში განსაზღვრის საშუალებასაც იძლევა.

წიგნი ერთგვარად წარმოადგენს ჩვენი ადრინდელი მონოგრაფიის „მცენარეთა ლექსიკა აფხაზურში (სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი)“ ლოგიკურ გაგრძელებას. იმდენად, რამდენადაც მცენარეების სახელწოდებათა მონოგრაფიული შესწავლის შემდგომ ჩვენ განვაგრძეთ მუშაობა ფაუნის ლექსიკის შესასწავლად.

წიგნის შესავალი ნაწილიც, საკითხის გარშემო არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვაც, მცირედი ცვლილებებით, არსებითად ისეთივეა, როგორც „მცენარეთა ლექსიკის“ შესახებ მონოგრაფიაში.

ნაკვლევი გამოადგებათ იბერიულ-კავკასიური ენების, კერძოდ აფხაზურ-ადიღური ენების ფონეტიკის, მორფოლოგიისა და ლექსიკის მკვლევარ ენათმეცნიერებს, აფხაზთა პირველსაცხოვრისის განსაზღვრით დაინტერესებულ ეთნოგრაფებსა და ისტორიკოსებს.

ხელს შეუწყობს აფხაზური ენის ლექსიკის მკვლევრებს თეორიული თუ პრაქტიკული სახელმძღვანელოების, ეტიმოლოგიური და იდეოგრაფიული ლექსიკონების შედგენაში.

რედაქტორი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **მ. ჩუხუა**

კომპიუტერული უზრუნველყოფა – **რ. პაპიაშვილისა**

ფოტო ყდაზე – **ლევან ახმეტელისა**

ISBN

წიგნი ეძღვნება ჩემი მასწავლებლის,
აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის
ნათელ ხსოვნას.

შესავალი

ფაუნის ლექსიკა წარმოიშობა საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე, როგორც ენის განუყოფელი ნაწილი.

გარემომცველი ფაუნის სახელწოდებები ადამიანმა მრავალი ათასეული წლის წინ შექმნა.

უწინარეს ყოვლისა წიგნთა წიგნი – ბიბლია გვამცნობს, რომ ადამის მიერ ცხოველთა სახელდება, ჯერ კიდევ ედემის ბაღში ყოფნისას მოხდა, მაშინ როდესაც... „გამოსახა უფალმა ღმერთმა მიწისაგან ველის ყველა ცხოველი და ცის ყველა ფრინველი და მიჰგვარა ადამს, რომ ენახა, რას დაარქმევდა. რომელ სულდგმულს რას დაარქმევდა ადამი, მისი სახელიც ის იქნებოდა“ (დაბადება, 2).

ბიბლიაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ენის შექმნაში (... ცხოველთა, მცენარეთა და ადამიანის გარემომცველ მოვლენათა სახელდებაში) შემოქმედი არ ჩარეულა და ეს საქმე ადამიანთა მოდგმას მიანდო.*

„თუკი მითოსი თავის საზრისს ურიცხვი წარმოდგენებისა და სიმბოლოების მიღმა მალავს, ფილოსოფიის ამოცანა მისი გამჟღავნებაა“, – აღნიშნავდა ერნსტ კასირერი (ჯორბენამე 1997: 46).

ნებისმიერ სოციალურ მოვლენაში, მათ შორის ენაში, ანდა მისი წარმოშობის საიდუმლოში, შესაძლოა მითოსური და ისტორიული თანაარსებობდეს. მითოსური, ხომ სიმბოლოებად გარდაქმნილი გარესამყაროა და, ხშირად რეალურად არსებულ ისტორიულ ფაქტებს ასახავს.

ცნობილია, რომ მთელი სამყაროსა და ადამიანის შექმნის

* ცხადია, აქ არ იგულისხმება მეტყველების უნარი, რომელიც ღმერთმა მიანიჭა ადამიანს.

შესახებ ბიბლია საგულისხმო ცნობებს შეიცავს, ასევე ანგარიშგასაწევია ენის ანთროპოლოგიური წარმოშობის თაობაზე ბიბლიაში დაცული ცნობაც.

თუ ადამიანი და მისი გარემომცველი სამყარო ღმერთის შექმნილია, ენა თავად ადამიანის აზროვნების შედეგად მიღებული ფენომენია.

არ არის ძნელი წარმოსადგენი რამდენაირ ცვლილებას განიცდიდა თითოეული ლექსიკური ერთეული, ვიდრე ჩვენამდე იმ სახით მოაღწევდა, რა სახეც დღეს აქვს.

ენის ლექსიკური ფონდის ერთ-ერთი ყველაზე უძველესი უბანი სწორედ ფაუნის ლექსიკაა.

სხვადასხვა ენაზე მეტყველი ადამიანი თავისი თვალთახედვის კვალობაზე ნათლავს ამა თუ იმ ცხოველს, ფრინველს, მწერს. ამიტომაცაა, რომ ენის მსოფლხედვა, ერის მენტალობა... მკაფიოდ გამოსჭვივის ენის ლექსიკური ფონდის ამა თუ იმ ნაწილის შემადგენლობაშიც, ისევე როგორც მთლიანად ენაში.

ენობრივ ერთობებს, ხომ ერთიმეორისაგან, სწორედ აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის სხვადასხვაგვარი მიდგომა განასხვავებს.

როგორ აღიქვამდა სხვადასხვა საგანს, მოვლენას, გრძნობას... და რა ნიშნის მიხედვით არქმევდა სახელს ჩვენი მოდემის წინაპარი... აი საკითხები, რომლითაც კაცობრიობა ძალიან დიდი ხნის წინათ დაინტერესდა.

მას შემდეგ, რაც ადამიანმა დაიწყო კულტურული განვითარება, შექმნა რელიგია, ანბანი, წიგნი... დაიწყო დაკვირვება თავის ენაზეც.

ადამიანი დაინტერესდა ასახავდა თუ არა საგნის სახელწოდება საგნის რაიმე ნიშან-თვისებას... თუ ნებისმიერად ერქმეოდა სახელი ამა თუ იმ საგანს, უბრალოდ იმიტომ, რომ სახელი ყოფილიყო საგნის სხვათაგან განმასხვავებელი ნიშანი.

აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთობის პრობლემა დღემდე მნიშვნელოვანი საკითხია ენათმეცნიერებაში.

ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში ჩამოყალიბდა საკმაოდ ცნობილი ფიუსეი და თესეი თეორიები. ფიუსეი გულისხმობს,

რომ ნებისმიერ საგანს სახელწოდება თავისი ბუნების მიხედვით აქვს მინიჭებული. თესვი მიიჩნევს, რომ ურთიერთმიმართება საგანსა და მის აღმნიშვნელ სახელს შორის პირობითია.

„ენობრივი ნიშანი ფიზიკურია, ფუნქცია სოციალური.

ნიშანი, რა მასალისაც არ უნდა იყოს, იმდენადაა ნიშანი, რამდენადაც რაღაც სხვაზე მიუთითებს, რაღაც სხვის მაუწყებელია... ენობრივი ნიშანიც ნიშნის ამ ზოგად თვისებას იზიარებს.

ფიზიკური ფაქტი, რომელსაც აქვს ურთიერთობის საშუალების ფუნქცია, კომუნიკაციის სოციალური ფუნქცია, – ასეთია ენობრივი ნიშანი“ (ჩიქობავა 1983: 183-185).

„აღმნიშვნელი (ნიშანი) მიმართებაშია აღსანიშნთან. ამ მიმართების ცოდნა აქვს მთქმელსაცა და მსმენელსაც...

სიტყვა პირობითი ნიშანია საგნისა და მეტი არაფერი. ნიშანი არა ჰგავს არაფრით აღსანიშნს.

მნიშვნელობა ესაა მიმართება აღსანიშნისადმი, მნიშვნელობის საფუძველი სინამდვილის ფაქტია.

ყოველი სიტყვა წარმოადგენს თავისთავად ფარულ განზოგადებას, ყოველი სიტყვა უკვე აზოგადებს, და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სიტყვის მნიშვნელობა, პირველ ყოვლისა, განზოგადებაა.

სიტყვაა ის საშუალება, რომელიც კერძოთი იწყებს და ზოგადის აღმნიშვნელი ხდება“ – აღნიშნავს არნ. ჩიქობავა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში (ჩიქობავა 1983: 187-196).

ენობრივი ნიშანი არნ. ჩიქობავასათვის პირობითია, მაგრამ პირობითობა არ გამორიცხავს ნიშნის მოტივაციას.

„ეტიმოლოგიურ ძიებას შეუძლია მრავალ შემთხვევაში აღადგინოს დროთა ვითარებაში გაუჩინარებული მოტივაცია. ამის მიხედვით უნდა გაკეთდეს ზოგადი დასკვნა: ყველა სიტყვას უნდა ჰქონოდა მოტივაცია – გარდა იმ ლექსიკური მარაგისა, რომელიც მეტყველების თავდაპირველ მარაგს შეადგენდა და საფიქრებელია, ცალკე სიტყვა კი არ იყო, არამედ თავისი ფუნქციით მთელ ფრაზას უდრიდა“.

და შემდეგ: „ამ შემთხვევაშიც პირობითობა ძალაში დარჩება, რადგან: პირობითობა გაიზომება ნიშნის მიმართებით აღსა-

ნიშნისადმი, მოტივაციას კი საფუძვლად უდევს თვით ამ პირობით ნიშანთა ურთიერთობა.

ნიშნის მოტივაცია მის პირობითობას არ გამორიცხავს იმიტომ, რომ ეს მოტივაცია გულისხმობს სხვა ნიშნებისადმი აპელაციას, ხოლო არც ერთი ნიშანი არც ამჟამად და არც წარსულში აღსანიშნით განსაზღვრული არ ყოფილა (ჩიქობავა 1983: 199).

„მიმართებას ნიშანსა და აღსანიშნს შორის კოლექტივის საჩქვია აქვს. ეს მიმართება თაობათა ტრადიციას ემყარება“ – განაგრძობს არნ. ჩიქობავა (ჩიქობავა 1983: 202).

და ბოლოს: „ყოველი ენა ასახავს სინამდვილეს, მაგრამ არა ერთნაირად. სინამდვილის მოვლენები, მათი კავშირი თავისებური სახით დაჩნდება სხვადასხვა ენაში. ერთ შემთხვევაში აღსანიშნის ერთი მხარეა ამოსავალი, მეორეში – სხვა... აღსანიშნთა შორის ურთიერთობა ერთგან ასეა წარმოდგენილი, სხვაგან – სხვაგვარად.

დებულება: ყოველი ენა **მსოფლმხედველობააო**, სწორია იმ გაგებით, რომ ყოველ ენაში, როგორც ნიშანთა თავისებურს სისტემაში, **სინამდვილე** (აღსანიშნი) მეტ-ნაკლების ნაირნაირობითაა წარმოდგენილი (ასახული) (ჩიქობავა 1983: 299).

არნ. ჩიქობავას მოსაზრება იმის შესახებ, რომ ყოველი ენა სინამდვილეს თავისებური სახით ასახავს, ეხმიანება „ლინგვისტური ჰუმანიზმის“ იდეას, რომლის მიხედვითაც ენა თანამონაწილეობს შემეცნების პროცესში – გარდაქმნას **სინამდვილის ფაქტი** ცნობიერების ობიექტად (რამიშვილი 1995: 9).

ამ მხრივ საინტერესოა „**ენობრივი შუაფენის**“ შესახებ გამოთქმული მოსაზრება, რომელიც ვ. ჰუმბოლდტს ეკუთვნის: „ენა არის ისეთი ნამდვილი რეალობა, რომელიც საგნებსა და ადამიანს შორის არის ჩასმული. ამ რეალობით ხდება სამყაროს აზრებად გარდაქმნა, რის გამოც ენა არის არა უბრალო გამტარი, არხი, მესამე სივრცითი რეალობა... იგი არ არის ეკვივალენტი საგნისა, არამედ თვალსაზრისის მის შესახებ.

... ინდივიდი, მოაზრებული ენობრივი სოციუმის წევრად, ჩართულია იმ დიდი ამოცანის განხორციელებაში, რასაც საგანთა ენობრივ-შინაარსობრივი საშუალებებით მოტანის ამოცანა გუ-

ლისხმობს. ეს არ არის ენის პასიური გამოყენება, ან მისი აზგერება და ამეტყველება მხოლოდ ურთიერთობის დამყარების, მხოლოდ კომუნიკაციის მიზნით, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არა მეტყველ ინდივიდთა უბრალო საკრებულოსთან, არამედ – ადამიანთა ისეთ ისტორიულ ერთობასთან, რომელიც ათეულ თუ ასეულ საუკუნეთა მანძილზე ჩართულია სასიცოცხლო გარემოს ენობრივი დაუფლების მრავალნაირ პროცესში.

ამ ვეებერთელა სამუშაოს ასრულებს არსებითად გონითი ერთეულები, მნიშვნელობები ანუ ენობრივი შინაარსები, რომლებიც ენობრივი სოციუმის წევრებს ეძლევა მემკვიდრეობით, მაგრამ არა პასიურად, ვთქვათ, ქონების, კაპიტალის სახით, არამედ როგორც „ცოდნა“, ძალა, შესაძლებლობები, როგორც საგანთხედვის წესი. ეს არის პირველყოვლისა, ლ. ვაისგერბერისებურად რომ ვთქვათ:

1. ლექსიკა, სიტყვანი, სადაც ათიათასობით მოქმედ ერთეულს – სიტყვას – გადაჰყავს სინამდვილის მოვლენები ენობრივში, რათა გადააქციოს ისინი ცნობიერების ობიექტად.

2. სიტყვაწარმოების სისტემა, სადაც ფუძე-სიტყვებში სამყაროს უკვე განხორციელებულ გასიტყვებას მივყავართ ახალი მნიშვნელობებისაკენ, რომელთა მიმართულებაც ნაჩვენებია გამოცდილების თავდაპირველი ლინგვისტური ორგანიზაციით. ისინი მიგვითითებენ ახალ სფეროებზე და სისტემატურად აფართოებენ შესაძლებელ ახალ მნიშვნელობათა წრეს (რამიშვილი 1995: 13).

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ფაუნის ლექსიკა აფხაზურ-ადილურ ენებში. ფაუნის სახელწოდებების მნიშვნელოვანი ნაწილი თვალნათლივ აჩვენებს, თუ როგორ ყალიბდებოდა ათასწლეულების მანძილზე უკვე განხორციელებული (შექმნილი) სიტყვებისაგან მრავალი ახალი სიტყვა, რომელიც თანდათან ფეხს იკიდებდა ენის ლექსიკური ფონდის ძირითად ნაწილში და ზოგჯერ საფუძვლად ედებოდა მეზობელ ენაში სიტყვის ახალწარმოებასაც კი.

ჩვენი ნაშრომის ერთ-ერთი მიზანია აფხაზური ენის შიდა-აზრის ჩვენება, რათა შეძლებისდაგვარად ნათელვყოთ აფხაზურ-

რი ენის მსოფლხედვა ფაუნის ლექსიკის მაგალითზე.

შიდააზრის ცნება უფრო მრავლის მომცველია, ვიდრე უბრალოდ სიტყვის მნიშვნელობა / სემანტიკა, რადგან შიდააზრში აისახება უპირველესად ინდივიდის, სუბიექტის, სოციუმის წევრის პოზიცია გარკვეული ხილული თუ უხილავი სამყაროს მიმართ.

შიდააზრთან ერთად საინტერესოდ გამოიყურება თითოეული ლექსემის აგების **სტრუქტურული მოდელი**, რაც სიტყვათქმნადობის პროცესის განუყოფელი ნაწილია.

სახელდების რა მოტივია გამოყენებული ამა თუ იმ ცხოველის, ფრინველის, მწერის... სახელწოდების ფორმირებისას: გარეგნული თუ შინაგანი ნიშანი, თუ სახელდება ხდება მეტაფორიზაციის გზით...

ფაუნის ლექსიკის შესწავლა საშუალებას იძლევა წარმოვიდგინოთ სახელდების ის მრავალფეროვანი მოტივაცია და ფართო სპექტრი, რომელიც კონკრეტულად აფხაზურისათვის და ზოგადად ენისათვისაა დამახასიათებელი.

ენისა და ადამიანის ურთიერთობის თვალსაზრისით, საინტერესოა დ. უზნაძის გამოკვლევა „ენის შინაფორმა“ (უზნაძე 1947), რომელსაც საფუძვლიანად განიხილავს გ. რამიშვილი (რამიშვილი 1995).

... ენა ნაწარმოები სამყაროა, რომლის იქითაც ადამიანი დგას... საკითხი ორ ასპექტშია ერთდროულად დასმული: ენის ადამიანური წარმოშობა, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ენის ადამიანისაგან დამოუკიდებლობა...

რატომ დასვა დ. უზნაძემ ეს საკითხი?... ეს გამოწვეულია სწორედ იმ შეუსაბამობით, რომ ენობრივი ფაქტების უკან მუდამ ადამიანი დგას და, ამავე დროს, ენა ადამიანისაგან დამოუკიდებელი რეალობაა. დ. უზნაძე ფიქრობს, რომ „ენის შინაფორმის“ ცნება, რომელიც ჰუმბოლდტმა შემოიტანა, ამ სიძნელეს დამლევს, რადგან ენის შინაფორმა ადამიანური ფენომენიც არის და იმავდროულად სწორედ ენის შინაგანი ფორმაც.

... ენის შინაარსის საფუძველი აუცილებელია. მისი გამოტოვებით შინაფორმის კვლევისათვის არ შემზადდება სათანადო პირობები.

... ბოლოს დ. უზნაძე იტყვის, რომ თუმცა ენის შინაფორმა დიდი მიზნებისათვისაა გაჩენილი, იგი იმ სახით, როგორც ჰუმბოლტმა წარმოადგინა, მაინც ვერ წყვეტს ზემოთ დასმულ ამოცანას; რომ „განწყობა“ არის სწორედ ის ცნება, რომელიც შეძლებს ამ შეუსაბამობის მოხსნასა და დაძლევის (რამიშვილი 1995: 39-41).

... ენის შინაფორმასთან დაკავშირებით, დ. უზნაძე გადმოსცემს ჰუმბოლდტის შეხედულებებს და იშველიებს სამ ცნებას: ენერგეია, ერგონი, სინთეზი. ენერგეია-ერგონის გაგებაში იგი მიჰყვება იმ ხაზს, რომელსაც დღესაც ბევრი მისდევს ლინგვისტიკაში: ენერგეია ეს არის მეტყველება, ხოლო ერგონი – ნიშანთა სისტემა... ჰუმბოლდტთან ენერგეია – ერგონი, ერთი მხრივ და მეტყველება-ენა, მეორე მხრივ, ერთმანეთს არ ფარავენ, ჰუმბოლდტი გარკვევით ამბობს, რომ ენა ენერგეიაა და არა ერგონი.

... ენერგეია არის როგორც ყოველწამიერი მეტყველების აქტი ინდივიდისა, ისე ათასწლეულთა მანძილზე ჩატარებული „მოღვაწეობა“ ენობრივი სოციუმებისა, რომელიც ზოგად ადამიანურ ამოცანას ემსახურება: „სამყაროს გარდაქმნას აზრებად“.

... ენერგეია უპირისპირდება ერგონს, როგორც ენის სტატიკურ მდგომარეობას. იგი უფრო ენის, როგორც კოლექტიური ფორმით მოცემული რეალობის, თვისებაა (რამიშვილი 1995: 41).

„ენათა სხვაობა არის არა მხოლოდ ბგერებსა და ნიშნებში, არამედ – თვით საგანთხედვაში, მსოფლხედვაში“ (რამიშვილი 1995: 42).

ერთი მხრით, ენა არის სუბიექტური, რამდენადაც ადამიანის ცნებასთან არის დაკავშირებული და მის გარეშე არ არსებობს; მეორე მხრით, იგი ობიექტური კანონზომიერების მქონეა.

... ენა ანთროპოლოგიური წარმოშობისაა.

... ჰუმბოლდტის მიერ მოწოდებული შინაფორმის იდეა... უზნაძის აზრით, „დიალექტიკური“ ბუნების არის და იქ უნდა ვეძიოთ გასაღები სუბიექტურისა და ობიექტურის პრობლემის გადასაჭრელად... „გასაღები“, მისი აზრით, განწყობის თეორიაშია.

უზნაძე ბევრ ანალოგიას ხედავს ამ ორ ფუნდამენტურ ცნებას შორის; და თუ შინაარსეულ ასპექტს გავაძლიერებთ, მათ შორის კიდევ უფრო მეტ საერთოობას დავინახავთ და მათ კავშირს

– კიდეც უფრო პროდუქტიულს (რამიშვილი 1995: 44).

... როგორც შინაფორმის ცნებაა მოწოდებული დიდი მიზნებისათვის, კერძოდ სუბიექტ-ობიექტის დიდი პრობლემის გადასაჭრელად ისე, რომ მისი ადამიანური გენეზისი ერთი წუთითაც არ უნდა იქნეს დავიწყებული, ასევე „დიდი მიზნებისათვის“ არის მოაზრებული ავტორის მიერ განწყობის ცნება: როგორც შინაფორმის გაგება აფართოებს ენათმეცნიერების ფარგლებს (ეს იყო სწორედ ჰუმბოლდტის მიზანიც) იმ ზომამდის, რომ ენის როლს ცხადყოფს ზოგადანთროპოლოგიურ და გნოსეოლოგიურ პრობლემათა კომპლექსში, ასევე განწყობასაც ანალოგიური დანიშნულება აქვს.

ამ მიზნით დ. უზნამქს დიდად გამოადგებოდა იდეა ენის „შინაარსობრივი შუამავლობის“ შესახებ – დასძენს გ. რამიშვილი. მიზანდასახულობით ხომ განწყობაც შუამავალია! მის გარეშე შინაფორმა გაუგებარია (რამიშვილი 1995: 45).

„სიტყვა არის არა საგნის ეკვივალენტი, არამედ თვალსაზრისისა მის შესახებ“ – ჰუმბოლდტი (რამიშვილი 1995: 47-48).

შეერთება ბგერისა აზრთან, სინთეზის ეს აქტი, ვფიქრობთ, იმავდროულად უკვე არის ცდის ვერბალიზაციის პროცესიც (რამიშვილი 1995: 50).

არტიკულაცია (განსხვავებით ფონეტიკურისაგან) არის დანაწევრება ენისა შინაარსობრივ ერთეულებად. ეს შეამჩნია ვ. ფონ ჰუმბოლდტმა, მაგრამ როგორც პრინციპი შემოიტანა ენათმეცნიერებაში ფ. დე სოსიურმა.

... დანაწევრების გაგება ძნელია დანახულიყო სხვა ენის არსებობის ფაქტის გათვალისწინების გარეშე (აკი ღირებულებასთან დაკავშირებით მიმართავს კიდეც მისი შემომტანი ფ. დე სოსიური სხვა ენებთან შედარებას). ეს ღირებულებათა დადგენის წესია. არ იყო საკმარისი მხოლოდ ერთი ენის შიგნით ინვარიანტულის ძიების სტატიკური მეთოდი.

მაშასადამე, ენათა პლურალიზმი არის ამოსავალი ენერგეისტული ორიენტაციის მქონე იმანენტური თეორიისათვის. შედარებითი მეთოდი აუცილებელია.

ენობრივი ერთეული არტიკულირებული ბუნების მქონე

სინთეზური მთელია: ენა იქ ქრება, სადაც კარგავს როგორც დანა-წევრების, ისე სინთეზის თვისებას.

სიტყვა, როგორც შინაარსეული ველის წევრი, არის შინა-ფორმის კონკრეტული სახე, მისი ემპირიული დადასტურება.

ენერგეტიკული ენის თეორია,... შინაარსეულ საფუძველს ემყარება და ამას ზოგადი ამოცანიდან ამოსვლით ეძლევა გამართლება. ეს კარგად ჩანს სხვადასხვა ენის შედარებიდან. თითოეული ენა არის პასუხი იმ ფუძემდებელ კითხვებზე, რაც ამოცანის სახით დგას ყოველი ენის წინაშე. ენათა ერთიანობა არის პასუხების ერთიანობა და ყოველი პასუხი არის ამოცანის გადაჭრის თავისებური მეთოდი.

... ენათა მიზანი საერთოა, განსხვავებულია გზები ამ მიზნის მიღწევისა.

უნივერსალურია პრინციპი სინთეზისა, მაგრამ თვითონ სინთეზის სპეციფიკა უნივერსალურით არ აიხსნება. ეს არ არის ერთისა და იმავეს სხვადასხვაგვარი „შესრულება“, არამედ **ახალი შინაარსების** შექმნა. ამიტომაც „ვერ თავსდება ენები ერთს კონსექვენტურად აგებულ სტრუქტურაში“. ახალი შინაარსების წარმოქმნას ერთიანი პრინციპი ვერ ექნება – დაასკვნის გ. რამიშვილი (რამიშვილი 1995: 53-55).

სიტყვა წარმოადგენს ენის ყველაზე კონკრეტულ ერთეულს; ენა უპირველესად „სიტყვათა ენაა“, როგორც ურთიერთობის საშუალება „სიტყვიერი იარაღია“.

სიტყვა არის დამოუკიდებელი, გრამატიკულად გაფორმებული გარკვეული ენის კანონების მიხედვით.

სიტყვას აქვს შინაარსი და რაც მნიშვნელოვანია **ლექსიკური მნიშვნელობა**.

სიტყვა და **ცნება**. ენაში სიტყვის საკუთარ ფუნქციას შეადგენს სახელდება (ნომინაცია) ე. ი. სიტყვას აქვს ნომინაციური ფუნქცია. მეორე მხრით, ცნება არის აზრი საგნის შესახებ.

სიტყვა წარმოადგენს ენის მნიშვნელობიან დამოუკიდებელ ერთეულს, რომლის ძირითად ფუნქციას შეადგენს ნომინაცია; ენის მინიმალური მნიშვნელობის მქონე ელემენტებისაგან განსხვავებით, სიტყვა დამოუკიდებელია, თუმცა, შესაძლოა ერთი

მორფემისაგანაც შედგებოდეს, გრამატიკულად გაფორმებულია მოცემული ენის კანონების მიხედვით და მას აქვს ლექსიკური მნიშვნელობა, რაც საერთოა სიტყვასა და ცნებას შორის ის არსებითად ორივე მათგანის განმსაზღვრელიდან – საგნიდან – მომდინარეობს.

ცნებისა და სიტყვის ურთიერთობა საკმაოდ რთული საკითხია. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ენაში სწორედ იმდენი სიტყვაა, რამდენიც ცნება (ენათმ. შეს. საკ. 1972: 117-119).

სიტყვას ახასიათებს მნიშვნელობის **გაფართოება, დავიწროება**, აგრეთვე მნიშვნელობის **გადაწევა**.

სიტყვის მნიშვნელობის გადაწევა არის მნიშვნელობის გადატანა, მაგრამ ცვლის საფუძველი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვა ბუნებისაა.

მაგალითად აფხაზური სიტყვა აშგლა „ფქვილი“, დღეს აღნიშნავს ყოველგვარი მარცვლეულის ნაფქვს, მაშინ, როდესაც მისი ძირისეული ელემენტი აშგ „ფეტვის“ აღმნიშვნელია ისტორიულად. თავდაპირველად აშგლა მხოლოდ ფეტვის ფქვილს აღნიშნავდა, შემდეგ კი მისი მნიშვნელობა გაფართოვდა, ახლა ყველანაირ ფქვილს აღნიშნავს. ეს არის სიტყვის მნიშვნელობის გაფართოების ერთ-ერთი შემთხვევა.

მეტაფორიზაცია ანუ სახელდება ხდება ნიშან-თვისებათა მსგავსებით. მეტაფორა ნიშნავს „გადატანას“, იგი წარმოადგენს მნიშვნელობის გადატანის ყველაზე ტიპურ შემთხვევას. მეტაფორა ეყრდნობა შედარებას.

მნიშვნელობის მეტაფორული გადატანის დროს იცვლება საგანი, მაგრამ ცნება მთლიანად არ იცვლება.

მაგალითად, აფხაზური ათრა „სორო, ბუნაგი“ სიტყვა ამჟამად აფხაზურში შემოზღუდული სივრცის აღსანიშნავ აფიქსად არის ქცეული: აუთრა „ბოსტანი“, არასათრა „თხილის ბაღი“ და სხვ.

მოხდა მეტაფორიზაცია: „ბუდე, სორო“ სიტვის მნიშვნელობა განზოგადდა და ახლა საერთოდ შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელ აფიქსად იქცა... ცნება, მთლიანად არ შეცვლილა.

ენის გარეშე კულტურა ვერ შეისწავლება თავისი სრულყოფილი სახით, ისე როგორც ვერ განისაზღვრება ამ კულტურის მა-

ტარებელი ხალხის ეთნიკური მიკუთვნება. „ენა არის ყველაზე ცოცხალი, ყველაზე მტკიცე კავშირი, რომელიც აერთიანებს გარდასულ, თანამედროვე და მომავალ თაობებს ერთ დიდ ისტორიულ ცოცხალ ერთობად“. ეს სიტყვები ეკუთვნის კ. უშინსკის (ჩიქობავა 1878: 19).

სრულმნიშვნელობიანი სიტყვები შეადგენენ ყოველი ენის ლექსიკის მასივს. ამავე დროს ისინი ყველაზე საინტერესონი არიან მნიშვნელობის განვითარებისა და ცვლის თვალსაზრისით, ისინი არიან ლექსიკის ყველაზე უფრო „სრულუფლებიანი სიტყვები“ (ენათმეცნ. შეს. საკ. 1972: 123-128).

ნებისმიერი ენის ლექსიკის კვლევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლექსიკური ველის გათვალისწინებას. თითოეული სიტყვა თავის ღირებულებას ამჟღავნებს მხოლოდ ლექსიკური ველის ფარგლებში.

ლექსიკური ველი ეწოდება ლექსიკის იმ სექტორს, რომელიც გაერთიანებულია მიმართებით პარალელიზმისა, კონტრასტისა, თანამიმდევრობისა და, რაც მთავარია, სხვადასხვა ხასიათის დაპირისპირებით.

ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ კონტექსტისა და ლექსიკური ველის ცნებები. კონტექსტი სიტყვის გამოყენების სფეროა, ველი – ენის სისტემაში მისი არსებობის სფერო (ენათმეცნ. შესწ. შეს. 1972: 170).

ველის ცნება მოწოდებულია ლექსიკის სისტემურობის კვლევისათვის.

ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე, **ელემენტარული ველის** ცნება, რომელსაც პორციგის თეორიის მიხედვით, ბ. ფოჩხუა განიხილავს (ფოჩხუა 1968: 30-40).

პორციგი ელემენტარულ ველებს წმინდა ენობრივად მოცემულ ერთეულებად მიიჩნევს, ამასთანავე ვარაუდობს, რომ ველში შემავალ სიტყვათა ურთიერთობა „ცალსახა და აუცილებელი“ არის...

პორციგის თეორია წარმოადგენსო ცდას, დაასკვნის ბ. ფოჩხუა, შესწავლილი იქნას ლექსიკა მეორეგვარი მიმართების, სიტყვათა შორის არსებული მიმართების, გათვალისწინებით. მაგ-

რამ ამ შემთხვევაში დაიჩრდილა მიმართება სიტყვასა და საგანს შორის. ამიტომ სიტყვის მნიშვნელობის „წმინდა ენობრივი“ განსაზღვრის ცდა სერიოზული სიძნელების წინაშე აღმოჩნდა (ფოჩხუა 1968: 39-40).

ჩვენთვის სიტყვა საინტერესოა არა მარტო მისი შიდააზრის, შინაარსის თვალსაზრისით, არამედ მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით.

სიტყვის მნიშვნელობას **სემასიოლოგია** სწავლობს.

სემასიოლოგიას აინტერესებს სიტყვის მნიშვნელობის განვითარების საკითხები (როგორ შეიცვალა ამა და ამ სიტყვის მნიშვნელობა დროთა განმავლობაში): სემასიოლოგიისათვის არსებითია სიტყვის მნიშვნელობის დახასიათებაც – სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის აღწერაც...

სემასიოლოგიური კვლევის ობიექტია პოლისემია (ერთი სიტყვის მრავალმნიშვნელობა), ენობრივი მეტაფორა (ენაში დამკვიდრებული გადატანითი გამოყენება სიტყვისა).

ლექსიკოლოგიური კვლევა შეიძლება საპირისპირო მიმართულებითაც წარიმართოს: შეიძლება ამოვიდეთ საგნიდან და ვიძიოთ მისი სახელწოდება.

კვლევის ამგვარ მიმართულებას ონომასიოლოგიურს უწოდებენ.

სიტყვა უნდა განვიხილოთ, როგორც ლექსიკოლოგიის ერთეული. არსებითი სიტყვისათვის ამ შემთხვევაში არის მისი საგნობრივი მიმართება და ამიტომ პირველ ყოვლისა... სიტყვა უნდა დახასიათდეს საგნობრივი მიმართების თვალსაზრისით (რას აღნიშნავს).

მხოლოდ ამის შემდეგ იქნება ნაყოფიერი მისი განხილვა... ამა თუ იმ ენის ლექსიკურ-სემანტიკური აგებულების გათვალისწინებით, საკუთრივ „ენობრივად“ დახასიათება (ფოჩხუა 1974: 15-23).

ლექსიკის განხილვა უნდა მოხდეს ენობრივი კოლექტივის ყოფა-მესაქმეობის გათვალისწინებით, რადგან ყოფის თავისებურებები ძირითადად განსაზღვრავენ იმ თავისებურებებს, რაც სხვადასხვა ენის ლექსიკური ფონდის შინაგან დანაწევრებაში შე-

იმჩნევა.

ბგერადობა და საგნობრივი მიმართება ქმნის სიტყვის ფუნქციონირების აუცილებელ პირობებს; აუცილებელს, მაგრამ არა საკმარისს. სიტყვის ფუნქციონირებისათვის საჭიროა კიდევ ორი პირობა: ენობრივი კოლექტივი და სხვა სიტყვებთან ურთიერთობა.

ენობრივი კოლექტივი არა მხოლოდ ერთ დაკავშირებული ჯგუფია ადამიანებისა, არამედ მათ, ამ ადამიანებს, უწინარეს ყოვლისა, აერთიანებთ საერთო საქმიანობა, საერთო საზოგადოებრივი ცხოვრება (და სწორედ ამიტომ ენაც).

სხვადასხვა კოლექტივი ერთმანეთისაგან საქმიანობით, საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებებით განსხვავდება და ეს განსხვავება უკუფენილია ლექსიკურ ფონდშიც. ბუნებრივია, თუ ერთ ენობრივ კოლექტივს არ აღმოაჩნდეს მეორე კოლექტივის საქმიანობისათვის, ყოფისათვის დამახასიათებელი ბევრი სიტყვა.

... ყოველი სიტყვა რომელიმე ენის სიტყვაა და არა „საერთოდ“ სიტყვა... შემოსული სიტყვა ენის აღსანიშნთა და აღმნიშვნელთა სისტემაში ექცევა და ამ ენობრივი სისტემის წევრი ხდება: ყოველი სიტყვა გარკვეული ენობრივი კოლექტივის კუთვნილებაა და მისი ფუნქციონირება ამ ენობრივი კოლექტივის ენობრივი ჩვეულებით არის შეპირობებული (ფოჩხუა 1974: 46-50).

ბ. ფოჩხუა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ქართული ენის ლექსიკოლოგია“ აღნიშნავს, რომ:

... პრინციპულად შეუძლებელია არსებობდეს ისეთი ენა, სადაც ყველა სიტყვა მოტივირებულია, ე. ი. მოტივირებულია ყველა მარტივი ფუძე...

მოტივაციის მქონებლობა და უქონლობა ის ორი პოლუსია, რომელთა შორის არის განლაგებული ლექსიკური ფონდი.

და შემდეგ:... ჩვენ არ ვიცით რა ბგერებით ამეტყველდა ადამიანი პირველად, მაგრამ რა სიტყვების ისტორიაც ვიცით, ყველაში დასტურდება მოტივაციის როლი მათ შექმნაში (ფოჩხუა 1974: 108, 118).

სათანადო ადგილას არნ. ჩიქობავაც აღნიშნავს, რომ ნიშნის

მოტივაცია მის პირობითობას არ გამორიცხავს, იმიტომ, რომ ეს მოტივაცია გულისხმობს სხვა ნიშნებისადმი აპელაციას, ხოლო არც ერთი ნიშანი არც ძველად, არც ამჟამად აღსანიშნით განსაზღვრული არ ყოფილა (ჩიქობავა 1983: 199).

მოტივაცია, ზოგადად აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთმიმართება, გარდა ლინგვისტურისა, ფსიქოლოგიურ-გნოსეოლოგიური პრობლემაცაა. მხოლოდ ლინგვისტური, ან მხოლოდ ფილოსოფიური მიდგომით ამ პრობლემის გადაჭრა ვერ მოხერხდება.

ფსიქოლოგები ენობრივი ნიშნის შეპირობებულობას უჭერენ მხარს, ლინგვისტები – ენობრივი ნიშნის ნებისმიერობას (შარაძენიძე 1972: 5-60, ჩიქობავა, 1983: 183-201). თუმცა მოტივაციის არსებობას მთლად ვერ უარყოფენ.

თავ-თავის ადგილას ორივე მხარე მართალია: ენაში ყველა სიტყვა ვერ იქნება მოტივირებული, ისევე, როგორც ყოველი სიტყვა მხოლოდ რაღაცის ნიშნად არ შეიძლება წარმოვიდგინოთ.

ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო მართებული და ამავე დროს აღნიშნულ პოზიციათა შორის მომრიგებლური თვალსაზრისი ბ. ფოჩხუამ გამოთქვა:... „მოტივაციის მქონებლობა და უქონლობა ის ორი პოლუსია, რომელთა შორის არის განლაგებული ლექსიკური ფონდი“ (ფოჩხუა 1974: 108).

... და მაინც დიდია ცდუნება სიტყვათა მოტივირებულად მიჩნევისა... სიტყვის გულუბრყვილო, ხალხური ეტიმოლოგიებიდან მოყოლებული, ღრმა, მეცნიერულად დასაბუთებული ეტიმოლოგიების ჩათვლით...

ენის ლექსიკის შესწავლის სემასიოლოგიური ასპექტისათვის არსებითია სიტყვის მნიშვნელობის დახასიათება, სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის აღწერა სინქრონულ დონეზე.

აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთმიმართებაში საინტერესოა აღმნიშვნელის სემანტიკური აგებულება, შინაარსი, ლექსიკური სინტაგმატიკა, ენობრივი მეტაფორა.

ენობრივ ერთობებს ერთიმეორისაგან განასხვავებს აღსანიშნისა და აღმნიშვნელს შორის სხვადასხვაგვარი მიდგომა.

სხვადასხვა ენაში განსხვავებულად აისახება ობიექტური

სინამდვილე: სივრცე, ბუნების მოვლენები, მცენარეთა თუ ცხოველთა სამყარო... სახელდების მომენტშიც, შესაბამისად სხვადასხვა ენაში, წინა პლანზე წამოიწევეს აღსანიშნის სრულიად განსხვავებული თვისებები. ლექსიკა განხილული უნდა იყოს ენობრივი ერთობის ყოფისა და საქმიანობის გათვალისწინებით, რადგან ყოფის სხვადასხვაობა განსაზღვრავს იმ თავისებურებებს, რომელიც სხვადასხვა ენის ლექსიკური ფონდის შინაგან დანაწევრებაში შეიმჩნევა.

აფხაზური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის სოლიდური ნაწილი ფაუნის აღმნიშვნელ სახელებს მოიცავს.

ფაუნის აღმნიშვნელ სახელწოდებებს სათანადო ნაშრომებში მეტ-ნაკლებად ეხება აფხაზურ-ადილური ენების თითქმის ყველა მკვლევარი. ეს ბუნებრივია, რადგან ცხოველთა ლექსიკა ენის განუყოფელი ნაწილია.

ფაუნის ლექსიკის შესწავლის კუთხით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. მარის, ა. დირის, არნ. ჩიქობავას, გ. მელიქიშვილის, ივ. ჯავახიშვილის, გ. წერეთლის, ს. ჯანაშიას, ქ. ლომთათიძის, გ. როგავას, ზ. კერაშევას, ა. გენკოს და სხვათა დამსახურება.

მოყოლებული კ. ჭარაიას მოღვაწეობის დროიდან დღევანდელი დღის ჩათვლით, ძნელად მოიძებნება აღნიშნულ ენათა სპეციალისტი, რომელიც თავის გამოკვლევებში გაკვრით მაინც არ შეხებოდეს ფაუნის ლექსიკას.

ამ მრავალრიცხოვან ენათმეცნიერთა შორის უნდა გამოიყოს კ. ჭარაიას, ბ. ჯანაშიას, ხ. ბლაჟუბას, ს. ამიჭბას, ვ. კონჯარიას, მ. ციკოლიას, მ. კუმახოვის, ვ. შენგელიას, ა. აბრეგოვის, ა. შაგიროვის ნაშრომები.

ჩამოთვლილ ავტორთა ამა თუ იმ გამოკვლევას ვიმოწმებთ ჩვენ ნაშრომის სათანადო ადგილებში.

საგანგებოდ განსახილველია მ. კუმახოვისა და ა. აბრეგოვის მოსაზრებანი აფხაზურ-ადილურ ენათა ე. წ. **რთული სიტყვების** წარმოების შესახებ. განვიხილავთ თითოეულ მათგანს:

მ. კუმახოვი თავის ნაშრომში „Морфология Адыгских языков“, Москва-Нальчик, 1964, დაწვრილებით განიხილავს ე. წ. რთულ სიტყვებს ადილურ ენებში.

ავტორი სვამს კითხვას, არსებობს თუ არა უნივერსალური ენათმეცნიერული კრიტერიუმი, რომელიც გამოგვაცოფინებდა ზოგადად სიტყვას და რთულ სიტყვას კერძოდ? საკითხი სიტყვის საზღვრებზე, სიტყვის სტრუქტურის საერთო პრობლემაში შედის. ყველაზე მეტი პრობლემები აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაში, წამოიჭრება ნაწარმოები (მათ შორის რთული) სიტყვის საზღვრების დადგენისას. ადილურ ენებში სიტყვათქმნადობა არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალება სიტყვაწარმოებისა. არსებულ აღწერით გრამატიკებში <რთული სიტყვის> შესახებ ჩამოყალიბებული მოსაზრება არ არსებობს. სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა სინტაქსური ერთეულები განიხილება რთულ სიტყვებად, ან რთული სიტყვები განკუთვნილია შესიტყვებებისადმი. ლექსიკური და სინტაქსური ერთეულების შეერთებით, ხან ფართოვდება და ხან ვიწროვდება რთული სიტყვის საზღვრები ადილურ ენებში. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვაცალკევოთ რთული სიტყვა სინტაქსური შეერთების საფუძველზე მიღებულ <სინტაქსურ ერთეულთაგან>.

მრავალრიცხოვან ცდათა მიუხედავად, რთულ სიტყვასა და შესიტყვებას შორის ზღვარი ჯერ კიდევ სადავოა ზოგადლინგვისტური თვალსაზრისით. ა. ი. სმირნიცკის შრომებში ეს საკითხი შედარებით სრულად აისახა, მაგრამ არც მისი კრიტერიუმები შეიძლება ჩაითვალოს დასაბუთებულად. მართალი იყო აკად. ლ. ვ. შჩერბა, როდესაც ხაზი გაუსვა ცალკეული ენის ან მონათესავე ენათა ჯგუფის თავისებურებათა გათვალისწინების აუცილებლობას <რთულ სიტყვათა> განსაზღვრისათვის. ლ. ვ. შჩერბა წერდა: „მართლაც რა არის „სიტყვა?“ მე ვფიქრობ, რომ სხვადასხვა ენებში ეს სხვადასხვაგვარად იქნება“. ა. ი. სმირნიცკი სიტყვის ასეთ გაგებაში სკეპტიციზმს ხედავდა. მაგრამ სიტყვის ზოგადლინგვისტურ განსაზღვრებაზე მსჯელობა უსაფუძვლოა, იმდენად, რამდენადაც სიტყვის საზღვრები ენის გრამატიკული აგებულების სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა დადგინდეს.

უდავოა, რომ სიტყვაწარმოებითი კატეგორიები ლექსიკასა და გრამატიკასთან კავშირში, სხვადასხვა ენებში სხვადასხვაგვარია, რაც ამტკიცებს, რომ ზოგადლინგვისტური უნივერსალური

განსაზღვრა, სიტყვისა – ზოგადად და რთული სიტყვისა – კონკრეტულად, შეუძლებელია. ეს განსაკუთრებით ნაწარმოებ სიტყვებს ეხება. ადიღურ ენებში ფუძის მაწარმოებელი აფიქსები, რომელთა დახმარებითაც არსებითი სახელის მარტივი ფუძეებიდან იწარმოება ნაწარმოები სახელები, მხოლოდ ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია. მაგრამ სხვაგვარადაა საქმე ზმნურ სიტყვაწარმოებაში, რომელიც ორგანულად არის დაკავშირებული გრამატიკულ კატეგორიებთან. ზმნური და სახელური სიტყვაწარმოებანი ერთ სიბრტყეზე ვერ განიხლება, რადგან სახელური სიტყვაწარმოებისას, სახეზე გვაქვს სიტყვა, რომელიც შემადგენელ ლექსემათაგან მხოლოდ ლექსიკურად განსხვავდება, მაშინ, როცა ზმნური სიტყვაწარმოება გრამატიკულ განსხვავებებსაც იძლევა.

შემდეგ კუმახოვი კრიტიკულად განიხილავს რთული სიტყვის გამოყოფისათვის ო. იესპერსენის, ნ. ფ. იაკოვლევის, ა. ი. სმირნიცკის, გ. პაულის მიერ შემოთავაზებულ კრიტერიუმებს.

ბოლო დროის მრავალ ნაშრომში რთული სიტყვისა და შესიტყვების განსასხვავებლად გრამატიკული მთლიანგაფორმებულობა „цельноиформленность“ ითვლება, როგორც უნივერსალური კრიტერიუმი თითქმის ყველა ენისათვის. მაგრამ ეს მეთოდი ახალი არ არის. კუმახოვის აზრით, მხოლოდ ტერმინია ახალი – „გრამატიკული მთლიანგაფორმებულობა“, შემოტანილი ა. ი. სმირნიცკის მიერ.

იმავე კრიტერიუმით ხელმძღვანელობდა იესპერსენი: რთული სიტყვის მთავარ მახასიათებლად მასაც სიტყვის შემადგენელ ნაწილთა გრამატიკული მთლიანგაფორმებულობა მიაჩნდა, მაგრამ, როგორც კუმახოვი აღნიშნავს, გრამატიკული მთლიანგაფორმებულობა ცხადია, ვერ იქნება რთული სიტყვებისა და შესიტყვებების განსაზღვრისათვის უნივერსალური. ისეთი ენებისათვის, რომელშიც ლექსიკურ და სინტაქსურ ერთეულებს შორის მკაფიო ფონეტიკურ-გრამატიკული განსხვავება არ არის, მთლიანგაფორმებულობის კრიტერიუმი არასაკმარისი ან საერთოდ გამოუსადეგარი იქნება რთული სიტყვების შესიტყვებათა-

გან გასამიჯნავად. მაგალითად ამ ენებში (იგულისხმევა აფხაზურ-ადიღური ენები) სხვადასხვა სინტაქსური ერთეულები, მათ შორის ატრიბუტულ წარმონაქმნთა ყველა ტიპი, გრამატიკულად მთლიანგაფორმებული იქნება. მაგალითად, რთული სიტყვა მწჷპჷჷ „მატარებელი“, სიტყვასიტყვით: „ცეცხლოვანი ურემი“...

მაგ.: რთული წარმოებები შჷშ „კვიცი“ და უნჷშ „ახალი სახლი“ ყაზარდოულში (ისევე, როგორც ადიღეურში) წარმოებულია ერთტიპიური სახელური ჯგუფების ბაზაზე (საზღვრული + მსაზღვრელი) შჷშ შედგება შჷ „ცხენი“ + შ „ახალგაზრდა, ახალი“ ... უნჷშ შედგება უნჷ „სახლი“ + შ „ახალი“. ამ ორ სიტყვას ფორმათწარმოების თვალსაზრისით, ერთნაირი სისტემა აქვს, წარმოადგენს ატრიბუტული შინაარსის სახელურ კომპლექსს. აქედან უნდა დავასკვნათ: თუკი რთული სიტყვების განსაზღვრაში თანმიმდევრულნი გვინდა ვიყოთ, დასძენს კუმახოვი, მაშინ სახელური კომპლექსები უნჷშ ტიპისა, ადიღურ ენებში რთულ სიტყვებად უნდა მივიჩნიოთ. ასე იქცევა მაგალითად ნ. ფ. იაკოვლევი, ა. ნ. ბოგოლუბოვი, რომელიც უფრო შორს მიდის და ისეთ სინტაქსურ ერთეულს, როგორიცაა ციტ „ორი ხელი“ ასევე რთულ სიტყვად მიიჩნევს.

თუკი შერწყმულ სახელურ კომპლექსებს რთულ სიტყვებად ჩავთვლით, იმავე კრიტერიუმით, ლექსიკურ ერთეულადვე უნდა ჩაითვალოს განცალკევებული სახელური სინტაქსური ჯგუფებიც: კვრბჷ უნჷ „აგურის სახლი“ და ა. შ. მათ შორის აღნიშნული თვალსაზრისით არ არის სხვაობა.

ლინგვისტთა ნაწილი რთული სიტყვებისა და შესიტყვებების ურთიერთგასამიჯნავად იყენებს ფორმალურ და შინაგან იზოლაციურობას სიტყვათა სინტაქსური ჯგუფებისათვის. გ. პაული ითვალისწინებდა სიტყვათა ჯგუფის რთულ სიტყვაში გადასვლის მიზეზს, რომ სიტყვათშეერთება მთლიანად განკერძოებულია შემადგენელ ნაწილებთან მიმართებით. იზოლაციის გადამწყვეტი როლის შესახებ, რომელიც შემოთავაზებულია პაულის მიერ, მიუთითებს ვ. მ. ჟირმუნსკი თავის სტატიაში, რომელიც სიტყვათა საზღვრების საკითხებს ეძღვნება. რთულ სიტყვათა სტრუქტურული ტიპების ჩამოყალიბებისათვის ის კრიტერი-

უმი, რასაც პაული იზოლაციას ან განკერძოებას უწოდებს, საკმაოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ უკანასკნელის მოშველიებითაც კი, რთულ სიტყვათა და სინტაქსურ ერთეულთა მხოლოდ ნაწილის გამოყოფა თუ შეიძლება. იზოლაციის ნიშანი, შემადგენელი კომპონენტებისაგან და მათი დამოუკიდებელი ხმარებისაგან, ნაწილობრივ გამოაცალკევებს მყარ რთულ სიტყვებს, სტრუქტურულად შესაბამის სინტაქსურ ერთეულთაგან. ადიდეური რთული წარმონაქმნი ფხჰშ „სახნისი“, სიტყვასიტყვით: „ხის იარაღი“ და ფხჰშენ „ხის სახლი“ კი, არის ერთმანეთის მსგავსი ფონეტიკურ-გრამატიკულ-სინტაქსური სტრუქტურით და ამავე დროს განსხვავდება ერთიმეორისაგან სემანტიკური თვალსაზრისით: მიმართებით, მთელისა შემადგენელ კომპონენტთა ჯამთან. მნიშვნელობა ფხჰშ „სახნისი“ მხოლოდ ეტიმოლოგიურად გამოიყვანება შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან, მაშინ, როდესაც ფხჰშენ „ხის სახლი“ მნიშვნელობა სავსებით მოტივირებულია, შეესატყვისება შემადგენელ ნაწილთა მნიშვნელობების ჯამს. ამდენად რთული სიტყვა ფხჰშ „სახნისი“ განსხვავდება სახელური კომპლექსისაგან ფხჰშენ „ხის სახლი“ არა მარტო სტრუქტურული ნიშნებით, არამედ მნიშვნელობის გამოუყვანლობითაც შემადგენელ ნაწილთა მნიშვნელობების ჯამისაგან. ასეთი სემანტიკური სხვაობა შეინიშნება მყარ რთულ სიტყვებსა და სახელურ კომპლექსთა შორის. რაც შეეხება თავისუფალ რთულ სიტყვებს, ისინი ამ მიმართებით არ შემოისაზღვრება სახელურ კომპლექსთაგან. შდრ.: ყაბარდოულის რთული სიტყვა ლ'გზ' „ბებერი“ და სახელური კომპლექსი ჟგგაიჟჟ „ბებერი მუხა“.

მიუხედავად იმისა, განაგრძობს კუმახოვი, რომ მრავალი ლინგვისტისათვის სემანტიკური კრიტერიუმი შეუვალაია, იგი (სემანტიკური კრიტერიუმით მიდგომა აღნიშნული საკითხისადმი) მაინც არ შეიძლება, რადგან იგი (სემანტიკური კრიტერიუმი) ამ საქმისათვის ძალიან სუსტი არგუმენტია.

ამრიგად, დაასკვნის ავტორი, ვერც გარეგნული აღნაგობა (კომპონენტთა შერწყმა), ვერც მახვილის გამაერთიანებელი ფუნქცია, ვერც სიტყვათცვლადობის ფორმა (მორფოლოგიური

მთლიანგაფორმებულობა), ვერც სემანტიკური ნიშნები... ვერ გამოდგება რთულ სიტყვათა და სახელურ კომპლექსთა ერთიმეორისაგან გასამიჯნავად. პირიქით, ყველა ეს ლინგვისტური ნიშანი შესაძლოა საერთო ჰქონდეს რთულ სიტყვასა და სახელურ კომპლექსს.

რთულ სიტყვათა და სახელურ კომპლექსთა განხილვისას, არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ერთი ფრიად საყურადღებო გარემოება: ფხაშ „სახნისი“ ფუნქციონირებს ენაში, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული, რთული სიტყვა. თავდაპირველად იგი აღნიშნავდა „ხის იარაღს, მიწის სახნისს“, როდესაც ადიდელებმა მოიპოვეს რკინის სახნისები, სიტყვამ მექანიკურად მათი აღნიშვნაც იტვირთა. მოტივირებული სიტყვა არამოტივირებულად იქცა, მაგრამ ამის მიუხედავად, მისი ნომინაციური ფუნქცია, აღნიშნა სამუშაო იარაღი, არ შეცვლილა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შესიტყვების რთულ სიტყვად ქცევის მიზეზი თავდაპირველ ნომინაციაში უნდა ვეძიოთ. ამჟამად, აღნიშნული ლექსემა არსებითი სახელია და ატრიბუტულ სახელურ კომპლექსად კი აღარ ფუნქციონირებს ენაში, არამედ, როგორც რთული სახელი. იგი არსებითი სახელის ეკვივალენტურია.

ამ რთული სიტყვისაგან განსხვავებით, სახელურ კომპლექსს ფხაშენ „ხის სახლს“ საგნობრივი მნიშვნელობა არ გააჩნია, არამედ შეიცავს წინადადების ორი წევრის ატრიბუტულ მმართველას.

ადილურ ენებში სახელურ სიტყვათმაწარმოებელ აფიქსთა სიმცირე კომპენსირებულია სხვა ენობრივი საშუალებების გამოყენებით ლექსიკური მარაგის ახალი სიტყვებით შესავსებად.

რთული სიტყვების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სინტაქსური ერთეულების ლექსიკალიზაცია. როდესაც მსგავსი ტიპის რთული წარმოება რომელიმე ერთი ძირითადი ნიშნის მიხედვით, განსაზღვრული კონკრეტული საგნის აღნიშვნელი ხდება, მაშინ იგი შემადგენელ ნაწილთა ფონეტიკურ-გრამატიკული ერთობის წყალობით, სინტაქსის სფეროდან ლექსიკის სფეროში გადმოინაცვლებს. ამის შემდეგ აღნიშნული

რთული სიტყვათწარმოებანი ფუნქციონირებენ ენაში არა როგორც სინტაქსური ერთეულები, რომლებიც მხოლოდ ატრიბუტულ მიმართებას გამოხატავს, არამედ უკვე, როგორც ლექსიკური ერთეულები, როგორც რთული სიტყვები. შდრ.: თხზვ`გმწჷგზ „კურდღელი“ და შგდ თხზვ`გმწჷგზ „ყურგრძელი ვირი“...

როგორც ნათელია ზემოთ თქმულიდანო, განაგრძობს კუმახოვი, სიტყვათა შერწყმის შედეგად წარმოიშობა სხვადასხვა ენობრივი მონაცემები: რთული სიტყვა (ლექსიკური ერთეული) და სახელური კომპლექსი (სინტაქსური ერთეული). უფრო მეტიც: ერთი და იგივე რთული წარმონაქმნი შესაძლოა ერთ შემთხვევაში გამოყენებული იყოს, როგორც მეტყველების ნაწილი, მეორე შემთხვევაში კი, როგორც სინტაქსური ერთეული.

მოყვანილი მაგალითები ადასტურებს აგრეთვე მოძრავი საზღვრების არსებობას სხვადასხვა ენობრივ დონეებზე: სინტაქსურსა და ლექსიკურ დონეზე ადიღურ ენებში. ეს ყველაფერი კი იმის შედეგია, რომ ბგერათკომპლექსი (ამ ტერმინის ფართო გაგებით, ვლინდება და ვითარდება მეტყველებაში ენის სისტემის სხვა კონსტიტუციურ ელემენტებთან ერთად (კუმახოვი 1964: 34-42).

სახელურ კომპლექსთა და მათი მოდელების მიხედვით ჩამოყალიბებულ რთულ სიტყვათა გაიგივებას, სინტაქსური და ლექსიკური ერთეულების აღრევამდე მივყავართ. ენათა სხვადასხვა ენობრივი ოდენობების აღრევა რთული სიტყვის საზღვრების გაფართოებასაც იწვევს. მაგრამ განსახილველი პრობლემის გადაწყვეტისას შეინიშნება საწინააღმდეგო მიმართულება: რთული სიტყვის გაგების შევიწროება.

ადიღურ ენათა სიტყვათქმნადობა ამ ენებისათვის დამახასიათებელი თავისებურებებით ხდება. მაგ.: ყაბარდოულის – ღ'პ'ლ'წგჷ „რკინიგზა“ რთულ სიტყვას წარმოადგენს, მაშინ, როდესაც რუსულის – „железная дорога“ შესიტყვებაა.

ყაბარდოული „რკინიგზა“ სიტყვის მსგავსი ორკომპონენტიანი მყარი, სახელური წარმონაქმნები რთულ სიტყვათა კატეგორიაში ერთიანდება. სახელურ კომპლექსთაგან განსხვავებით, ამ ტიპის მყარი, რთული სიტყვები არსებითად განსხვავდება თა-

ვისი ფუნქციური და სტრუქტურული ნიშნებით.

მყარი, რთული სიტყვები გამოხატავს არა მხოლოდ სემანტიკურ ერთობას, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ხასიათდება სტრუქტურული მთლიანობით (მიეკუთვნება ერთ პარადიგმატულ კლასს), სინტაქსურად დაუშლელია და ა. შ.

აქედან ნათელი ხდება, თუ რატომ არის, რომ ადილურ ენებში ამდენგვარი მყარი, რთული სიტყვებისა და მყარი, ზმნური შესიტყვებების პირობებში, შედარებით ღარიბადაა წარმოდგენილი სახელური მყარი, (ფრაზეოლოგიური) შესიტყვებანი. ეს არის ადილურ ენათა სპეციფიკური ნიშანი, რომელიც, ერთი შეხედვით, პარადოქსულადაც კი შეიძლება მოგვეჩვენოს, და განპირობებულია ამ ენათა გრამატიკული წყობის თავისებურებით.

მრავალრიცხოვანი მყარი სიტყვათშეერთებები „რკინიგზის“ ტიპისა, რომელიც მნიშვნელოვან პროცენტს წარმოადგენს ადილური ენების ლექსიკაში, უპასუხებს რთული სიტყვის ყველა ლინგვისტურ თვისებას. ეს მყარი წარმონაქმნები გვევლინება ლექსიკურ ერთეულებად და ლექსიკონებში უნდა შევიდეს, როგორც დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვები.

ნ. ფ. იაკოვლევი სახელურ, ინკორპორაციულ კომპლექსებს რთულ სიტყვებთან აიგივებს. გამოყოფენ რა, შერწყმულ ატრიბუტულ წარმოებას ატრიბუტული წარმოებისაგან, მკვლევრები მიდიან შემდეგ დასკვნამდე: ადილურ ენებში ერთი და იგივე სინტაქსური კავშირი (ატრიბუტული), გამოიხატება ორი სხვადასხვა საშუალებით: ინკორპორაციული კომპლექსით და სიტყვათშეწყობით (შეერთებით)...

ინკორპორაციული ამორფული შერწყმა ჟნაჩა „ახალი სახლი“ ტიპისა, განიხილება მთლიანად, როგორც წინადადების ნაწილი, „ამორფული სიტყვათშეერთება“, ხოლო ატრიბუტული წარმოება ჟნაჩ ინ „დიდი სახლი“, როგორც სინტაქსური შესიტყვება, რომელიც წინადადების წევრებისაგან შედგება.

ამასთან ერთად, დასძენს კუმახოვი, რაც ინკორპორაციულობის თეორიის მომხრეთათვის ძალიან მნიშვნელოვანია, შერწყმული ატრიბუტული წარმოება, როგორც ინკორპორაციული მოვლენა, შესიტყვებასთან შედარებით, არისო, უფრო არქაული,

ძველი საშუალება სინტაქსური ურთიერთობის გამოხატვისა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შერწყმა უნაჩა „ახალი სახლი“, რომელიც ჩათვლილია ინკორპორაციულ კომპლექსად, ჯერ კიდევ წინადადების წევრებად დაუყოფელი, წინ უსწრებს წინადადების წევრთა ჩამოყალიბებას (მსაზღვრელისა და საზღვრულისა).

თუ ვაღიარებთ, განაგრძობს კუმახოვი, სახელური სინტაქსური ჯგუფის წევრებს ინკორპორაციულ კომპლექსად, განსაკუთრებულ სინტაქსურ ერთეულად, მაშინ ერთი და იგივე ატრიბუტული წარმონაქმნი ორ ადილურ ენაში, სხვადასხვა სინტაქსურ ერთეულად უნდა ჩავთვალოთ:

მაგალითად, ასეთი პრინციპიდან ამოსვლით, ფხაჭენ „ხის სახლი“ ადილურში, უნდა ჩავთვალოთ არქაულ, ინკორპორაციულ მოვლენად, იგივე წარმონაქმნი ფხაჭენ „ხის სახლი“ ყაბარდოულში, უნდა მივაკუთვნოთ სხვა სინტაქსურ ერთეულებს, მაშინ, როცა, ორსავე შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთსა და იმავე სინტაქსურ ერთეულთან.

თქმულიდან ცხადია, დასძენს კუმახოვი, რომ სიტყვათშერწყმა მიმდინარეობდა სიტყვათშეწყობის ბაზაზე. ეს უდავო და თავისთავად ცხადი ფაქტი უარყოფს თეორიას, რომ სახელურ ატრიბუტულ წარმონაქმნებს, რომელიც შედგება წინადადების წევრთაგან, წინ უსწრებდა სახელური ინკორპორაციული კომპლექსები. არ არსებობს იმის საფუძველი, რომ შერწყმული ატრიბუტული წარმონაქმნები ინკორპორაციულ მოვლენად ჩაითვალოს. სახელური სინტაქსური ჯგუფის გარეგნული შერწყმა – მეორეული მოვლენაა და მის ლექსიკურ-გრამატიკულ მნიშვნელობაზე არ მოქმედებს.

გარდა ამისა, ადილურ ენებში განსაზღვრება, რომელიც გადმოცემულია ვითარებითი ზედსართავი სახელით, ატრიბუტულ ერთეულში, ინარჩუნებს ვითარებითი ზედსართავი სახელის სრულ პარადიგმას.

კუმახოვი „სახელურ ინკორპორაციულ კომპლექსებს“ ატრიბუტულ ერთეულებად განიხილავს. ინკორპორაციულ წარმონაქმნებად კი მკვლევარი თვლის დნ-ფლ'გ-ჩგ-ნ „საიდანმე გამოხედვა“ ზმნის ტიპს, რომელიც წარმოქმნილია ზმნური ფუძეების

ჩართვით, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფუძეების ერთობაში.

დასასრულ, კუმახოვი აღნიშნავს, რომ რთული სიტყვის საზღვრების დადგენისათვის, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სინქრონიისა და დიაქრონიის ურთიერთმიმართების საკითხს. ისტორიზმი მნიშვნელოვანია ენის თანამედროვე სისტემის სწორად ახსნისათვის. მაგრამ უდავოა, ისიც, რომ სიტყვის სტრუქტურის პრობლემა, მათ შორის რთული სიტყვის, შეუძლებელია გადაწყდეს ისტორიის გაუთვალისწინებლად. ისეთი გავრცელებული მოვლენები, როგორცაა რთული ფუძის ერთ-ერთი კომპონენტის გრამატიკულ წარმონაქმნად ქცევა, შესიტყვების ლექსიკალიზაცია და სხვ., მოითხოვს ჩვენთვის საინტერესო პრობლემასთან კონკრეტულ მიდგომას.

რთული სიტყვის საზღვრების დადგენისას, ყოველთვის გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ ენა მუდმივგანვითარებადი მოვლენაა.

რთული სიტყვის საზღვრების დადგენისათვის, აუცილებელია, აგრეთვე ენის გრამატიკული წყობის თავისებურებათა გათვალისწინება, დიაქრონიისა და სინქრონიის ურთიერთმიმართება. სხვადასხვა გრამატიკული წყობის ენებში და ერთი ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, დახასიათებული რთული სიტყვები, შესაძლოა სრულიად განსხვავებული იყოს. უფრო მეტიც: სინქრონიულ ჭრილში, ერთსა და იმავე ენაში, რთულ სიტყვათა სხვადასხვა ტიპებს სხვადასხვა კრიტერიუმები აქვთ, რომელიც გამოაცალკევებს ამ უკანასკნელთ შერწყმული ენობრივი ერთეულებისაგან. აქედან, ბუნებრივია, გამოდის დასკვნა, რომ უნივერსალური კრიტერიუმის მოძებნის ცდა, რთული სიტყვების საზღვრების გამოყოფა/დადგენისა, მიემართება ენათა სინამდვილის მრავალფეროვნების უარყოფისაკენ (კუმახოვი 1964: 48-58) – ანუ, არ არსებობს უნივერსალური კრიტერიუმი. ყველა ენას ინდივიდუალურად უნდა მიუდგეს მკვლევარი.

ამ დამაჯერებელი, ლოგიკური მსჯელობის შემდეგ, კუმახოვი გვთავაზობს რთულ სიტყვათა კლასიფიკაციის ცდებს აფხაზურ-ადიღურ ენათათვის.

იმდენად, რამდენადაც ჩვენი ნაშრომის განსახილველ სი-

ტყვათა სოლიდური ნაწილი წარმოადგენს ე. წ. „რთულ სიტყვებს“ ფაუნის ლექსიკაში, საჭიროდ მიგვაჩნია, ვრცლად გადმოვცეთ კუმახოვის ნააზრევი აღნიშნულ სიტყვათა კლასიფიკაციის შესახებ.

ენათმეცნიერულ ლიტერატურაში ტრადიციად იქცა რთული სიტყვების სემანტიკური მახასიათებლების მიხედვით დაყოფა. ეს კლასიფიკაცია, შემოთავაზებული გერმანელ ლინგვისტთა მიერ, აგებულია რთულ სიტყვათა კომპონენტების ურთიერთმომართებაზე. ამ კლასიფიკაციის თანახმად, აღწერით გრამატიკებსა და სპეციალურ გამოკვლევებში, რომლებიც სხვადასხვა ენათა სიტყვაწარმოებას ეძღვნება, რთული სიტყვები, ჩვეულებრივ იყოფა: დაქვემდებარებით (Determinativkomposita) და თანწყობილ (Kopulativkomposita) კონსტრუქციებად.

დაქვემდებარებითი, ან როგორც მას უწოდებენ სხვა შემთხვევაში, განსაზღვრებითი რთული სიტყვები, წარმოქმნილია დაქვემდებარების საფუძველზე, რთული სიტყვის ერთი კომპონენტი მეორის მნიშვნელობას აზუსტებს. შდრ.: ადიღური ნწფსგ, ყაბარდოული ნწფს „ცრემლი“ (ადიღ., ყაბ. ნწ „თვალი“, „თვალის“ + ადიღ., ყაბ. ფსგ „წყალი“).

თანწყობილი რთული სიტყვები წარმოქმნილია კომპონენტთა ურთიერთგანლაგების შედეგად: შდრ.: მაგ.: ადიღ. ლწუჩწწ „გარეული ფრინველი“, ლწუ „გოჭი“ + ჩწწ „ბეკეკა“, ყაბ. ჯწდ-ყაზ „სახლის ფრინველი“ (ჯწდ „ქათამი“, + ყაზ „ბატი“).

რთულ სიტყვათა შემოთავაზებული სინტაქსური კლასიფიკაცია გაზიარებულია, თუმცა არათანმიმდევრულად, დ. ა. აშხამაფის, ნ. ფ. იაკოვლევის, გ. ფ. ტურჩანინოვისა და მ. ცაგოვის მიერ.

რთულ სიტყვათა დაქვემდებარებით და თანწყობილ ჯგუფებად დაყოფა ვერ გამოხატავს ვერც სიტყვაწარმოებით და ვერც ლექსიკურ-გრამატიკულ სტრუქტურას რთული სიტყვებისა. ამის გარდა, უნდა აღნიშნოს, რომ სინტაქსურ ტერმინთა ლექსიკაში გადატანა, განსაკუთრებით ტერმინისა, „დაქვემდებარება“, მთლად გამართლებული არ არის. როგორც უკვე იყო აღნიშნუ-

ლი, რთული სიტყვის კომპონენტებს შორის ირღვევა ხოლმე სინტაქსური კავშირი, რომელიც შესიტყვებას, ჩვეულებრივ, ახასიათებს.

რთული სიტყვები, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავყოთ (მოვახდინოთ მათი კლასიფიკაცია) სიტყვათმაწარმოებლური ნიშნებით.

ადილურ ენებში უნდა გამოიყოს რთულ სიტყვათა წარმოების შემდეგი საშუალებანი:

1. თხზვა,
2. თხზვა შემაერთებელი მორფემით,
3. თხზვა რედუქლიკაციით,
4. მორფოლოგიურ-სინტაქსური საშუალება, კონვერსია,
5. სემანტიკური საშუალება.

რა თქმა უნდა, სხვა ენებში არსებობს რთულ სიტყვათა წარმოების სხვა საშუალებებიც, შესაძლოა, ჩამოთვლილ საშუალებათაგან, ესა თუ ის საშუალება, ამა თუ იმ ენას არ გააჩნდეს. არსებობს საერთოდ სიტყვათქმნადობის და კონკრეტულად რთულ სიტყვათა ქმნადობის მრავალი საშუალება. ფუძეთქმნადობა „основосложение“ მხოლოდ ერთ-ერთია მათ შორის. რაც შეეხება სტრუქტურულ ტიპებს (მორფოლოგიურ წყობას) რთული სიტყვებისა, ისინი გამომდინარე სხვადასხვა ენის განსხვავებული სტრუქტურიდან, შესაძლოა უკიდურესად სხვადასხვაგვარნი იყვნენ (კუმახოვი 1964: 105-108).

კუმახოვი, აღნიშნავს, რომ დესკრიპციულ ენათმეცნიერებაში მორფოლოგიური ერთეულების ანალიზისას, გამოიყენება **უშუალო შემადგენელი ნაწილების** გამოყოფის მეთოდი (immediate constituent). როგორც ცნობილია, აღნიშნული მეთოდი გამოიყენებო ენათა სხვადასხვა დონეზე. მორფოლოგიური დაყოფა სიტყვისა, **უშუალო შემადგენელ ელემენტებად, (სიტყვის) ტრადიციული მორფოლოგიური სტრუქტურის ანალიზთან** შედარებით, უკეთესია. როგორც სამართლიანად აღნიშნავენ დესკრიპტივისტები, **უშუალო შემადგენელ ნაწილთა ანალიზისას**, გამოიკვეთება არა მხოლოდ ყველაზე მცირე, მნიშვნელობის მქონე ერთეულები, არამედ მოდელები და კონსტრუქციები.

წარმოებული სიტყვის დაყოფისას უშუალო შემადგენლებად, ფუძის შიგნით მორფემათა კავშირი დგინდება, რაც უშუალო შემადგენელთა რამდენიმე ფენის გამოყოფის საშუალებას იძლევა. ეს კი, თავის მხრივ, გამოააშკარავებს მოქმედ მოდელებს, ანუ ნაკლებად რთული ერთეულებით, შედარებით უფრო რთული ერთეულების ჩამოყალიბების პროცესს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მორფემული სტრუქტურის ჩვეულებრივი ანალიზისაგან განსხვავებით, უშუალო შემადგენელ ნაწილთა გამოყოფისას, გამოჩნდება სიტყვის მორფოლოგიური შემადგენლობის ღერძი. სიტყვაწარმოებისას გამოაშკარავდება, თუ რა არის მთლიანი, რა მოდელირებული, რა სინთეზირებული. უშუალო შემადგენელთა ანალიზის მეთოდმა შესაძლოა დადებითი შედეგები მოგვცეს ისეთ ენათა სიტყვაწარმოების გარკვევისას, რომლებიც ხასიათდება სიტყვის მრავალმორფემული აგებულებით. მაგალითად, ადიღურ ენებში, მორფემათა უძრავი განლაგების პირობებში, სიტყვის შიგნით, თავისუფლად შესაძლებელია, სიტყვის დაყოფის პროცესში, მორფემათა გადაჯგუფება. დაყოფა შეიძლება მოხდეს სხვადასხვა წერტილიდან: დასაწყისი, ან ბოლო მორფემიდან, იმდენად, რამდენადაც სიტყვის შიგნით, ერთი მორფემა, მიმართებით წინამავალ და ასევე მომდევნო მონაკვეთთან, ქმნის დამოუკიდებელ, ფუნქციურად მნიშვნელობიან და თავისი სტრუქტურით ბინარულ ერთეულს.

ამ მეთოდის გამოყენებით, სინქრონიულ და დიაქრონიულ ქრილში, შესაძლოა, ერთისა და იმავე სიტყვის შემადგენელ ნაწილთა სხვადასხვა რაოდენობა მივიღოთ.

აფხაზურ-ადიღურ ენათა მიმართებაში, სადაც ფუძეთქმნადობა არაიშვიათად, აფიქსაციით და სხვა, სინქრონიულ მიმართებათა დამჩრდილავი მოვლენებით მიმდინარეობს, სიტყვის ყოველმხრივი გამოკვლევისათვის სინქრონიულ დონეზე, აუცილებელია უშუალო შემადგენელ ნაწილთა ანალიზის მეთოდის გარდა, გამოყენებულ იქნეს ტრანსფორმაციული ანალიზის მეთოდი.

ამრიგად, დასძენს კუმახოვი, უშუალო შემადგენელთა გამოყოფის მეთოდისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება, რო-

მელიც ლინგვისტთა ნაწილს გააჩნია, სრულიად უსაფუძვლოა.

უშუალო შემადგენელთა მეთოდი, ისევე, როგორც ენათმეცნიერული ანალიზის სხვა სტრუქტურული მეთოდები, საშუალებას იძლევა დიდი სისრულით გამოვლინდეს ურთიერთკავშირი ელემენტებს შორის, რომლებიც შეადგენს სიტყვის მორფემულ სტრუქტურას. მართალია ბლუმფილდი, როდესაც ამბობსო, რომ უშუალო შემადგენელთა პრინციპი საშუალებას გვაძლევს სიტყვათქმნადობის სხვადასხვა პრინციპები განვსაზღვროთ (მაგალითად, რთული სიტყვები, რთული-აფიქსური სიტყვები და სხვ.) უნდა ვაღიაროთ, რომ სინქრონიული ანალიზისას ხშირია სხვადასხვა სიტყვაწარმოებითი მოდელების აღრევა.

მაგრამ არ უნდა გავაზვიადოთ უშუალო შემადგენელთა მეთოდი სინქრონიულ მიმართებათა და სიტყვის მორფოლოგიური აგების საკითხის გადაწყვეტაში. უშუალო შემადგენელთა მეთოდი, როგორც ენობრივ ერთეულთა დაყოფის ერთ-ერთი მეთოდი, მორფემულ დონეზე, გამოყენებადია მხოლოდ ნაწარმოებ სიტყვათა გარკვეული ტიპისათვის.

სიტყვის მორფემული და სიტყვაწარმოებითი აგებულება, ხშირად ერთიმეორეს ემთხვევა.

ადილურ ენებში სიტყვა თხზწ შედგება ორი მორფემისაგან, ძირისაგან თხზ „წერა“ და სუფიქსისაგან -წ. ამ სიტყვის მორფემული შემადგენლობის სინქრონიული ანალიზი ავლენს მის სიტყვაწარმოებით აგებულებას, მორფოლოგიურ აგებულებასთან ერთად.

როდესაც სიტყვის ყველა მნიშვნელობიანი ელემენტი (ძირი, აფიქსი) უშუალოდ მონაწილეობს სიტყვის ჩამოყალიბებაში, სიტყვის მორფემული და სიტყვაწარმოებითი ანალიზი იგივეობრივია.

უშუალო შემადგენელთა მეთოდი არსებითად არ განსხვავდება სიტყვის მორფემული სტრუქტურის სინქრონიული ანალიზისაგან. მაგრამ აღნიშნული მეთოდის ნაკლი ამაში არ მდგომარეობს. მთავარი ნაკლი ამ მეთოდისა ის არის, რომ იგი გამოუსადეგარია მრავალი სიტყვის სიტყვაწარმოებითი მოდელებისათვის, რომლებიც ხასიათდება რთული და აფიქსური ძირების მონაწი-

ლეობით. დესკრიპტივისტების აზრით კი, აღნიშნული მოდელი პირველად სწორედ სიტყვაწარმოებითი მოდელებისათვისაა განკუთვნილი.

ამრიგად, თუ სიტყვის დესკრიპციული ანალიზი მიზნად ისახავს უმცირესი, მნიშვნელობის მქონე, ელემენტების გამოვლენას, მათი სიტყვაწარმოებითი მოდელი ჩრდილში რჩება. და პირიქით, როდესაც მოცემული სიტყვების ანალიზი მიმართულია სიტყვაწარმოებით მოდელთა გამოყოფისაკენ, ვერ ვლინდება ყველა უმარტივესი მნიშვნელობიანი ელემენტი, რომელსაც ეს სიტყვები შეიცავს.

ბოლოს, აუცილებელია აღინიშნოს, დაასკვნის კუმახოვი, რომ უშუალო შემადგენელთა მეთოდი სრულიად გამოუსადეგარია ისეთ სიტყვათა სტრუქტურული ანალიზისათვის, რომელთა ფუძეც არ ექვემდებარება დიქტომიურ დაყოფას, მიუხედავად, მათი მორფოლოგიური დაყოფადობისა და გამჭვირვალეობისა. განხილული მეთოდი ხომ იქიდან ამოდის, რომ წარმოქმნილი სიტყვა, როგორც სინტაქსური მონაკვეთი, თავისი სტრუქტურით ბინარულია და აქვს გარკვეული დანაშრევების მოწესრიგებულობა. ამასთან, ენებში, სადაც ძირისეულ მორფემას შეუძლია შეერწყას ფუძის მწარმოებელ აფიქსთა მთელს კომპლექსს, რომლებიც გამოხატავს სივრცით, საურთიერთო, უკუქცევით და სხვ. მიმართებებს, სიტყვის მორფემული სტრუქტურის დიქტომიური ანალიზი შეუძლებელი აღმოჩნდება.

ასე, რომ დიქტომიური დაყოფის პრინციპზე დამყარებთ, ენის მოქმედ მოდელთა გათვალისწინებით, უშუალო შემადგენელთა მეთოდი იძლევა საშუალებას გამოვაცალკევოთ სინქრონიული ტიპის სიტყვაწარმოება მათი მორფემული აგებულებისაგან. მორფემულ დონეზე კი აღნიშნული მეთოდის გამოყენება შეზღუდულია ნაწარმოებ სიტყვათა გარკვეული ტიპით (კუმახოვი 1964: 25-33).

საინტერესოაა წარმოდგენილი რთული სიტყვების საზღვართა დადგენის საკითხი ა. ნ. აბრეგოვის გამოკვლევაში: „Исследования по лексике и словообразованию адигейского языка, „Майкоп“, 2000: რთული სიტყვები ადიღურ და ყაბარდოულ-

ჩერქეზულ ენებში ხასიათდება მრავალი სპეციფიკური თავისებურებით და სიტყვაწარმოებითი მოდელების მრავალფეროვნებით, რომლებიც სხვადასხვა პროდუქტიულობისაა. სიტყვათშეერთება ერთ-ერთი უძველესი და გავრცელებული საშუალებაა ამ ენების ლექსიკის გამდიდრებისა მათი ისტორიული განვითარების გზაზე. კომპოზიტებს განეკუთვნება სიტყვათა უმეტესობა, რომლებიც გვხვდება ადიღური ენების ბოტანიკურ ნომენკლატურაში. ფსღღ^ღცანა „დუმფარა“, ფსღღ^ღ „მდინარის შუაგული“, ცანა „მაგიდა“ (აბრეგოვი 2000: 79).

თუ კომპოზიტი – ეს არის (ლექსემა), სიტყვათშეერთება – ეს არის ორი ან მეტი დამოუკიდებელი სიტყვის შეერთება, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია აზრობრივად და გრამატიკულად, გამოხატავს ერთიან, მაგრამ დანაწევრებულ მნიშვნელობას და წარმოადგენს ობიექტური სინამდვილის ან მოვლენის რთულ სახელწოდებას.

როგორც ქვემოთ მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, მცენარეთა სახელდებისათვის გამოიყენება, როგორც რთული სიტყვები, ასევე სიტყვათშეერთებანი. ასეთი სიტყვათშეერთებები, როგორც წესი, ბინარულია, რომელშიც პირველი კომპონენტი გამოხატავს გვარს (მცენარისა), მეორე კი სახეობას (თუკი ატრიბუტულ კომპლექსში მეორე კომპონენტი გამოხატულია ვითარებითი ზედსართავით): ადიღ. ჳ^ღემზღლ ჳ^ღებ „ალვის ხე პირამიდისებური“. სიტყვასიტყვით: „ალვის ხე გრძელი“...

მეორე კომპონენტის როლში შეიძლება მოგვევლინოს ზმნური ფორმა: ადიღ. ჯ^ღნ^ღ დ^ღჳ^ღუაი „ჭრელი ლობიო“, სიტყვასიტყვით: „ლობიო მალა ამსვლელი, შემომხვევი“. სხვა შემთხვევაში, ბინარულ შეერთებაში, პირიქით, პირველი კომპონენტი გამოხატავს სახეობითს, მეორე (მცენარის) გვარის გაგებას (თუ სიტყვათშეერთებაში, ატრიბუტულ მიმართებას გამოხატავს მიმართებითი ზედსართავი ან სიტყვა, რომელიც მისი ფუნქციით იხმარება): ჩერქ. ყერგმ ყაბ „ჩვეულებრივი გოგრა“, სიტყვასიტყვით: „ყირიმული გოგრა“... შედარებით იშვიათად გვხვდება სამკომპონენტისანი შეერთებანი, რომელიც მცენარის სახელწოდებას წარმოადგენს: ფსღ ზგჳ^ღათ ყ^ღგ^ღ „მსხლის წყლიანი ჯიში“, სიტყვა-

სიტყვით: „წყლის (წვენის) შემცველი მსხალი“ (აბრეგოვი 2000: 80).... ადიღურში შედარებით იშვიათია კუთვნილებით-გაფორმებული სიტყვათშეერთებები. ასეთი სინტაქსური წყვილის შემადგენლობაში ერთ-ერთ კომპონენტად გვევლინება ანთროპონიმ: ნაჯგყ ია-უგც „მცენარის სახელწოდება, რომელიც კარიესის სამკურნალოდ იხმარება“, სიტყვასიტყვით: „ნაჯყეყების მათი ბალახი (წამალი)“.

... გვხვდება ასევე სინტაქსური ოდენობები... რომლებიც უახლოვდება რთულ სიტყვებს, რომელთა კომპონენტები მსაზღვრელ-საზვრულ ან საზღვრულ-მსაზღვრელობით ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებიან. მეორე მხრივ, შინაარსობრივად ეს რეალიები ემთხვევა ჩვეულებრივ (ტიპურ) სიტყვათშეერთებებს, რომლებიც გამოხატავს ერთიან, მაგრამ განცალკევებულ შინაარსებს, თუმცა გრაფიკულად ისინი სიტყვებივით გამოისახება. ამრიგად, სიტყვათშეერთების ეს ტიპი განსხვავდება, როგორც რთული სიტყვების, ასევე სიტყვათშეერთებებისაგან... ასეთი სახეობების აღსანიშნავად გამოიყენება სხვადასხვა ტერმინი: „სინტაქსური კომპლექსი“, „სახელური კომპლექსი“, „მეზორცებული სახელური კომპლექსი“... და სხვ... (აბრეგოვი 2000: 81).

აბრეგოვი ასეთი სიტყვათშეერთებების აღსანიშნავად გვთავაზობს შედარებით უნივერსალურ სახელწოდებას: **სინტაქსური ბლოკი**, ითვალისწინებს რა, რომ აღნიშნული ტიპის წარმოება, რთული სიტყვებისა და ჩვეულებრივი სიტყვათშეერთების საზღვარზე იმყოფება. ამ ტერმინით ხაზი გაესმებაო, აღნიშნული სიტყვათშეერთების მთავარ დამახასიათებელ თვისებას: **მთლიანობას**. სინტაქსური ბლოკის / სინტაქსემის შემადგენელი კომპონენტების სტრუქტურა სემანტიკურად გამჭვირვალეა (აბრეგოვი 2000: 82).

თავისთავად, ნებისმიერი კომპონენტი დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვადაც გამოიყენება. ისინი, შესაძლოა, პოლისემიურნი ან ომონიმურნი იყვნენ, მაგრამ, როდესაც სინტაქსური ბლოკის შემადგენლობაში შედიან, მთლიანად ან ნაწილობრივ ესხნებათ პოლისემია და ომონიმია. მაგ., სიტყვა ცა ადიღურში პოლისემიურია, იგი აღნიშნავს: „კბილს“, „კბილა-

ნას“, „მცირე საქრელს“, „მარცვალს“ და სხვ. როდესაც იგი შეეცა ერთი ტიპის სიტყვათშეერთებაში: ქ^აწცგვ „ხორბლის მარცვალი“, ნათრგ/გცა „სიმინდის მარცვალი“, იგი მხოლოდ ერთმნიშვნელობიანი ხდება, ც^ა-ს აქვს მხოლოდ ერთი მნიშვნელობა „მარცვალი“... (აბრეგოვი 2000: 82, 83).

აჯამებს რა ზემოთ თქმულს, აბრეგოვი აღნიშნავს რომ: **სინტაქსური ბლოკი**, ეს არის გრაფიკულად სიტყვა, რომელიც აქცენტოლოგიური, ფორმათწარმოებითი, ორთოგრაფიული ურთიერთობით უახლოვდება რთულ სიტყვებს, ხოლო სემანტიკურად და შეერთების საშუალებებით, ემთხვევა გარდამავალ სიტყვათშეერთებებს (აბრეგოვი 2000: 83).

ამ პრობლემას ეხება კუმახოვიც: აღნიშნავს, რომ რთული სიტყვები გვევლინება მთლიან სტრუქტურულ ერთეულებად, რომლებიც ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: 1. სემანტიკური მთლიანობა, 2. ერთი პარადიგმატული კლასისადმი განკუთვნიება. 3. კომპონენტთა კომპაქტურობა. 4. კომპონენტის უნარმოკლებულობა განისაზღვროს სხვა სიტყვებისაგან განცალკევებულად. კომპონენტთა მყარი მოწესრიგებულობა (რიგი) (აბრეგოვი 2000: 83-84).

გ. პაული მივიდა იმ მოსაზრებამდე, რომ რთული სიტყვები უნდა გაიყოს ორ ფენად: „უფრო ადრინდელი, რომელიც შედგება სიტყვებისაგან, რომლებიც მომდინარეობს უშუალოდ ფუძე ენიდან, ან წარმოქმნილია მათი ანალოგიით, და გვიანდელი, რომელიც ჩამოყალიბდა ამ მაგალითთაგან დამოუკიდებლად სხვადასხვა ენათა გავლენის ნიადაგზე. მეორე ტიპის სიტყვათა წარმოება არაიშვიათია ჩვენს თვალწინ, მის საფუძველში ყოველთვის ძვეს თავდაპირველი დამოუკიდებელი ელემენტების სინტაქსური შეერთება (აბრეგოვი 2000: 84).

ო. იესპერსენსაც შესაძლებლად მიაჩნდა ორი დამოუკიდებელი სიტყვის ერთ მთლიან სიტყვად ჩამოყალიბება (აბრეგოვი 2000: 84).

ე. ბენვენისტის აზრით, სახელური შეერთება – ეს არის მიკროსინტაქსისი, რთული სახელების თითოეული ტიპი უნდა შესწავლილ იქნეს, როგორც თავისუფალი სინტაქსური შესიტყვების ტრანსფორმაციის შედეგი (აბრეგოვი 2000: 84).

ლ. ბლუმფილდი თვლიდა, რომ აუცილებელია რთული სიტყვების დაყოფა: სიტყვათშეხამებიდან წარმოშობილად და რთულ სიტყვათაგან წარმოშობილად (აბრეგოვი 2000: 85).

ჰაულის აზრით, სინტაქსური შესიტყვებიდან რთულ სიტყვაზე გადასვლა თანდათანობითია. ეს პროცესი კარგად ჩანს დამწერლობიან ენებში. ახალდამწერლობიან ენებშიც იგივე პროცესია საგულვებელი. ამაზე მიუთითებს კუმახოვი. ჩვენი დაკვირვებებით, განაგრძობს აბრეგოვი, სიტყვათშეხამებების ბაზაზე, ყალიბდება მნიშვნელობათა სპეციალიზაციისაკენ მიმართული მცენარეთა სახელწოდებები.

ბლუმფილდმა მიაქცია ყურადღება, რომ რთული სიტყვები უფრო მეტად სპეციალიზებულია, ვიდრე სიტყვათშეხამებიანი და აქვთ უფრო ვიწრო მნიშვნელობა, ვიდრე სიტყვათშეხამებებს (აბრეგოვი 2000: 85).

რთული სიტყვების გენეტიკური კავშირი სიტყვათშეხამებებთან, რომლებიდანაც ისინი ჩამოყალიბებულია, უფრო ადვილი თვალის გასადევნებელია, როცა სიტყვათშეხამება ფრაზეოლოგიურია. შდრ.: გ^ეჟღაღახ/წ „პიტნა“, გ^ე „გული“, ჟ „ჰაერი“, დაღახ/წ „შემშვები“ და ფრაზეოლოგიური შესიტყვება სგ^ე ჟღაღახ „დამაწყნარე“, სიტყვასიტყვით: „ჩემს გულში ჰაერი შემამშვებინე“.

... შესიტყვებათაგან და სინტაქსურ ბლოკთაგან რთული სიტყვების ჩამოყალიბების ანალიზი ცხადყოფს, რომ განსაზღვრულ ეტაპზე ეს ორი ოდენობა ენაში თანაარსებობდა. შემდეგ, რთული სიტყვის მდგომარეობა მყარდება, ხოლო შესიტყვება, როგორც არასაჭირო იკარგება. ამას ცხადყოფს ორჭოფი მათი დაწერილობისას (ერთად დაიწეროს, თუ ცალ-ცალკე).

ბალყაროვი აღნიშნავს, რომ ზოგჯერ წარმოებული ფორმები იკავებს პირველადი ფორმების ადგილსო. ამის შედეგად პირველადი ფორმები იკარგება და ნაწარმოები რჩება. (აბრეგოვი 2000: 87).

რთული სიტყვები, თავის მხრივ, ფონეტიკურ და სემანტიკურ ცვლილებათა ზეგავლენით ტრანსფორმირდება მარტივფუძიან სიტყვებად.

ადილურ ენათმეცნიერებაში ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი საკითხი იმის შესახებ, თუ რა გზა გაიარა ერთკომპონენტთანმა მცენარეთა სახელწოდებებმა, რომლებიც ბინარული სიტყვათშეხამებებიდან მომდინარეობს. საქმე ეხება სემანტიკურ კონდენსაციას (უნივერბაციას), როცა ლექსიკურად, სემანტიკურად განსხვავებულ ორშემადგენელიან სახელწოდებათაგან ყალიბდება ერთშემადგენელიანი სახელწოდება. ამასთან, მიღებული ლექსემა მთლიანად ინარჩუნებს პირველად მოტივაციას, რომელიც გააჩნდა მაშინ, როდესაც იგი იყო ორწევრიანი.

ავტორი დაასკვნის, ჩატარებული დაკვირვება ამტკიცებს, რომ არსებობს საკმაოდ რთული ურთიერთდამოკიდებულება რთულ სიტყვებს, სინტაქსურ ბლოკებსა და სიტყვათშეერთებებს შორის (აბრეგოვი 2000: 88).

ა. აბრეგოვის აღნიშნულ ნაშრომში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი მცენარეთა აღმნიშვნელი სახელწოდებების უნივერბაციისა და ელიფსური დერივაციის პრობლემის განხილვას:

აფხაზურ-ადილურ ენათა სიტყვაწარმოების თეორიაში სუსტად არის გაშუქებული შეკუმშული სიტყვაწარმოება, რომლის წყალობითაც წარმოიშობა ნომინაციური ერთეულები, რომლებიც საწყისი სიტყვის მნიშვნელობის მატარებელია, მაგრამ მისგან (ამოსავალი სიტყვისაგან, შედარებით მოკლე ფორმით განსხვავდება. აქვე უნდა შევიდეს უნივერბაცია, შეკვეცა, სუბსტიტუცია და აბრეგიაცა...

როზვადოვსკის მიხედვით, განაგრძობს აბრეგოვი, ენობრივი ერთეული, თითქოს, ორი ნაწილისაგან (კომპონენტისაგან) შედგება, რომელთაგანაც ერთი იდენტიფიკაციას, ხოლო მეორე კი დიფერენციაციას ახდენს. ამის საილუსტრაციოდ აბრეგოვს მოჰყავს უბე დახ'წ „ყვავილი“, რომელიც გვხვდება ყაბარდოულ-ჩერქეზულ ენაში. ეს ნიშანი (სიტყვა) იმით არის საინტერესო, რომ მასში მაიდენტიფიცირებელ კომპონენტად გამოდის სიტყვა უბე „ბალახი“, იმდენად, რამდენადაც ყვავილი ბალახეული მცენარეა, ხოლო დახ'წ „ლამაზი“. ლექსემა აღნიშნავს, რომ ყვავილი ჩვეულებრივი ბალახისაგან თავისი სილამაზით გამოირჩევა. აბაზურშიც იდენტური ვითარებაა: ხ'უბრაფშემა, სიტყვასიტყვით:

„ბალახი ლამაზი“. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს სახელწოდება-ინოვაცია აბაზურში ყაბარდოულ-ჩერქეზული ენის გავლენით მოხდა და თავისებურ აზრობრივ კალკს წარმოადგენს უბნ დახ“ნ „ყვავილი“ ადიღური სიტყვისას; მაშინ, როცა მონათესავე აფხაზურ ენაში და აბაზური ენის აშხარულ დიალექტში ფუნქციონირებს სხვა წარმოშობისა და წარმოების ამოსავალი ლექსემა აშ“ტო „ყვავილი“ (აბრეგოვი 2000: 89).

საგულისხმოა, რომ აფხაზურის აშ“ტო „ყვავილი“ ლექსემა მომდინარეობს აშ“ტრა „ყვავება“ მასდარისაგან, ისევე, როგორც ეს ქართულშია. შდრ.: ყვავ-ილ-ი, აყვავ-ებ-ა...

უნდა ვივარაუდოთ, აღნიშნავს აბრეგოვი, რომ ადიღური ენების ისტორიული განვითარების მანძილზე, ორკომპონენტური სახელწოდება ყვავილისა, ენობრივი ეკონომიური საშუალებების გამოყენებით, განიცდის უნივერზაციას და გადადის ერთკომპონენტურ სახელწოდებაში, შესიტყვების შეკუმშვის გზით, ანუ ერთ-ერთი კომპონენტის მოკვეციტ:

ორკომპონენტური სახელწოდება	→	უნივერზაცია
ადიღური:	უბც ჳწალ/წ	წწალწ
შაფსულური:	უბც ნწგლ/წ	წწგლ/წ
ყაბ.-ჩერქეზული:	უბმ ღალწ	ღალწ

აბრეგოვს მოჰყავს კიდევ ერთი მაგალითი უნივერზაციისა: ჯალ“ინწწ-აშ“ტრომ, ჯონწ-აშ“ტრომ, „სიტყვასიტყვით: „სულების (ეშმაკთა) წყლის კაკალი“, შდრ.: რუსული чертовы орехи. ეს ორკომპონენტური სახელწოდება არ შემორჩა ადიღური ენის არც ერთ დიალექტს. სავარაუდოა, ინოვაცია – აშ“ტრამ-მა, როგორც ინფორმაციის გადმოცემის ეკონომიურმა საშუალებამ, გამოდევნა ხმარებიდან ძველი სახელური ჯგუფი ხგწწ აშ“ტრამ „სულთა წყლის კაკალი“.

აბრეგოვი ვარაუდობს, რომ მცენარეთა სახელწოდებების გარკვეული ნაწილი ადიღურ ენებში იწარმოება ელიფსური დერივაციის შედეგად, რომლის დროსაც, შესიტყვების კომპონენტი ან მსაზღვრელი, ან საზღვრული იკვეცება.

ბუნებრივია, რომ ყველა ოდენფუმიან სახელწოდებას, უნივერზაციის პროცესის შედეგად მიღებულად ვერ მივიჩნევთ. დე-

მოტივაციასთან ერთად, რომელსაც სემანტიკური კონდენსაციის დროს აქვს ადგილი, არსებობს საპირისპირო პროცესიც – სიტყვა-თა მოტივაცია და გადაქცევა შესიტყვებებად, რაშიც სიტყვაწარმოებით მოდელებს გარკვეული როლი აქვთ.

აფხაზურ-ადიღურ ენებში უნივერზაციასთან ერთად, მოქმედებს სიტყვაწარმოების ისეთი მეთოდი, როგორიცაა მოკვეცა (ელიფსი, ელიფსისი) რთული სიტყვისა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მსაზღვრელის ან საზღვრულის ელიფსისის შედეგად, წარმოიშობა ინოვაცია – ახალი ლექსიკური ერთეული. ელიფსისი სიტყვათქმნადობის ერთ-ერთი საშუალებაა ლექსიკის გამდიდრებისათვის.

ადიღურ ენაში სხვ სიტყვას აქვს ამოსავალი მნიშვნელობა „თავი“. იგი გამოიყენება ისეთი მნიშვნელობების გადმოსაცემად, როგორიცაა „სიმინდის ტარო“, „პურის თავთავი“, „თავი ხახვი“... ეს სიტყვები მნიშვნელობის განვითარებით არ არის მიღებული. მათი ამოსავალი წყარო სხვადასხვაა. ისინი წარმოიშვნენ სინტაქსური ბლოკის ან რთული სიტყვის ერთ-ერთი კომპონენტის ელიფსის შედეგად.

ორკომპონენტისანი სახელწოდება →	შეკვეცილი ფორმა
ნათრგ'გს'ხვ „სიმინდის ტარო,,	ს'ხვ
ქ'ვცეს'ხვ „პურის თავთავი,,	ს'ხვ
ბზ'ენეს'ხვ „თავი ხახვი,,	ს'ხვ

ეტიმოლოგიისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პერიფრაზსა და უნივერზაციით მიღებულ ლექსემას შორის გარდამავალი ფორმის (შუა რგოლის) აღდგენას.

შემდეგ აზრეგოვი, აღნიშნული თვალსაზრისით, საინტერესო მაგალითს გვათავაზობს: ქართული **საზამთრო** მიღებული უნდა იყოს ანალოგიური პროცესის მოქმედების შედეგად. კერძოდ, საზამთრო < საზამთრო ხილი. ავტორისათვის ამ მოსაზრების საფუძველია სხვა ენათა მონაცემები. ლეზგიურში საზამთროს ორი სახელი აქვს. xali და qüñin, სიტყვასიტყვით: „ხილი“ და „საზამთრო“ ნესვს კი ერთი: gatun xali, სიტყვასიტყვით: „ზაფხულის საზამთრო“. ახალ ბერძნულშიც ანალოგიურად იწარმოება აღნიშნული ბაღჩეული კულტურის სახელწოდებაო.

აფხაზურ-ადილური ენების ფაქტობრივი მასალის ანალიზი საშუალებას იძლევა შემდეგი დასკვნისათვის: მორფოლოგიურ სიტყვაწარმოებასთან ერთად, სიტყვის ერთი ნაწილიდან მეორეში გადასვლის გარდა, შესიტყვების სიტყვაში გადასვლის გარდა, რთულ სიტყვათა ბაზაზე დაყრდნობით, განსაზღვრული ადგილი უკავია ენაში ელიფსურ დერივაციას. იგივე ვრცელდება სინტაქსურ ბლოკებსა და შესიტყვებებზეც.

აბრეგოვის აზრით, ადილური ენის რთული სიტყვები ასრულებენ ენაში კუმულაციის ფუნქციას, რამდენადაც მათს აგებულებაში შედის კომპონენტები, რომლებიც ადრე დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულები იყო, მაგრამ ისტორიული განვითარების პროცესში გამოვიდა ხმარებიდან. ეს სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ, რთულ სიტყვათა შორის არის ძველი წარმონაქმნები, მათთან ერთად კი, მეორეული წარმოების სიტყვები, რომლებიც თავდაპირველ ნომინაციას ცვლის: ადრე ისინი უნდა ყოფილიყო მარტივი და არა რთული სიტყვები. ადილური სახელწოდება შხგნც^ემფჷ „ლეღვი“, მეორეული წარმონაქმნია და შედგება შხგნ და ც^ემფჷ-საგან; ც^ემფჷ კომპონენტი თანამედროვე ადილურში დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულია და ნიშნავს „მარწყვს, კენკრას“, ხოლო პირველი კომპონენტი, აბრეგოვის აზრით, ბერძნული წარმოშობისაა და აქვს მნიშვნელობა „ლეღვი“. ამის კვალობაზე სიტყვა შხგნც^ემფჷ ნიშნავდა „ლეღვი-კენკრას“. ანალოგიური სიტუაცია განმეორდა ჩგნაჷჷ „ულუმბო“, „უცხო სუნელი“ სიტყვაში, სადაც მეორე კომპონენტის როლში ჷჷ გვევლინება, რაც ნიშნავს „თესლს“. ადილურ ლიტერატურულ ენაში ეს ლექსემა არ არის, მაგრამ შაფსულურმა შემოინახა. კულინარიაში გამოიყენება ამ მცენარის თესლი. ჩგნაჷჷ „ულუმბო, უცხო სუნელის თესლი“. ამრიგად ნაწილის მნიშვნელობა გადავიდა მთელზე. მნიშვნელობის ასეთ გადასვლას ენათმეცნიერებაში სინეკდოქა ჰქვია.

ადილური ენის ფიტონიმიაში გამოიყოფა მეორეული სახელწოდებანი, რთული სიტყვები, რომლებშიც კომპონენტების სახით შემონახულია დაკარგული ლექსიკური ერთეულები (აბრეგოვი 2000: 90-93).

წინამდებარე ნაშრომის მიზანია აფხაზური ენის ფაუნის ლექსიკის, რაც შეიძლება, სრული ასახვა.

ფაუნის სახელწოდების მოტივაციის დადგენა, ფაუნის სახელწოდებების სისტემატიზაცია სემანტიკურ-სტრუქტურული თვალსაზრისით; ამის კვალობაზე აფხაზური ენის შიდაზრის გამოვლენა; ლექსიკის ნასესხები ნაწილის გამოყოფა აფხაზური ენის საფუძველზე შექმნილ სახელწოდებათაგან.

ფაუნის სახელწოდებების შექმნის სტრუქტურული მოდელების სათითაოდ გაანალიზება, მათში გამოვლენილ მეტყველების სხვადასხვა ნაწილთა, თუ მორფემათა გამოყოფა; დაჩრდილული სემანტიკის მქონე ფაუნის სახელწოდებების დაფიქსირება; აგრეთვე, ზოგიერთი ფაუნის სახელწოდების ეტიმოლოგიური ანალიზი.

ფაუნის აღმნიშვნელი ლექსიკა აფხაზურში, ზოგადად, იყოფა ორ ჯგუფად: ეს არის ნასესხები სიტყვები და სახელწოდებები, რომელთაც აფხაზურის საშუალებით უხერხდება ახსნა.

თავად, ფაუნის აფხაზური სახელწოდებები, შეიძლება, ასევე ორ ჯგუფად გაიყოს: სახელწოდებათა ერთი ნაწილის ფუძე მარტივია, ზოგჯერ ერთ მარცვალსაც არ აღემატება: სახელწოდებათა უფრო დიდი ნაწილი კომპოზიტებს წარმოადგენს, ან აფიქსაციითაა მიღებული.

თავის მხრივ, კომპოზიტები, ცხადია, აფხაზური ენის გრამატიკული ნორმების დაცვითაა ძირითადად შედგენილი, თუმცა გვხვდება გამონაკლისებიც.

ნაშრომში გაანალიზებულია კომპოზიტთა სტრუქტურა, განხილულია კომპოზიციის ყველა შესაძლო შემთხვევა, რომელსაც ადგილი აქვს ფაუნის სახელწოდებებში.

I თავი

1. ცხოველთა სახელწოდებები

სემანტიკური თვალსაზრისით ცხოველთა ლექსიკა შეიძლება დაიყოს შინაურ და გარეულ, მდედრობითი და მამრობითი სქესის, ნაშიერთა სახელწოდებებად.

სტრუქტურული თვალსაზრისით ცხოველთა ლექსიკაში გამოიყოფა სხვადასხვა მოდელები.

1. ცხოველთა სახელწოდებანი წარმოდგენილია გაუფორმებული ფუძით, სიტყვათმაწარმოებელ აფიქსთა გარეშე:

აჟ° „ძროხა“ ,
 აც° „კამეჩი“ ,
 აჯმა „თხა“ ,
 აცგუ „კატა“ ,
 აბ „ბოტი, ვაცი“ ,
 აჟასა „ცხვარი“ ,
 აჰ ზნაფ „თაგვი“ ,
 აჰა „ლორი“ ,
 აჟა „კურდღელი“ ,
 ათგ „ვერძი“ ,
 აბგა „მგელი“ ,
 აჩგ „ცხენი“ ,
 ალა „ძაღვი“ .

2. ცხოველთა სახელწოდებებს ერთვის მამრობითი სქესის ცხოველ-ფრივენლთა აღმნიშვნელი -ღ ნახევარსუფიქსი:

ათგღ „ყოჩი“ ,
 აბაღ „ვაცი“ ,
 აცაღ „კურო“ ,
 აჰაფაღ „კერატი“ .

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ -ღ ელემენტს დაირთავს აჰ ტაღ „კვერცი“ ლექსემაც.

ცხოველთა მამრობითობის აღსანიშნავად გამოიყენება აგრეთვე -აბ ნახევარსუფიქსი. ამ სუფიქსის ამოსავალი მნიშვნელობა არის „მამა“:

აბ „ბოტი“,
 აც^გაბა (ბზ.) აც^გაბ „ხვადი კატა“,
 აბლაბ „ხარ-ჯიხვი“,
 აჩაბა „მამალი ცხენი“, ახტა „ვაყა“.

3. ცხოველთა სახელწოდებებს მდედრობითობის აღსანიშნავად ერთვის მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი ნახევარსუფიქსი -ფს:

აცგ^აფს „ძუ კატა“,
 აჩადაფს „ჭაკი ვირი, ფაშატი, ვირი, ხრდალი“,
 აჟაფს „დედალი კურდღელი“.

აფსლაჰ^ჰ „ნეზვი, დედალი არჩვი“... ამ უკანასკნელ შემთხვევაში -ფს აფიქსი პრეფიქსად გვევლინება.

მდედრობითობის გამოსახატავად გამოიყენება აგრეთვე -ან ნახევარსუფიქსი, რომლის ამოსავალი მნიშვნელობა არის „დედა“:

აჩან „ფაშატი“.

4. ნაშიერთა სახელებს ერთვის დიმინუტივის -ს სუფიქსი:

ასგს „ბატკანი“,
 აძგს „თიკანი“,
 აჰგს „ხბო“,
 აც^წგს „მოზვერი“,
 აშგშ < აშგს „გოჭი“,
 აფსასა „წვრილფეხა საქონელი“.

აღნიშნული სუფიქსი, როგორც ქეთევან ლომთათიძემ გარკვევა, მომდინარეობს აწგს (ბზ. აწგს) „ჩიტი“ ძირიდან, რომელიც შემდეგ განზოგადდა და ნაშიერთა აღმნიშვნელ სინორჩესიპატარავის გამომხატველ სუფიქსად იქცა.

ნაშიერთა -ს სუფიქსიან სახელებს მრავლობითში -ს ჩამოსცილდება და მის ადგილას დაერთვის -რ(ა) სუფიქსი.

ასგს „ბატკანი“, ასარა „ბატკნები“,
 აჰგს „ხბო“, აჰარა „ხბორები“.

5. გარეულობის აღსანიშნავად ცხოველის აღმნიშვნელ სახელის ფუძეს წინ ერთვის აზნა „ტყე“ ლექსემა:

აზნაც „ხარ-ირემი“,
 აზენჰა „ტახი“,
 აზნჩაც „ხარ-ირემი“,
 აზენჩა „ფურ-ირემი“.

ეს სიტყვა -აზნა „ტყე“ გამოდის მსაზღვრელის როლში და დგას საზღვრულის წინ. აფხაზურში მიმართებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი წინ უძღვის საზღვრულს.

6. ცხოველთა სადგომის, შემოზღუდული სივრცის აღსანიშნავად ცხოველის აღმნიშვნელ ფუძეს ერთვის-რთა /-თრა სუფიქსი:

აჟ-თრა „ბოსელი“,
 აჰგს-თრა „სახბორე“.

ეს სუფიქსი უნდა მომდინარეობდეს ათრა „სორო“ ფუძისაგან, რომლის მნიშვნელობაც გაფართოებულა და ამჟამად, ზოგადად შემოზღუდული სივრცის აღსანიშნავად იხმარება.

7. ცხოველთა სიმრავლე აღინიშნება ნივთთა კატეგორის -ქა სუფიქსით:

აჩა-ქა „ცხენები“, აჟ-ქა „ძროხები“ ან კრებითობის -რა სუფიქსით. შესაძლოა -რა და -ქა სუფიქსების ერთდროული დართვაც: ასა-რა-ქა „ბატკნები“, აჰა-რა-ქა „ხბორები“. ასეთ შემთხვევებში, ვფიქრობთ, დაჩრდილულია წინამავალი -რა სუფიქსის ფუნქცია და ფუძე ხელმეორედ არის გაფორმებული ნივთთა კატეგორიის მრავლობითობის -ქა სუფიქსით.

სიხშირის მიხედვით ცხოველთა აღმნიშვნელ სახელწოდებებში პირველ ადგილზე ოდენფუძიანი წარმოებაა, მეორე ადგილზე გარეული ჯიშების აღმნიშვნელი სახელწოდებებია, რომ-

ლებიც აზნა „ტყე“ ლექსემას შეიცავს, ბოლო ადგილი ვითარებით ზედსართავ სახელდართულ ფუძეებს უკავია. ასეთებია:

აზგახ გჳჳ „მელა“, ზედმიწევნით: მგელი პატარა“,

აზგადეჟ „მგელი“, სიტყვასიტყვით: „მგელი დიდი“.

ამ შემთხვევაშიც აფხაზურ ენაში არსებული მოდელი, საზღვრულ-მსაზღვრელის ხმარებისა, დაცულია. ვითარებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვარელი მოსდევს საზღვრულს.

აღსანიშნავია აგრეთვე ისეთი შემთხვევები, როდესაც ცხოველთა აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინები ამჟამად არსებით სახელად ქცეული ზმნური ფუძეებია:

ალალა „ირაო საქონელი“ (შდრ. ა-ლა-ლა-რა „რამეში შიგ შესვლა“), აგრეთვე **-ხ** სუფიქსით ნაწარმოები სახელწოდება **ა-შა-რა-ხ** „ნადირი“ (შდრ. ა-შა-რა „ნადირობა“).

2. მეცხენობის ლექსიკა

აფხაზური ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში ცხენთან დაკავშირებული ლექსიკა განსაკუთრებული სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

ზოგადად კავკასიასა და კერძოდ ჩრდილო კავკასიურ კულტურაში ამ ცხოველს ოდითგანვე განსაკუთრებული როლი აკისრია, როგორც გადაადგილების ეფექტურ საშუალებას, როგორც მთის მცხოვრებთა განუყოფელ ნაწილს.

აფხაზურ ფოლკლორში, ანდაზებში, პატივისცემითა და სიყვარულით მოიხსენიება ცხენი: **აჩგ ატაჯგ ძმა ალოტჳ რჳოფტ** „ცხენს ადამიანის სისხლი აქვსო ამბობენ“... ცნობილი აფხაზური ანდაზაა.

ცხენის უყოლობა სირცხვილად ითვლება: **მამგადჟ – ჩგდა შაპრაჳა** „არასმქონე გულდიდი, უცხენოდ ფეხგაწვდილი“ (არის).

სემანტიკური თვალსაზრისით ცხენთან დაკავშირებული ლექსიკა შეიძლება დაიყოს მდედრობითი და მამრობითი სქესის, ნაშიერთა, ცხენის ასაკისა და ფერის მიხედვით განსხვავებულ სახელწოდებებად.

სტრუქტურული თვალსაზრისით ცხენთან დაკავშირებულ ლექსიკაში გამოიყოფა სხვადასხვა მოდელები: ოდენფუძიანი, აფიქსაციითა და კომპოზიციით ნაწარმოები სახელწოდებანი, ცალკეა გამოსაყოფი ნასესხები ლექსემები.

აჩე „ცხენის“ ზოგადი სახელია.

აჩაბა 1. „მამალი ცხენი, ახტა, ვაყა“; 2. „მამალი კვიცი“.

-**ახ** ნახევარსუფიქსი მამრობითობის აღსანიშნავად გამოიყენება. ამ სუფიქსის ამოსავალი მნიშვნელობა არის „მამა“. **აჩა+ახა** სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ცხენი მამა“.

აჩან „ფაშატი, ჭაკი (ცხენი, ვირი და მისთ.)

-**ან** ნახევარსუფიქსი მდედრობითობის გამოსახატავად გამოიყენება. მისი ამოსავალი მნიშვნელობა არის „დედა“: **აჩ+ან** სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ცხენი დედა“.

აჩწეს „კვიცი“, **აჩ+წეს** ზედმიწევნით: „ცხენი ჩიტი“ .

აღნიშნული სუფიქსი, როგორც ქეთევან ლომთათიძემ გარკვევა, მომდინარეობს **აწეს** (ზუ. **აწეს**) „ჩიტი“ ძირიდან, რომელიც შემდეგ განზოგადდა და ნაშიერთა აღმნიშვნელ სინორჩესიპატარავის გამომხატველ სუფიქსად იქცა.

ნაშიერთა -ს სუფიქსიან სახელებს მრავლობითში -ს ჩამოსცილდება და მის ადგილას დაერთვის -**რ(ა)** სუფიქსი: **აჩწეს, აჩწარაქა** „კვიცები“, **ასეს** „ბატკანი“, **ასარა** „ბატკნები“, **აჰეს** „ხბო“, **აჰარა** „ხბორები“.

აჩაბაა, აჩაბააჟ „ჯაგლაგი, ჭახრაკი ცხენი“ **აჩა+აბაა**, სიტყვასიტყვით: „ცხენი დამპალი“, **აჩა+აბაა+ჟ** ზედმიწევნით: „ცხენი დამპალი ბებერი“...

აჩეზ „ქურანი, რასხი, შვინდ-წაბლისფერი ცხენი“,

აჩეზა „სისვი, ნისლა, ტრედანა, ლურჯა ცხენი“,

აჩეჯ „დოლის ცხენი“, **აჩე+ჯ, აჩე** „ცხენი“ **ჯ < აჯრა** „სირბილი“ ლექსემისაგან.

აჩურა „ურა ცხენი“,

აჩლარჯ „თეთრა ცხენი“ ლარჯ კომპონენტი უნდა იყოს ქართული „ლურჯიდან“ მიღებული - ლურჯ > ლარჯ.

აჩკუარ „იორლა, თოხარიკი ცხენი“,

აჩიქა „შავი ცხენი, შავრა“ < აჩგ + აქა „შავი“ ზედსართავი სახელისაგან.

ახ^ნგ^{შა}შ^{შგ} „კავშა, კოჭბროლი“ სამკომპონენტია უნდა იყოს: ახ^ნგ^{შა}+შ^{შგ}, ახ^ნგ^შ „ოქრო“, შა „ფეხი“, შა აშკ^აკ^ა „თეთრი“ ზედსართავი სახელის თავკიდური ელემენტი. სიტყვასიტყვით: „ოქროს ფეხი თეთრი“.

საგულისხმოა, რომ ქართული „კავშა“ ლექსემა, რომელიც სულხან-საბას განმარტებით ფეხთეთრი ცხენია, „საოლავ-თეთრი“ – ასეა განმარტებული ლექსიკონში (საბა 1991: 346). ჩვენ აფხაზური წარმოშობისად გვესახება: აშკ^აკ^ა „თეთრი“ ზედსართავი სახელიდან მეტათეზისით: აშკ^აკ^ა > კავშა... (ჰეტერორგანული აქცესიური კომპლექსის სუპერადიის შედეგად) ამ სიტყვის ვარიანტები ქართული ენის სხვადასხვა დიალექტშიც გვხვდება, გურულში კავშირი „ჩლიქთეთრი“ (შარაშიძე 1938: 82), აჭარულში კავში „ფეხთეთრი პირუტყვი“, ფეხკავში „ჩლიქთეთრი, ფეხთეთრი პირუტყვი“ (ფუტკარაძე 1990: 33, 42). ეს უკანასკნელი ფორმა საინტერესოა, რადგან კავშა გამოკვეთილად „თეთრის“ მნიშვნელობითაა ნახმარი: ფეხ თეთრი... მეგრულში გვაქვს კავშირი (სენაკი) (ბუკია 2006: 89) სხვა ლექსემებთან ერთად: ჩეკუჩხამი, კუჩხიგითორჩე, კუჩხმორჩე, ეს ლექსემები კომპოზიტებია, ჩე ელემენტი თეთრის აღმნიშვნელია, კუჩხი ფეხისა. (ბუკია 2006: 90).

თუმცა აღნიშნული ლექსემა თავად აფხაზურში ამ მნიშვნელობით არ გვხვდება.

აჩგხუჩა „სადგომი, ბაგა“ აჩგ+ხუჩა პირველი კომპონენტი ლექსემა „ცხენი“, გაურკვეველია მეორე კომპონენტის მნიშვნელობა.

ამ შემთხვევაში აფხაზურ ენაში არსებული მოდელი, საზღვრულ-მსაზღვრელის ხმარებისა, დაცულია. ვითარებითი

ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს.

ა-ფგრცქა „ფაფარი“, **აჩგაფგრცქა** „ცხენის ფაფარი“, ეს სიტყვა, ჩვენი ვარაუდით, შედგება ოთხი სეგმენტისაგან: პირველი **ა-ფგ** „წინას“ უნდა ნიშნავდეს, **რ-** მესამე პირის მრავლობითის კუთვნილების პრეფიქსი ჩანს, **ცქ** „კანის“ აღმნიშვნელი ლექსემაა, **-ქა** ნივთთა კატეგორიის მრავლობითობის აღმნიშვნელი ნიშანი უნდა იყოს. ზედმიწევნით: „წინა მათი კანები“. შდრ.: ქართ.: ფარცქვალი.

3. ცხენის აღკაზმულობა

აკადგრ „უნაგირი“,
აკადგრ ამახა „უნაგირის ხელი, მკლავი“,
აყამჩგ „მათრახი“,
აღრა „აღვირი“, ნასესხები ქართულიდან,
აჭაფა „ლაგამი“, პირველი კომპონენტი **აჭა** „პირია“,
აწუხწად „მოსართავი“,
აჩოპწარშ „უნაგირის ქვეშ დასაფარებელი, თოქალთო“,
ასახთანჩოპა „უნაგირის ბალიშივით“,
აყენაქა „მოსართავები“,
აჩფერხა „მოსართავი“, პირველი კომპონენტი **აჩფ** „ცხენია“,
ამგერხა „მოსართავი“, პირველი კომპონენტი **ამგ** „მუცელია“,

აჩგშკვლ „უზანგი“, პირველი კომპონენტი **აჩგ+შ+კვლ** ცხენია, მეორე **-შ-** **ამაპგ** „ფეხი“ სიტყვის თავკიდური ელემენტია, **კვლ** სეგმენტის **-კ-** ელემენტი კი **აკრა** „ჭერა“ მასდარიდან უნდა მომდინარეობდეს. ზედმიწევნით: „ცხენი+ ფეხ+დასაჭერი“.

აჩგ ეიმა „ნალი“, სიტყვასიტყვით: „ცხენი ფეხსაცმელი“.

ზემოთ ჩამოთვლილ მაგალითებში აფხაზურ ენაში არსებული მოდელი, საზღვრულ-მსაზღვრელის ხმარებისა, დაცულია. მიმართებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი წინ უძღვის საზღვრულს.

II თავი

ფრინველთა სახელწოდებები

სემანტიკური თვალსაზრისით ფრინველთა ლექსიკა შეიძლება დაიყოს: შინაურ და გარეულ ფრინველთა მდებრობით, მამრობით და ნაშიერთა სახელწოდებებად.

ცალკეა გამოსაყოფი ფრინველთა სადგომის, სხეულის ნაწილების, ხმინაობისა და დაავადებების აღმნიშვნელი ლექსიკა, რომელიც მრავალ საინტერესოს იძლევა ფრინველთა სახელწოდებების შესწავლისა და ზოგადად, ენობრივი ერთობის ეთნოლოგიურ-კულტუროლოგიური ასპექტების გათვალისწინებისათვის.

ფრინველის ზოგადი სახელწოდებაა **ა-ფსაა** // **ა-ფსაატ**[°], ამ სიტყვის ეტიმოლოგია ეკუთვნის ქეთევან ლომთათიძეს. მკვლევრის აზრით, ლექსემის ძირი უნდა მომდინარეობდეს ტაპანთურში დადასტურებული **აფჰარა** „ფრენა“ ძირისაგან, რომელიც პირაქეთა დიალექტების (აბჟურისა და ზზიფურის) **აფსაა**-ს სახეობით თანხვედნილია: **ჰ**-ს დაკარგვის ნიადაგზე ვიღებთ აა-ს. რაც შეეხება **-ტ**[°] სუფიქსს, იგი აფხაზურსა და აზაზურში ძალზე პროდუქტიულია, გამოხატავს კუთვნილებას, გამოიყენება ნაზმნარ არსებით სახელებში სამოქმედო, მოქმედებისათვის განკუთვნილი სახელის საწარმოებელ აფიქსად. მაგ.: **აშტ[°]გ** „დასაკლავი“, **აყაწატ**[°] „გასაკეთებელი“ და სხვ. **ა-ფსაატ**[°] სიტყვის მნიშვნელობა უნდა იყოს „საფრენი“, „ფრენისა“, „ფრინველი“. (ლომთათიძე 1945 : 311)

ფრინველთა სახელწოდებებს აფხაზურში განიხილავს თ. გვანცელაძე. მას გაანალიზებული აქვს ფრინველთა სახელები: ა) გარეგნობის, ბ) საცხოვრებელი ადგილის გ) ცხოვრების ნირის, დ) გამოცემული ხმის მიხედვით შერქმეული, კომპოზიტები, ნასესხები ლექსემები... მკვლევარი აღნიშნავს, რომ ფრინველთა სახელწოდებების დიდი ნაწილი მოტივირებულია (გვანცელაძე 1982 : 5-8).

ჩვენს ხელთ არსებულ ფრინველთა ლექსიკაში სტრუქტურული თვალსაზრისით გამოიყოფა სხვადასხვა მოდელები:

ფრინველთა სახელწოდებანი წარმოდგენილია გაუფორმებული ფუძით:

აყგზ „ბატი“,
 აპყა „წერო“,
 აკტგ „ქათამი“,
 აყართ „კრუხი“,
 აწგს „ჩიტი“,
 აკან „შევარდენი“,
 აპგპ „მტრედი“,
 ატგ „ბუ“,
 აჩა „მწყერი“,
 ალაპან „ყორანი“,
 ახშ „ქორი“,
 ახაჟ „ჩხიკვი, ჯაფარა“,
 აქაჩა „იხვი“,
 აკუკუ „გუგული“,
 აყარასა „გვრიტი“.
 აკაკუშ // ბზიფ.: აშოშიი „ინდაური“.

ფრინველთა სახელწოდებების დიდი ნაწილი მიიღება კომპოზიციით:

ამშენყგზ „გედი“, რომელშიც ამშენ „ზღვაა“, (ა)ყგზ „ბატი“. სიტყვასიტყვით: „ზღვის ბატი“.

აშშალგრ „წიწკანა“, რომელშიც აშშა „ქონია“, (ა)ღგრ „ქურდი“. ზედმიწევნით: „ქონის ქურდი“.

აძთას „ჭარლი, ალკუნი, ზამთარმჩევი, წყალჩიტა“, რომელშიც აძ < აძგ „წყალია“, -თა- ლოკალური პრევერბი, რომელიც რაიმეში მყოფობას აღნიშნავს, -ს სუფიქსი კი შეიძლება აწგს „ჩიტი“ სიტყვის ნაშთი იყოს, შესაძლოა გარდაქცევითობის -ს სუფიქსი. სიტყვასიტყვით: „წყლად (შიგ) მყოფი (ჩიტი)“.

აბეცა „ყანჩა“, აქაც: **აბე** „წყალს“ უნდა ნიშნავდეს, **აცა** „ტყავს, კანს“, ზედმიწევნით: „წყლის ტყავი“.

აბეცტე „გარეული იხვი“, **აბე** „წყალია“ **აცტე** „ქათამი“, სიტყვასიტყვით: „წყლის ქათამი“.

ადგრგანწება „ბოლოქანქალა“, **ადგრგან** „ტაფა“, **აწება** „კუდი“ ზედმიწევნით: „ტაფის კუდა“.

აყარმაწეს „ბულბული“. ქ. ლომთათიძის აზრით, სიტყვა შედგება აყარმა „სვია, ფშალა“ სახელისა და აწეს „ჩიტი“ ლექსემებისაგან. მკვლევარი სახელწოდებას უკავშირებს ქართულ ყარანას (ლომთათიძე 1944 : 122) სიტყვასიტყვით: „სვიის ჩიტი“.

აჟწეს „მერცხალი“, **აჟ** „ძროხა“, **აწეს** „ჩიტი“ ზედმიწევნით: „ძროხის ჩიტი“. (მაჭავარიანი 2008 : 153)

არდგნა „შოშია“, ამ სიტყვის ეტიმოლოგია მოცემული აქვს ქ. ლომთათიძეს თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“ (ლომთათიძე 1976 : 158). ავტორს **-არ-** ელემენტი ნათესაური ურთიერთობების აღმნიშვნელ ტერმინებში დადასტურებულ **ად-** ელემენტის ვარიანტად მიაჩნია (იქვე : 95) ხოლო **დ** ელემენტი **ადგ** „მინდორ“ სიტყვას უკავშირდებაო. მკვლევარი სიტყვის ეტიმოლოგიის სხვა ვარიანტსაც გვთავაზობს: ბერძნულიდან ქართულში შემოსულ სიტყვად მიიჩნევს. გურული გაიდონა < იადონიდან ხომ არ არისო? (იქვე : 158)

აჟარდგნა „შოშია“ აქ **აჟ** ნიშნავს „ძველს“ **ა-** ფუძისეულია. ძველი, (ბებერი) შოშია?

ანცარწეს „ბულბული“, რომელშიც **ანცა** „ღმერთია“, **-რ** მესამე პირის მრავლობითობის გამომხატველი კუთვნილების ნიშანი, (**ა**)წეს „ჩიტი“. ზედმიწევნით: „ღმერთის (მათი) ჩიტი“. ლექსემაში სახეზეა **-რ** მესამე პირის მრავლობითობის გამომხატველი კუთვნილების აფიქსი. აფხაზურს არ მოეპოვება ბრუნვათა სისტემა, ენა ცდილობს კუთვნილება თავისი შესაძლებლობის ფარგლებში გამოხატოს. საინტერესოა, რომ ამჟამად **ანცა** „ღმერთს“, მხოლოებითი რიცხვის გაგება აქვს, ეტიმოლოგიურად კი, როგორც ქეთევან ლომთათიძემ დამაჯერებლად დაასაბუთა, ამ სახელწოდების ამოსავალი მნიშვნელობა უნდა იყოს „დედები“,

(ლომთათიძე 1978: 145) რასაც ნათლად ადასტურებს ამ სიტყვის შემცველი კომპოზიტი, რომელშიც ჩანს მსაზღვრელი სიტყვის მესამე პირის კუთვნილების -რ ნიშანი სწორედ მრავლობით რიცხვში. შდრ.: **აშაგ** „გამჩენი, შემოქმედი, შემქმნელი“, < **აშარა** “ შექმნა, გაჩენა“, რომელსაც მხოლოდითი რიცხვი არა აქვს. აფხაზურში ღვთაების აღმნიშვნელ ტერმინთა მრავლობითი რიცხვით წარმოდგენა წარმართობის (მრავალღმერთიანობის) დროიდან უნდა იღებდეს სათავეს. თუმცა ცნობილია, რომ ბიბლიაში შემოქმედი თავის თავს მრავლობით რიცხვში მოიხსენიებს:

და თქუა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატისაებრ ჩვენისა მსგავსებისა (დაბ. 1, 26); და თქუა უფალმან ღმერთმან: აჰა, ადამ იქმნა, ვითარცა ერთი ჩუენგანი, მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა (დაბ. 3, 22); თქუა უფალმან ღმერთმან: “...მოვედით, გარდავიდეთ და შეურინეთ მათ ენანი მუნ (დაბ. 11, 6-7) წმინდა ბასილი დიდის განმარტებით, ეს არის მინიშნება თავად სამ პირზე, წმინდა სამებაზე (ექუსთა დღეთა, მე-9 საუბ.) ამ თვალსაზრისით აფხაზურს შემოუნახავს არქაული ვითარება.

აკ³ტ-რ-გზ³შ „ქორი“, „ქათმის (მათი) ქორი“,

აწლარკუკუ „კოდალა, ხეკოდალა, ხეკაკუნა“, აწლა „ხე“, აკუკუ „გუგული“, ზედმიწევნით: „ხის გუგული“.

ალაჰ³არაწეს „ჩამურის ჩიტი, ბელურა, ჭივჭავი“ შდრ.: აბალრედ. **ალაჰ³არა** „ჩამური, საცეხველი“, **აწეს** „ჩიტი“.

აშაგზაწ „სავათი“ სიტყვასიტყვით: „ფეხი რომელსაც ცალი (ერთი) აქვს. **ზ**- სამიმართებო პრეფიქსია: „ვისაც“.

ადგშ „მერ-ქორი“, **შ** უნდა იყოს **აშ³კ³ა** „თეთრი“ ზედსართავის ნაშთი. ზედმიწევნით: „ქორი თეთრი“. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი გამოთქმა: დგშმა დგშლედტ „მერ-ქორივით გაჭალარავდა“.

ახულფწეს // **ახულმწეს** „ღამურა, მღამიობი“, **ახულფ** „ღამე“, **ა-წეს** „ჩიტი“, სიტყვასიტყვით: „ღამის ჩიტი“.

ახ³დაწგლრაა „ყელჭრელა“ **ახ³და** „კისერი, ყელი“, **აღრაა** „ჭრელი“ ზედმიწევნით: „ყელჭრელა“ წ ელემენტი ხომ არ არის აწეს „ჩიტი“ სიტყვის ნაშთი? * **ახ³დაწგლრაა** ზედმიწევნით: „კისერჩიტჭრელი“.

აპენწრაფშ „გულწითელა“, ბზიფ.: **აპენწრაყაფშ**, რომელ-შიც **აპენწრა** „ღილია“, **აფშ < აყაფშ** „წითელი“.

აშხაც // აშხეც „არწივი“, აშხა „მთა“, ბუნდოვანია სიტყვის მეორე ნაწილის მნიშვნელობა.

ატგვარვარ // ატგვრვრ „ჭოტი“, **ატგ** „ბუ“, ბუნდოვანია სიტყვის მეორე ნაწილის მნიშვნელობა.

ასევე ბუნდოვანია შემდეგი კომპოზიტების მნიშვნელობა:

არხენა „რუხი შაშვი“,

ახშცბა „მიმინო“,

აბჟოუბჟიკ// აშამგხაჟ „ოფოფი“,

აჰნგშ „თეფზიყლაპია, ჭარო, ფოცხვი, დედა-მთვრალა“,

ამამერჯაგ „ძერა, ყურბი“.

კომპოზიტები მსაზღვრელ-საზღვრულს წარმოადგენს, მიმართებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი წინ უძღვის საზღვრულს. ვითარებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი კი მოსდევს საზღვრულს. აფხაზურს ბრუნების სისტემა არ გააჩნია, ქართულად აფხაზურის მსაზღვრელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა.

მამრობითი სქესის ზოგიერთი ფრინველის სახელწოდება დაირთავს მამრობითობის აღმნიშვნელ სიტყვა-სუფიქსს **-არბალ** „მამალი“, რომელიც დამოუკიდებელი მნიშვნელობითაც იხმარება (ზოგადად) მამლის აღსანიშნავად. მამლის მნიშვნელობით ეს სიტყვა **-ლ** სუფიქსის გარეშეც გვხვდება: **არბა** „მამალი“, რომელსაც კრებითობის მნიშვნელობაც აქვს: **არბა ჭერთეიტ** „მამლები ყივიან“.

აკტგ „ქათამი“ (ზოგადი სახელწოდება), **აკტარბალ** „ქათამ-მამალი“. სწორედ ამ სიტყვისაგან უნდა მომდინარეობდეს მამრობითი სქესის ცხოველ-ფრინველთა აღმნიშვნელი **-ლ** ნახევარ-სუფიქსი. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ **-ლ** ელემენტს დაირთავს **აკტალ** „კვერცხი“ ლექსემაც. შესაძლოა ეს ელემენტი ზოგადად „აღმოცენების“ სემანტიკის შემცველი იყოს. შდრ. **აღარ** „ღერო“, **აღარ-ა** „სიმინდის აღმონაცენი“. შდრ.: აგრ. ქართული: ღერო, ღერძი.

მდედრობითი სქესის ზოგიერთი ფრინველის სახელწოდება დაირთავს მდედრობითობის აღმნიშვნელ სიტყვა-სუფიქსს **არცენა**, რომელიც ცალკეც იხმარება „დედლის“ მნიშვნელობით: **აკტგ** „ქათამი“ (ზოგადი სახელწოდება), **აკტარცენა** „დედალი“, სიტყვასიტყვით: ქათამ-დედალი“.

აღნიშნული სიტყვების ეტიმოლოგიას ვხვდებით ქ. ლომთათიძის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში. მკვლევარი ერთმანეთთან მიმართებაში განიხილავს **არბალ** „მამალი“ და **არცენა** „დედალი“ ლექსემების სტრუქტურას და გამოაქვს დასკვნა, რომ ისინი აგებულებით იდენტური უნდა ყოფილიყვნენ: -ც ელემენტი დედლის აღნიშვნელი უნდა ყოფილიყო, ხოლო -ლ ელემენტი მამლისა. გარდა ამისა, **არცენა** სიტყვაში **ნა-** ელემენტი „დედას“ აღნიშნავს, ხოლო **არბალ** სიტყვაში **ბა-** ელემენტი „მამას.“ შდრ.: **არ-ცგ-ნა / არ-ბა-ლ**, ოღონდ ელემენტების თანამიდეგობა სხვადასხვაგვარია: **არ-ცგ-ნა / არ-ბა-ლ** < **არ-ლ-გ-ბა** (ლომთათიძე 1976-77 : 96)

აქაც, როგორც ზემოთ ნახსენებ შემთხვევაში, მსაზღვრელი ვითარებითი ზედსართავის როლში გვევლინება და მოსდევს საზღვრულს. აფხაზურ ენაში არსებული მოდელი საზღვრულ-მსაზღვრელის ხმარებისა, აქაც დაცულია. ვითარებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს. საზღვრულ-მსაზღვრელის წყობა ისეთივეა, როგორც ძველ ქართულში: მართვედ არწივისაჲ.

ნაშიერთა სახელების გადმოსაცემად ფუძეს ერთვის -ს დინუტივის სუფიქსი, რომელიც თავად **აწეს** „ჩიტი“ ლექსემიდან მომდინარედ მიაჩნია ქ. ლომთათიძეს. **აწეს** „ჩიტი“, სახელწოდება ასევე გამოიყენება ზოგადად ნაშიერთა (არა მარტო ფრინველთა) სახელწოდებებშიც, ეს ფაქტი, როგორც აღნიშნავს მკვლევარი, კონკრეტული სახელის განზოგადებისა და საგნობრივი მიმართების გადანაცვლების ტენდენციის მაჩვენებელია. **აკჭგმ** < **აკგტწეს** „წიწილა“. ამის გამო თვით ჩიტის ნაშიერისათვის **აწეს** ფუძეს დაერთო საგანგებოდ სინორჩის აღნიშვნელი **ფშქა**: **აწეს ფშქა** „ჩიტის ბარტყი“ (ლომთათიძე 1991 : 48) **არბალჭგმ**, **არბა-ლზჭგ** „ყვინჩილა, მამლაყინწა“, **აკტარშარც** „ვარია, წრიაპი“, შ

ელემენტი **აშარა** „შექმნა, გაჩენასაგან“ მომდინარედ მიაჩნია ქ. ლომთათიძეს (ლომთათიძე 1976-1977 : 96)

აყარგლ „ყვერული“.

ნაშიერთა -ს სუფიქსიან სახელებს მრავლობითში -ს ჩამოსცილდება და მის ადგილს იჭერს კრებითობის სუფიქსი -რა: **აწეს** „ჩიტი“, **აწარა** „ჩიტები“.

ფრინველთა გარეულობის აღსანიშნავად ფუძეს ერთვის **აბნა / აბზნ** „ტყე“ ლექსემა: **აბზნკტგ** „ხოხობი“, რომელშიც **აბზნ** „ტყეა“, **აკტგ** „ქათამი“, სიტყვასიტყვით: „ტყის ქათამი“.

არსებითი სახელით გამოხატული მსაზღვრელი მიმართებითი ზედსართავის როლში გვევლინება და წინ უსწრებს საზღვრულს. აფხაზურისათვის დამახასიათებელი მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა დაცულია.

ფრინველთა სიმრავლე აღინიშნება კრებითობის -რა სუფიქსით: **აკჭა-რა** „წიწილები“... ან ნივთთა (არაგონიერთა) მრავლობითობის -ქა სუფიქსით: **აყვზ-ქა** „ბატები“. ზოგჯერ ეს სუფიქსები ერთადაა წარმოდგენილი: **აკჭა-რა-ქა** „წიწილები“, **აყწ-არ-ქა** „მერცხლები“, (თუმცა, გვხვდება **აყწ-არ**, **აყწ-ქა** ფორმებიც). ასეთ შემთხვევებში, ვფიქრობთ, დაჩრდილულია წინამავალი -რა კრებითი მრავლობითი სუფიქსის ფუნქცია და ფუძე ხელმეორედ არის გაფორმებული ნივთთა კატეგორიის -ქა მრავლობითობის სუფიქსით.

ფრინველთა სადგომის, შემოზღუდული სივრცის აღსანიშნავად ფრინველის აღმნიშვნელ ფუძეს ერთვის -რთა / -თრა სუფიქსი: **აწეს-რთა** // **აწეს-თვზრა** „ჩიტის ბუდე“, **აკტგ-რთა** // **აკტგ-წა-რთა** „საბუდარი“, **აფზარგლა-რთა** „ფრინველის ღამის გასათევი, დასაჯდომი ადგილი, ფრინველთ საბუდარი“, **აფზარგლარა** „ფრინველის დაჯდომა ღამის გასათევად, დაბუდება“. -რთა / -თრა სუფიქსი უნდა მომდინარეობდეს **ათრა** „სორო“ ფუძისაგან, რომლის მნიშვნელობაც გაფართოებულა და ამჟამად, ზოგადად, შემოზღუდული სივრცის აღსანიშნავად იხმარება. ამ შემთხვევაშიც კონკრეტული სახელის განზოგადებასა და საგნობრივი მიმართების გადანაცვლებასთან გვაქვს საქმე, როგორც ეს **აწეს** „ჩიტი“ ლექსემის შემთხვევაში იყო. (იხ. ზემოთ, გვ.: 5).

ფრინველთა ხმიანობის აღსანიშნავად გამოიყენება ხმაბაძ-
ვითი სიტყვა:

აჭერჭერ-რა „ჭიკჭიკი“ და სხვ. შდრ.: ქართ. ჭიკჭიკი...

ქართულიდან ნასესხები უნდა იყოს შემდეგი სახელწოდებები:

აკუკუ „გუგული“,

აჭნჭა „პატარა ჩიტი, რომელიც ღობეში ძვრება“ შდრ.: „ჭინჭრაქა“,

აუარბა „არწივი, ორბი“, შდრ.: „ორბი“,

აუარბაჟ „ძერა“ შდრ.: „ორბი“,

აკაფკაფ „მთის კაკაბი, შურთხი“, შდრ.: „კაკაბი“,

ამალაღურ // ამლაღურ „მოლაღური“,

აშაჭარდენ „შევარდენი“,

აბალრეი // აბაღერ „ბელურა“,

აყრან „ყვავი“, შდრ.: „ყორანი“,

აგად „გედი“,

აკტე „ქათამი“ შდრ.: კვატა,

აკჭეჭ „მტრედი“, შდრ.: ხოხოზი,

ატე „ბუ“ შდრ.: „ტოროლა“.

რუსულიდან ნასესხებია **აპოპუგაი** „თუთიყუში“.

ქათმის ავადმყოფობის აღსანიშნავად იხმარება ლექსემა **მერზა** „ქათმის ერთგვარი სენი“, რომლის წარმოშობა ჩვენთვის ამჟერად ბუნდოვანია.

ფრინველთა სხეულის ნაწილები:

აბემბელ „ბუმბული“,

ამწეჟა „ფრთა, ქერეჭი, ფარფლი“,

აპებ, **აკაფა** „კურტუმო“,

აყერყედა „ხორხი, სასულე“,

აყერყე „ყანყრატო, ყელი, ხორხი, საყლაპავი“ **აყერყე**, აბაზ. **ყერყე** „ყელი“,

აშაპხვც „ფეხის ფრჩხილი, კლანჭი, ბრჭყალი, ჭანგი“,

ახეც კუკუნ „საქოჩრე, კორტოხი, კინკრიხო“,
ახჩქურთულ, ახეგურთულ, ახემზებელ „ქოჩორი“,
აჩყ „ჩინჩახვი“, „ჩინჩახვი“ შდრ. ქართ. „ჩიყვი“,
აც „ნისკარტი“,
აწუნწულაღ „ფრინველთ კუჭი“,
ახძე // ამწეჟა „ფრთა“,
აპეხ // **აკაფა** „კურტუმო“,
აწეხა „კუდი“,
აწუნწულაღ „ფრინველთ კუჭი“,
ახ „ბუმბული, ღინღლი“,
ახდა „კისერი“

სიხშირის მიხედვით ფრინველთა აღმნიშვნელ სახელწოდებებში პირველ ადგილზეა კომპოზიტები, მეორეზე ოდენფუძიანი წარმოება, მამრობითი და მდედრობითი სქესის მორფოლოგიური ასახვა ფრინველთა სახელებში არ არის სისტემური.

III თავი

უმდაბლესი ხერხემლიანების სახელწოდებები

აფხაზური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის შემადგენლობაში შემაჯავალი უმდაბლესი ხერხემლიანების სახელწოდებები შეიძლება დაიყოს ქვეწარმავალთა, თევზებისა და ამფიბიების სემანტიკურ ჯგუფებად.

ჩვენს ხელთ არსებულ უმდაბლესი ხერხემლიანების ლექსიკაში სტრუქტურული თვალსაზრისით გამოიყოფა სხვადასხვა მოდელები: უმდაბლესი ხერხემლიანების სახელწოდებანი წარმოდგენილია გაუფორმებელი ფუძით, მიიღება აფიქსაციით ან კომპოზიციით.

1. ქვეწარმავალთა სახელები

აინც'გშ // **აინწ'გშ** „ხვლიკი“

ქ. ლომთათიძის აზრით, ამ ლექსემაში თავკიდური **აი** < **არ** თავსართული ელემენტისაგან, რომელიც გამოიყოფა რიგ ფუძეებში: **არ-ცგნა** „დედალი“, **არ-ბაღ** „მამალი“, **არ-ფგს** „ყმაწვილი“, „ხვლიკი აფხაზურში არის **აინც'გშ**, (აბჟ.), **აინწ'გშ** (ბზიფ.), **არცგშ** (ტაპ.) (ლომთათიძე 1976-7 : 94)

ძირი კი ამ სიტყვისა, კლიმოვისა და ხალილოვის აზრით, უკავშირდება „მწვანე“ ზედსართავს (კლიმოვი, ხალილოვი 2003 : 252)

ბზიფურში, (მგუძირხვასა და ჟირხვაში) ხ. ბლაჟბას დაუდასტურებია **აჯგწ'გშ** სახეობა ამ ლექსემისა, (ბლაჟბა 1964 : 113) რაც თითქოს ამ სიტყვის სხვაგვარი ეტიმოლოგიის საფუძველს იძლევა: **აჯგწ** „სახლი“, **წ** < **ტ**-საგან, დანიშნულების სუფიქსი აფხაზურ-აბაზურში, ზედმიწევნით: „სახლისა“ საკვლევია **-გშ** სუფიქსის წარმომავლობა. საფიქრებელია, რომ ეს სახელწოდება წარმოადგენდეს ცხოველის სახელის ტაბუს.

ამათ „გველი“

დასტურდება აფხაზურში და აბაზურის აშხარულ დიალექტში. ტრუბეცკოს ვარაუდით, მასთან საერთო უნდა იყოს უბიხური ანტა „გველი“ (მონათესავე ფუძეს იგი ხედავს დადესტნის ენებშიც, როგორიცაა, მაგალითად, არჩიბული „უტი, თაბა-სარანული ბეტ) (ტრუბეცკოი 1930 : 85).

ნ. მარი სომხურ მარ/მორ-სა და იაფეტურ მედ/მად-ს მიდიელთა სატომო სახელიდან მომდინარედ თვლის და აკავშირებს ქართულ-ზანურ მატლ/მუნტურ/მუნტირთან. (მარი 1935: 56, 57).

მ. ჩუხუა ამ ძირს აკავშირებს ქართულ მატლ- ძირთან (ჩუხუა 2007).

აბაზურის ტაპანთურ დიალექტს ეს სიტყვა არ მოეპოვება, აქ აღნიშნული მნიშვნელობით იხმარება ლექსემა

აშთანწჳგ, რომლის ეტიმოლოგიასაც ქ. ლომთათიძემ მიუძღვნა სპეციალური გამოკვლევა (ლომთათიძე 1980).

ქ. ლომთათიძის აზრით, „ამ ცხოველისადმი მთქმელის დამოკიდებულების გათვალისწინებით,... შეუძლებელი არაა ვივარაუდოთ, რომ მისი ტაპანთური სახელწოდება წარმოადგენდეს ტაბუაციით შერქმეულ რაიმე თვისების ამსახველ სახელს“.

ქ. ლომთათიძე ასე შლის ამ სიტყვას: ა- (ტაპანთურისათვის არადამახასიათებელი სიტყვათა ნომინაციის დროს) შესაძლოა თავკიდურად მოქცეული შთა კომპლექსის ბუნებით იყოს გამოწვეული, თუმცა შთანჳგ სახეობაც გავრცელებულია.

-შთა „კვალი“, „ქვევით“, „ძირს“ ლექსემაა, ამჟამად გაბატონებულია შტა სახეობა, -ნ სუფიქსი გამოხატავს ადგილს, ზმნისართული ფუძის მაწარმოებელია.... და მისგან -წგ, ჳგ (< ტგ) განკუთვნილება, წარმომავლობის სუფიქსის დართვით უნდა იყოს მიღებული აშთანწჳგ // აშთანჳგ, რომელიც უნდა ნიშნავდეს „ძირისა“, „ქვედაური“, ე. ი. „მიწისა“ („მიწიერი“), ასეთ ახსნას სარწმუნოს ხდის ს. ჯანაშიას მიერ აფხაზურში დადასტურებული გველის ერთ-ერთი ტაბუირებული სახელწოდება წაყატჳგ, ე. ი. „ქვედა“ (ჯანაშია 1968: 161).

ზემოთქმულის კვალდაკვალ, ქართული „გველი“ სიტყვაც იმავე სემანტიკის შემცველი ხომ არ შეიძლება იყოს? ლაზურში დასტურდება „მგუერი“, მ-ს განვითარებულად მიიჩნევენ (ფენ-

რიხი, სარჯველაძე 2000 : 142-143), ტრადიციულად მიღებულია, რომ მ- მიმღობური პრეფიქსი უნდა იყოს, შდრ. მხულივი, ვფიქრობთ, „მგვერ“ უნდა მომდინარეობდეს **მ-ქუ-ერ-ი*“-დან, ანუ შესაძლოა ნიშნავდეს „ქვედაურს“, (ქ-ს დისიმილაციური გამჟღერებით სონორის მეზობლობაში) უმდაბლესი ხერხემლიანების ზოგადი სახელწოდება ქართულში „ქვეწარმავალი“ ხომ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ქვევით მოსიარულეს, მხოხავს. თავად „ქვე/ქუე“ და „ქვა“ სიტყვებიც მსგავსი სემანტიკისა უნდა ყოფილიყო. ახლა უკვე მნელია იმის თქმა **მქუელი*“ „ქვევით მოსიარულეს ნიშნავდა, თუ „ქვის/ ქვების“ მკვიდრს. გვე < *ქვე < ქუე-ს სემანტიკური დაბრკოლება, ჩვენი აზრით, არ გააჩნია, ხოლო რაც შეეხება გ-საგან ქ-ს მიღების პროცესს, იგი ქართულისათვის სადავოა, მაგრამ სვანურში დისიმილაციური გამჟღერებით ხდება ასეთი რამ: მიშგუ < მიშქუ „ჩემი“.

გველი/მგვერი/გვერი/ჭიჟვ/ჭიჟუ საერთო ქართველურად მიჩნეულია (ჟღენტი 1953: 85, 1949, 174; ჯორბენაძე 1995: 80; დანელია 1980: 171; თოფურია 1979: 10; მარი 1935: 56, 57; ჩიქობავა 1938: 117).

ამასთან ერთად ნ. მარი აღნიშნავს, რომ სომხურში გვაქვს **გელ** ძირი „დრაკონის, ვეშაპის, თევზის, მგლის“ მნიშვნელობით (მარი 1934 : 56, 57) აქვე დავსძენთ, რომ ქართული „გველი“ სიტყვის ჩვენეული ეტიმოლოგიის ცდა ჩვენთვისაც მრავალი კითხვის შემცველია.

აკუტა „კუ“ ნასესხებია ქართულიდან.

2. თევზების სახელები

აფსგმ „თევზი“

ზოგადი სახელწოდება. ამ სახელის შესახებ მარი აღნიშნავს, რომ თვითონ აფხაზები სახელწოდებაში ხედავენ ორ სიტყვას: „სულს“ და „წყალსო“, მაგრამ იგი არ იზიარებს ასეთ ინტერპრეტაციას და პალეონტოლოგიური ანალიზის საფუძველზე მიდის იმ დასკვნამდე, რომ თხზული სახელების ორივე ნაწილი ერთსა და იმავეს აღნიშნავდაო ისტორიულად და ამ სიტყვაში

„აფს“ ისევე როგორც „ძე“ აღნიშნავდა წყალსო (მარი 1934: 146-147)

უმდაბლესი ხერხემლიანების სახელწოდებანი წარმოდგენილია გაუფორმებელი ფუძით:

ალახე „თავბერა“, სიტყვასიტყვით: „შუბლა“,

ათრგს „ქაშაყი“, (ბზიფ.),

ახაალა, **აფსგმ ხაალა** „ქარიყლაპია“,

აშაყ // **აშეყა** „კამბალა“,

უმდაბლესი ხერხემლიანების სახელწოდებების დიდი ნაწილი მიიღება კომპოზიციით:

ამათფსგმ „გველთევზა“, **ამათ** „გველი“, **(ა)ფსგმ** „თევზი, ზედმიწევნით: „გველი+თევზი (კალკირებულია ქართულიდან).

გცაფშ, **გწაფშ** „ხონთქარა“, **გჭ** „გული“ წ< წა „ქვეშ“ (ლოკალური პრევერბი), **აფშ** < **აყაფშ** „წითელი“ ზედმიწევნით: გულ-ქვეშ-წითელი, (ბზიფ.),

ამშაუნჰა „ზღვის ღორი“, **ამშაუნ** „ზღვა“, **ჰა** „ღორი“. სიტყვასიტყვით: „ზღვის ღორი“ (კალკირებულია ქართულიდან).

აქერთ, **აქლით**, (აბჟ.), „ქვითით“ (ნასესხებია ქართულიდან),

აქერთ-კაფსარა „ქვითის დაყრა“,

აცგბღე „წიფლის ფოთოლა“ **აცგ** „წიფელი“, **(ა)ბღე** „ფოთოლი“ ზედმიწევნით: „წიფლის ფოთოლი“,

სეიჰარ „უსარ“ (ნასესხებია რუსულიდან),

აფყაშა, **აფყაშა**, **აფსგმ-ფყაშა** (აბჟ.), „საზანი“, **აფსგმ** „თევზი“, **აფყარა** „ჰრა“, ზედმიწევნით: „თევზი საჰრელი“,

ალგმჰართეი (აბჟ.), **ალგმჰართ**, (ბზიფ.), „ლაყურები“, ზედმიწევნით: **ალგმჰა** + **რთ(ა)ე**, **ალგმჰა** „ყური“, „ყურის ადგილი“ + **რთა** (შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსი),

ახბე (აბჟ.), **არღმე** (ბზიფ.), „ფარფლები“,

აფსგმ-აკან „თევზის ქერცილი“, სიტყვასიტყვით: „თევზის კანი“, **აკან** „კანი“, (ნასესხებია ქართულიდან).

უმდაბლესი ხერხემლიანების სახელწოდებების ნაწილი მიიღება აფიქსაციით:

აფგმსსა „ჭიჭყინა“, -სსა სუფიქსი სიმცირის, სიწვრილის გამომხატველია. ზედმიწევნით: „თევზ წვრილი“.

ქართულიდან ნასესხებია:

აკალმაჰ // აკამლაჰ (ბზიფ.) „თევზი“,

აგულმაჰ „გველეშაპი“,

აულაგურ // აოლაგურ, ამლაგ^გ (ბზიფ.), „ორაგული“,

აჟ^გენტხ^გ „ზუთხი“,

აღლამ „ღლავი“,

აკამპგლა, აკამპულ, ას^გეყა (ბზიფ.), „კამბალა“

ახამსია, ახამსა „ხამსა“, (აბჟ.) აკამშია, ახამსგ, (ბზიფ.), „ხამსა“

აწერედ, აწარედ „წერედი“,

ათოფრა (აბჟ.), „თევზის წყლიდან ამოხტომა, ქვირითის დასაყრელი ადგილისაკენ სწრაფვა“ (შდრ: იმერ. ტოფი)(ბლაჟბა: 1964) და ასევე მეგრ. ტოფი.

3. ამფიბიების სახელები

ადალ

„ბაყაყი“, ადა-ს სახითაც გვხვდება, -ლ^გ ელემენტი მამრობითობის აღმნიშვნელი სუფიქსია აფხაზურში, შდრ.: არზალ^გ „მამალი“, თუმცა იგივე -ლ^გ ელემენტი გვხვდება სიტყვაში აკ^გტალ^გ „კვერცხი“, იგივე ელემენტი არის ლექსემაში აღ^გარ / აღ^გარა „ყლორტი, აღმონაცენი“. ჩვენ სათანადო ადგილას აღნიშნულ ელემენტს ვუკავშირებდით აღმოცენების სემანტიკას. (მაჭავარიანი: 2008).

„ადაჟ^გ“ „გომბეშო“, ამ ლექსემაში -ჟ^გ ელემენტი შესაძლოა აღნიშნავდეს აჟ^გ „ძველს“, ანუ ზედმიწევნით: „ბაყაყი ბებერი“,

„აჩაზრადალ^გ“ „მოსავლის ბაყაყი, ვასაკა“ აჩაზრა „მოსავალი“, (ა)დალ^გ „ბაყაყი“, ზედმიწევნით: „მოსავლის ბაყაყი“.

კომპოზიტები მსაზღვრელ-საზღვრულს წარმოადგენს, მიმართებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი წინ უძღვის საზღვრულს. ვითარებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი კი მოსდევს საზღვრულს. (აფხაზურს ბრუნების

სისტემა არ გააჩნია, ქართულად აფხაზურის მსაზღვრელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა).

უმდაბლესი ხერხემლიანების აღმნიშვნელი სახელწოდებანი აფხაზური ენის ფაუნის ლექსიკაში გამოირჩევა თავისი მცირერიცხოვნობით. თევზების აღმნიშვნელი სახელები ძირითადად ნასესხობებს წარმოადგენს. ქვეწარმავალთა და ამფიბიების სახელები კი ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის საკუთრება ჩანს. ამას ადასტურებს აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა ბგერათმესატყვისობანიც, და ამ სახელთა აგებულებაც, რომელშიც აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი გრამატიკულ-ლექსიკური თავისებურებანი გამოსჭვივის.

IV თავი

ნაწლავღრუიანთა სახელწოდებები

აფხაზური ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში გამოიყოფა ნაწლავღრუიანთა სახელწოდებების მცირე ჯგუფი:

აკამერშა „ლოკოკინა“, **აკამერშაშ** (ბზიფ.), აკამ < აკან, (შე-სადლოა ნასესხები ქართულიდან) რ- კაუზატივის მაწარმოებელი აფიქსი, (**აშა** „ცხიმი, ქონი, საპოხი“ სიტყვასიტყვით: „კანგაქონიანებული“, საზღვრული წინ უძღვის ვითარებითი ზედსართავით გამოხატულ მსაზღვრელს.

თუმცა, შესაძლებელია ამ შედგენილი სიტყვის სხვაგვარი ეტიმოლოგიაც: აფხაზურში **აშაშაკამ** ლექსემა აღნიშნავს „ჭიანჭველას“... სავარაუდოდ, ეს სახელწოდება ორი ნაწილისაგან შედგება: **აშაშ** + **აკამ**, რომელშიც **აკამ** შესაძლოა მიღებულია **აქამსა** „ბანჯგვლიანიდან“. საძიებელია **აშაშ** -ის წარმომავლობა. შესაძლოა ეს იყოს იგივე (**აშა** „ცხიმი, ქონი, საპოხი“, რომელიც ერთ-ერთ კომპონენტად გამოდის **აკამერშაშ/აკამერშაშ** (ბზიფ.), „ლოკოკინა“, სიტყვაში, თუმცა ნეიტრალური **გ** აქ არ ჩანს. სამაგიეროდ, მის ბზიფურ ვარიანტში **აკამერშაშ**, არის **ა** ხმოვანი, რომლისგანაც თავისუფლად შეიძლება **გ**-ს მიღება (ლომთათიძე 1976-1977: 45)

აკამერშა „ლოკოკინა“ სახელწოდებაშიც გამოიყოფა იგივე შემადგენელი ელემენტები: **აკამ** და **შაშა**, ოღონდ, აქ სიტყვათა თანამიმდევრობა შებრუნებულია. ვფიქრობთ, ერთი და იგივე ელემენტების სხვადასხვაგვარი თანამიმდევრობა ენამ ერთ შემთხვევაში „ჭიანჭველის“, ხოლო მეორე შემთხვევაში „ლოკოკინის“ აღსანიშნავად გამოიყენა.

ასეთი რამ აფხაზურისათვის ნიშანდობლივია: **არცგნა** „დედალი“ და **არბად** „მამალი“ ლექსემებშიც ქ. ლომთათიძე უშვებს სახელწოდებების შემადგენელი ელემენტების თავისუფალ მონაცვლეობას. **არ+ცგ+ნა**, **არ+ბა+ლ**, სადაც **არ<ა** ნათესაური ტერმინებისათვის დამახასიათებელი აფიქსია, **ნა-** „დედის“, **ბა-** „მამის“ აღმნიშვნელი ძირები, ხოლო **ც** და **ლ** ელემენტები, შესაბამი-

სად: დედლისა და მამლის აღმნიშვნელი უნდა იყოს (ლომთათი-მე 1976-1977: 96).

აკამგრშშა აცა „ლოკოკინის ნიჟარა“, **აცა** „კანი“.

არწგრახაც „ჭიაყელა“, შდრ. **ახაც**, **არწგ** „წნილი“, **ახაც** „ჭია“ ზედმიწევნით: **არწგ** „წნილი“ + -რ მესამე პირის მრავლობითობის აღმნიშვნელი კუთვნილების პრეფქსი + **ახაც** „ჭია“, „წნილი(ს) (მათი) ჭია“. მიმართებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი წინ უძღვის საზღვრულს.

ალერწკ „ჭიაყელა“,

აბჭგ „ნეხვის ჭია, ჭიაფანდურა, ბოსტანა“,

აპაჭა „ტკიპა, ჯღიბა“... ქ. ლომთათიძის აზრით, ეს ლექსემა აფხაზურში მეგრულიდანაა ნასესხები: მეგრ. „ბაჯა“...(ლომთათი-მე 1976-1977: 150).

ნაწლავღრუიანთა ლექსიკა გაუფორმებელი ფუძით ან კომპოზიციითაა მიღებული.

კომპოზიტები მსაზღვრელ-საზღვრულს წარმოადგენს, მიმართებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი წინ უძღვის საზღვრულს. ვითარებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი კი მოსდევს საზღვრულს. (აფხაზურს ბრუნების სისტემა არ გააჩნია, ქართულად აფხაზურის მსაზღვრელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა).

ნაწლავღრუიანთა აღმნიშვნელი სახელწოდებანი აფხაზური ენის ფაუნის ლექსიკაში გამოირჩევა თავისი მცირერიცხოვნობით. ამ სახელთა აგებულებაშიც, ისევე როგორც ფაუნის აღმნიშვნელ დანარჩენ ლექსიკაში, აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი გრამატიკულ-ლექსიკური თავისებურებანი გამოსჭვივის.

V თავი

მწერთა სახელწოდებები

სემანტიკური თვალსაზრისით მწერთა ლექსიკა შეიძლება დაიყოს მფრინავ და მხოხავ, ადამიანისათვის სარგებლობის მომტან, თუ ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელ, ზიანის მიმყენებელ მწერთა სახელწოდებებად.

სტრუქტურული თვალსაზრისით მწერთა ლექსიკაში გამოიყოფა სხვადასხვა მოდელები.

მფრინავი, ადამიანისათვის სარგებლობის მომტანია:

აშხა „ფუტკარი“, ამ ფუძისაგან აფხაზურში არაერთი სიტყვაა ნაწარმოები:

აშხგ „ერთი ფუტკარი“, **-ც** სუფიქსი „ცალის“ აღმნიშვნელია;

აშხარ „მუშა ფუტკარი“, შესაძლოა **-რ** ამ ლექსემაში იყოს ნაშთი სიტყვისა **არ** „ჯარი“, ანუ „ჯარისკაცი ფუტკარი“,

აშხაწ „გუნდი ფუტკრისა“,

აშხარან „დედა ფუტკარი“, სიტყვის პირველი ნაწილია იგივე **აშხა** „ფუტკარი“, მას მოსდევს მრავლობითი რიცხვის კუთვნილების **რ-** პრეფიქსი და **ან** „დედა“ ლექსემა. სიტყვასიტყვით: „ფუტკარი (მათი) დედა“; აღსანიშნავია, რომ სიტყვა

აშხა „ფუტკარი“ მხოლოდით რიცხვშია, კუთვნილების აფიქსი კი მრავლობითისა აქვს.

შხა-ნგჰა „ფუტკრის სალოცავი“, **ანგჰა** „ლოცვა“, ზედმიწევნით: „ფუტკრ(ის) ლოცვა“,

აშხემზა/ აშხემმა „სკა“,

აშხაგარა „საფუტკრე“, **აგარა** „ლობე“, სიტყვასიტყვით: „ფუტკრის ლობე“. განხილული, კომპოზიციის გზით შედგენილი სახელწოდებები, აფხაზური ენის გრამატიკულ ნორმათა დაცვითაა ნაწარმოები: საზღვრული წინ უსწრებს მსაზღვრელს.

ფუტკრის სახელისა და მისგან ნაყარი ფუძეების სიმრავლე იმის მაჩვენებელია, რომ აფხაზები მეფუტკრეობას ძველთაგანვე მისდევდნენ.

აყანჭ/აყანჭ-ხ^აც „აბრეშუმის ჭია“, **ახ^აც** „ჭიას“ ნიშნავს და-მოუკიდებლად. ეს სიტყვა ნასესხები ჩანს აფხაზურში. შდრ.: ქართული „ყაჭის ჭია“, ლექსემის მეორე ნაწილი კალკირებულიც კია. **აყანჭძაარა** „მეაბრეშუმეობა“, **აძაარა** „აღზრდა“, ანუ აბრეშუმის აღზრდა“. მეაბრეშუმეობა აფხაზთათვის შედარებით ახალი საქმიანობაა, ამას ისიც მოწმობს, რომ აფხაზურში აბრეშუმის ჭიის აღმნიშვნელი სიტყვა ნასესხებია.

მფრინავი, ადამიანისათვის ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელია

აფარფალგვ/აფარფალგვ^ა/ახგფფფფერ (ბზიფ.) „პეპელა“, შდრ.: ქართული ფარფალი/პარპალი.

ამგრკ^ი / აზგარგმმ (ბზიფ.) „ციცინათელა“, „ელვანა“ სიტყვის პირველი ნაწილი **აზგა** „მგელია“, მას მოსდევს მრავლობითი რიცხვის კუთვნილების რ-პრეფიქსი და **ამმ<ამწ** „ბუზი“ ლექსემა. სიტყვასიტყვით: „მგელი მათი ბუზი“, აღსანიშნავია, რომ სიტყვა **აზგა** „მგელი“, მხოლოდით რიცხვშია, კუთვნილების აფიქსი კი მრავლობითისა აქვს.

ადამიანისათვის ზიანის მიმყენებელ მწერთა სახელწოდებებია:

ამწ „ბუზი“,

ალამწ „ძაღლის მწერი“, **ალა** „ძაღლი“, **ამწ** „ბუზი“, სიტყვა-სიტყვით: „მგლ(ის) ბუზი“,

აც^ემწ „ბუზანკალი“, **აც^ე** „ხარი“, **ამწ** „ბუზი“, ზედმიწევნით: „ხარის ბუზი“, **აცც** „ქინქლა“,

აჯ „ჩრჩილი“,

აკუბრგ „კოლო“,

აკუბრგ სსა „წვრილი ქინქლა“,

აწა „ტილი, მკბენარი“,

ამ „რწყილი“,

ამთრა „სარწყილე“, -**თრა** შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსი.

აკაწა „ბაღლინჯო“,

ახ^აც „ჭია“,

ახ^ა „ხორცის მატლი“

ახ⁰არშ⁰/ახ⁰არშ⁰ გ „ბობოლი (ხის დიდი მატლი),
 ახ⁰აჭა-მაჭა „ჭია-ლუა, მწერი“ შდრ.: ქართული ხოჭო,
 აშხერც⁰აღ⁰ „კრაზანა, ბზიკი“,
 აბგუკათაჰა „ობობა, ბაბაჭუა, ფეიქარა“,
 აბგუკათაჰარა „აბლაბუდა, ობობას ქსელი“, სიტყვის პირვე-
 ლი ნაწილი

აბგუ „ენა“, მეორე ნაწილი აკათა „ბაღა“, აჰარა „ქსოვა“.

კომპოზიტი შეიცავს სამ კომპონენტს.

აშგუჰკამსა „ჭიანჭველა“, სიტყვის მეორე ნაწილი კამსა<ქამ-
 სა „ბანჯგვლიანი“ ზედსართავია, პირველი კი აშგუჰ ქართული
 *ჭიანჭ ფუძის ბგერათფარდი სახელი უნდა იყოს. (მაჭავარიანი
 2007: 53)

ამგვარად, მწერთა აფხაზური სახელწოდებანი სტრუქტურულად არის: ოდენფუძიანი, აფიქსიანი, კომპოზიციით მიღებული, ორ, სამ და მეტკომპონენტიანი. ზემოთ განხილული, კომპოზიციის გზით შედგენილი სახელწოდებები აფხაზური ენის გრამატიკულ ნორმათა დაცვითაა ნაწარმოები: საზღვრული წინ უსწრებს მსაზღვრელს.

ცხოველთა და ფრინველთა სახელწოდებებისაგან განსხვავებით, მწერთა სახელწოდებებში მოტივაცია ნაკლებად შეინიშნება. ლექსიკური ფონდის ეს უბანი ოდენფუძიანი სახელწოდებების სიმრავლითაც გამოირჩევა.

VI თავი

სომატური ლექსიკა

ფაუნის სომატური ლექსიკა აფხაზურში წარმოდგენილია ამ ენისათვის დამახასიათებელი სემანტიკურ-სტრუქტურული მრავალფეროვნებით, გვხვდება ოდენფუმიანი, კომპოზიციითა და აფიქსაციით მიღებული სიტყვები, ცალკეა გამოსაყოფი ნასესხები ლექსიკა.

ოდენფუმიანი სახელები:

აზ „ნადველი“,

აჭე „პირი“,

ამგ^ა, **აზაზ**. **მგ^ა** „მუცელი“,

პ. ჭარაია და გ. როგავა ფუძეს ქართულ (ძვ. ქართ. **გუამ**)-თან აკავშირებენ. **გვამ**-ი მუცლის მნიშვნელობით. შდრ.: **გულ-გვამი**. (ჭარაია 1912: 30),

გ. როგავას აზრით, ეს ფუძე უკავშირდება ადიღურ **ნგბა**←***მგბა**←***მგგ^ა** და უბიხურ **ნგვ^გ**←***მგვ^ა**←***მგვ^ა** ფუძეებს. (როგავა 1975: 49).

კომპოზიციით ნაწარმოებ სახელთა შორის გვხვდება ორ, სამ, ოთხ და ოთხზე მეტკომპონენტიანი სახელწოდებები:

ორკომპონენტია:

ამახ^აარ, ბზ. **ამახ^აჭა/ამახ^აჭე** „მკლავი“, ზედმიწევნით: **ამა+ხ^აარ** „ხელი+მოხრილი“.

აუასც^ა „ცხვრის ტყავი“, სიტყვასიტყვით: **აუას+ც^ა**, „ცხვარი+ტყავი“.

აგუმწა „ცხოველთა გულმკერდი. „ლექსემა შედგება ორი კომპონენტისაგან: **აგუმ^აწა**, **აგუმ^ა** < **აგუმ^აფე** „გულმკერდი“+ **წა** ლოკალური პრევერბი, რომელიც ქვეშ მყოფობას აღნიშნავს. ზედმიწევნით: „გულმკერდი ქვედა“, მოტივაცია განპირობებული უნდა იყოს ოთხფეხთა გულმკერდის განლაგებით, ადამიანის გულმკერდთან შედარებით.

აგუჩამა „გავა“ სიტყვა ორი კომპონენტისაგან უნდა შედგებოდეს, **აგუ+ჩამა**, პირველი კომპონენტი აშკარად „გულია“, მეორის მნიშვნელობა გაუგებარია.

აფლგვღვ „მენჯი, პოჭოკი“, სავარაუდოდ ორკომპონენტიანია, პირველი **ა-ფვ** „წინას“ უნდა ნიშნავდეს, გაუგებარია მეორე ნაწილის მნიშვნელობა.

აფვმაწ „ბარკლის წინა ნაწილი“, სავარაუდოდ ორკომპონენტიანია, პირველი **ა-ფვ** „წინას“ უნდა ნიშნავდეს, გაუგებარია მეორე ნაწილის მნიშვნელობა.

აფვწა „ცხვრი“ სავარაუდოდ ორკომპონენტიანია, პირველი **ა-ფვ** „წინას“ უნდა ნიშნავდეს, გაუგებარია მეორე ნაწილის მნიშვნელობა.

აკაფა „სუთი, დუმა ცხვრისა“ სავარაუდოდ ორკომპონენტიანია.

აჭაბჟარძ „ფერდი, საზარდული“, ამ სიტყვაში უნდა გამოიყოს **აბჟა** „შუა“ ლექსემა, დანარჩენი კომპონენტების სემანტიკა გაუგებარია.

აჰა ქჷშ „ღორის დრუნჩი, დინგი“, **აჰა + ქჷშ** „ღორი+დრუნჩი“.

ამამხე „მუხლი“, ძნელია თქმა ორკომპონენტიანია, თუ სამკომპონენტიანი, პირველი ნაწილი უდავოდ „ფეხია“, **მხე** კი შესაძლოა თავად ორ სემანტს შეიცავდეს, **მ+ხე**, სადაც **მ** ზოგადად კიდურის აღმნიშვნელი შეიძლება იყოს, **ხე** კი „თავის“ აღმნიშვნელი: სიტყვასიტყვით: „ფეხი კიდური თავი“.

ამახა „ბარკალი“ **ამახე** აბჟ., **ამახე** ბზიფ. „ხელი“ ; „ბარკალი“, აბაზ. **მაჯე** „ხელი; მკლავი“,

აბზალასა „ცხვრის მეორე გაპარსვის მატყლი“, **აბზა** „ცოცხალი“, **ალასა** „მატყლი“,

ალასახა „ერთი ცხვრის ერთჯერ ნაპარსი მატყლი“, **ალასა+ხა** „მატყლი+ ერთთავი“,

ახუც „თმა, ბეწვი ერთი ცალი“, **ა-ხუ+ც** „თმა+ცალის აღმნიშვნელი ც ელემენტი“,

აბჯარ ხაფვც „ეშვი“,

აბჯარ „იარაღი“ (თურქ.) + ხაფგც „იარაღი კბილი, ანუ საო-
 მარი, საბრძოლო კბილი“,
აფსემ აზაჯ „თევზის ფხა“,
ახ^ადაჯალ, ახუდაპარა „ქერო, კინწი“,
აშა^აც^ა (მრ. ა-შა^აც^ა) „ფეხის თითი“, **აშა + ც^ა** „ფეხი+კანი“,
აშახუა „ძვლის ტვინი“,
აფენწა რხ^ა „კაუჭა“, „ცხვირი მოხრილი“,
აფენწა ხარშ^აშალა „მოკაუჭებული“,
აშხ^ა „ქუსლი“, **აშხ^ა**, „ფეხი+მოხრილი“,
აცლამჰა, აცლემჰა, აცლემჰა „ნიკაპი, ყბა“, აც+ლამჰა „ცა-
 ლი+ყური“,
ამღ „ლოყა, ღაწვი“,
აჭაძე „ნერწყვი“ **აჭა+ძე** „პირი+წყალი“.

სამკომპონენტანია:

აშამზე „მუხლი“, **აშა+მ+ზე**, ზედმიწევნით: „ფეხი კიდური თავი“,

აშა^აც^აკ^აეს „ფეხის ნეკი“, **აშა+ც^ა+კ^აეს**, სიტყვასიტყვით: „ფეხი კანი ნეკი“.

ფუძე შეიცავს ხელის აღმნიშვნელი ფუძის **მა** (//**ნა**) ძირეულ ელემენტს:

ამახა-შახა „კიდურები“ კომპოზიტია. ტერმინის შემადგენლობაში **მა** ელემენტი ფეხის აღმნიშვნელი **შა** ძირის ეკვივალენტურია, რაც **მა**-ს „ხელის“, ხოლო **შა**-ს „ფეხის“ აღმნიშვნელად გვავარაუდებინებს. აბჟ. **ხა** < ბზიფ. **ხე** < აბაზ. **ჭა** ელემენტი საკუთრივ კიდურის აღმნიშვნელი თავდაპირველი ფუძე უნდა ყოფილიყო.

აბაჯლაშა, აბგჯლაშა „ძვლის ტვინი“

აბაჯ „ძვალი“+ **ლა** ლოკალური პრევერბი, რომელიც აღნიშნავს რაიმეში შიგ მყოფობას+**ახშაჯ** „ჭკუა“ ლექსემის ნაშთი -**შა** ელემენტი.

აშა-ც^ა-კ^აეს „ფეხის ნეკი“,

აშა-ც^ა-ხებ „ფეხის ცერი“.

ოთხკომპონენტიანია:

აშარგ^აც^ა „წვივი, კანჭი“, ზედმიწევნით: **აშა+რ+გ^ა+ა^აც^ა** „ფე-ხი+ მესამე პირის მრავლობითობის რ- აფიქსი+ გ^ა „გული“, ამ შემთხვევაში „შუა“ +**ც^ა** „კანი“, „ფეხი მათი შუა კანი“.

აფგრც^აქ^ა „ფაფარი“, **აჩ^აფ^აფგრც^აქ^ა** „ცხენის ფაფარი“, **აპ^აა^აფგრც^აქ^ა** „ღორის ჯაგარი“ **აფგ+რ+ც^ა+ქ^ა**, ვვარაუდობთ ოთხ სემენტს: პირველი **აფგ** „წინას“ უნდა ნიშნავდეს, **რ-** მრავლობითისა ჩანს, **ც^ა** „კანის“ აღმნიშვნელი ლექსემაა, **-ქ^ა** ნივთთა კატეგორიის მრავლობითობის ნიშანი უნდა იყოს. ზედმიწევნით: „წინა მათი კანები“.

აშარგ^აც^ა „წვივი, კანჭი“, **აშა+რ+გ^ა+ა^აც^ა** ოთხკომპონენტიანია: **შა** „ფეხის აღმნიშვნელი ძირი + **რ-** მესამე პირის მრავლობითობის აფიქსი + **გ^ა** „გულის“, (ამ შემთხვევაში) „შუას“ მნიშვნელობის მქონე სიტყვა + **ც^ა** „კანის“ აღმნიშვნელი ძირი. ზედმიწევნით: „ფეხი მათი შუა კანი“ .

ახზგვლაშა, **ახზავლაშა**, **ახშგვაშა** „ტვინი“, **ახ+ბგვ+ლა+შა**, **ხ** „თავი“+**ბგვ** „ძვალი“+**ლა** ლოკალური პრეფერბი, რომელიც აღნიშნავს რაიმეში შიგ მყოფობას + **ახშგვ** „ჭკუა“ ლექსემის ნაშთი -**შა** ელემენტი.

ხუთკომპონენტიანია:

ა^აც^ა ედჟ^ათაქ^ა „სხეულის ნაწილები“, სიტყვასიტყვით: **ა^აც^ა+ედ+ჟ+თაქ^ა** „კანი და ხორცი ნაწილები“....

აშაპსგრგულწა, **აშარგულწა**, **აშარგულწ** (მზ.) „ფეხისგული“: **აშა+სგ+რ+გულ+წა**, ზედმიწევნით: „ფეხის აღმნიშვნელი ძირი+სავარაუდოდ დანიშნულების აფიქსი **სგ** + მესამე პირის მრავლობითობის **რ-** აფიქსი+გულის, (ამ შემთხვევაში) შუას მნიშვნელობის მქონე სიტყვა+ლოკალური პრეფერბი, რომელიც ქვეშ მყოფობას აღნიშნავს.

აშა-ც^ა-კ^ა-რა-ქ^ა მრ. (მზ. ა-შა^აც^ა) „ფეხის თითები“.

აფიქსაციით ნაწარმოებია:

აზთრა „ნაღვლის ბუმტი“ **ა-ზ+** შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსი – **თრა** “ ზედმიწევნით: „ნაღველის ადგილი“.

რედუპლიცირებული ჩანს:

აყაყა „ზურგი“,

აფჰაჰარ „ქოჩორი“,

აღაღ „აპკი“,

ალემჰა აღაღ „დაფის აპკი“, „ტყავქვეშა კანი“,

არჯარახ „ჯიგარი; ფილტვ-გულ-ღვიძლი.



ატ⁰გვა „რქა“

აუათ⁰ა „ბარძაყი“

აფხ⁰ენძარახ „ფაშვი“, სემანტიკა დაჩრდილულია, კომპოზიტი უნდა იყოს.

აქამსა „ადამიანისა და ოთხფეხის კუჭი, სტომაქი“, ეს ლექსემა ნიშნავს ზუსუსებიანს, ბანჯგვლიანს, მოტივაცია გარეგნული მსგავსებით უნდა იყოს განპირობებული.

აქ⁰შ⁰ „ბაგე, ტუჩი, ლაში“,

აშაპჰ „ფეხი“,

ახაფგც „კბილი“,

აბაჰ „ძვალი“ აბაჰ, ბზიფ. აბჰა, აბაზ. ბჰ||ა „ძვალი“ .

გ. როგავას აზრით, აფხაზურ სახეობაში ბა- ნივთის გრამატიკული კლასის გაქვევებული პრეფიქსია, ხოლო ჯ დაკავშირებულია ადილურ ბაჯ⁰ო|| ბაჯ⁰ა, ლ⁰აუბჯ⁰ო სიტყვათა ჯ⁰ა ძირთან. შესაბამისად, აფხაზურ-აბაზურ და ადილურ ენათა ძირეული ელემენტებია ჯგ||ჯ⁰ა სეგმენტები (როგავა 1975: 52).

აფხაზურ სიტყვაში ნივთის გრამატიკული კლასის გაქვევებულ ბა- პრეფიქსს გამოყოფს აკად. ქ. ლომთათიძეც, რომელიც ამასთანავე ერთმანეთთან აკავშირებს აფხაზურ ჯ ძირეულ თანხმოვანსა და ქართული ბა-ყვ-ი, ყვ-ლივ-ი, ჭანურ ყვ-ილ-ი „ძვალი“ ფუძეების ყვ ელემენტს (ლომთათიძე 1961: 116).

ქართულ ენაში ეს ძირი გვაქვს ბა- კლასნიშნის გარეშე ყვ-ლ-ივ სიტყვაში, ხოლო სხვა გრამატიკული კლასნიშნით – ნი-და-ყვ სიტყვაში (ლომთათიძე 1961: 116).

ქართულში სიტყვის (იდაყვი) ძირია – **დაყ-**, რომლის შესატყვისად ზანურში მოსალოდნელია **დოყ-** → **დუყ-** ფუძე. ჭანურში **ყ-** წინ ფონეტიკურად განვითარდა **რ**, მეგრულში კი **ყ** → **ყ**: **დუყ-ი** → **დუყ-ი**. ჭანურში **დოუ-** და **-დუღი-** სთვისაც ამოსავალია **-დუყი**. პირველი **ყ-**ს რეფლექსის დაკარგვითაა მიღებული, მეორე კი **ყ-**ს გამჟღერებით. არც **დაყ-** ფუძეა მარტივი. **იდა-ყვ ყვ-ლივ** ფუძებთან შეპირისპირებით – **ყვ-** ძირი გამოიყოფა (გელენიძე 1974: 73).



ახუ „თმა, ბუმბული, ღინღლი“,
ახუდა „კისერი“,
ახე „თავი“,
ახმე „ფარფლი, ფრთა“,
აწებ^ა „კუდი“,
აფთ^ა, აბთ^ა „ცხვრის პირველი გაპარსვის მატყლი“,
აღას, აღასა (ბზ.) „მატყლი“.

ნასესხებია სიტყვები:

აჭაპან „ჭიპი“,
აჭაჭა „თირკმელი“,
აბემბელ „ბუმბული“.



ფაუნის სომატური ლექსიკის განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით ისეთ სიტყვებს, რომლებიც საერთოა ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელ ტერმინებთან. თვალის, ყურის, ცხვირის, ენის, კბილის და ა. შ. აღმნიშვნელი ლექსიკაც საერთოა.

აბლა, ბზიფ. **აბლ**, აბაზ. **ბლა** // **ბღ** „ზურგი“,
აბზ // **აბეზ**, აბაზ. **ბეზ** // **ბზე** „ენა“.

აფხაზურ-აბაზურ ვარიანტებთან ფონემატური სტრუქტურის მხრივ ახლოს დგას ადიღურ-ყაბარდოული **ბზე** და უბიხური **ბზა** ფორმა.

მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა უმრავლესობაში ენის აღმნიშვნელი ფუძის ანლაუტში წარმოდგენილია ბაგისმიერი **ბ**, მ თანხმოვნები, რომლებიც, შესაძლოა, ნივთის გრამატიკული კლასის გაქვეავებული ექსპონენტები იყოს.

რაც შეეხება აფხაზურ-აბაზურ სახეობებს, მათში გამოსაყოფი ჩანს ამავე ფუნქციის მქონე **ბა**- პრეფიქსი, ძირად კი **ზა** სეგმენტი უნდა მივიჩნიოთ.

აზლა//ალა, აზაზ. ბლა//ლა „თვალი“

დასახელებული ვარიანტებიდან ყველაზე ძველ ფორმად უნდა მივიჩნიოთ **ბ** თანხმოვნიანი **ბლა** სახეობა, რომელიც აბაზურშია დაცული. ამ ვარიანტისაგან აფხაზურ-აბაზური ენობრივი ერთობის პერიოდში წარმოიქმნა გამარტივებული **ლა** სახეობა, რომელიც ასევე აბაზურს შემოუნახავს. ორივე აფხაზური ვარიანტი შედარებით ახალია და მიღებულია უკვე არსებულ **ბლა** > **ლა** სახეობებზე სახელთა ზოგადი ფორმის მაწარმოებელი **ა**- პრეფიქსის დართვითა და ამ თავსართზე მახვილის გადმონაცვლების გზით.

გ. როგავა თვალის აღმნიშვნელ აფხაზურ-აბაზურ **ბლა** ფუძეს სამართლიანად აკავშირებდა ადიღეურ-ყაბარდოულ **ნა** და უბიხურ **ბლა** ფუძეებთან. მისი ვარაუდით, ადიღური **ნა** ვარიანტი მომდინარეობს **ლა** სახეობისაგან და არის სონანტ **ლ**-ს დაკარგვის შედეგი, თუმცა სხვა შემთხვევებში სონანტი **ლ** სიტყვის საწყის პოზიციაში შეცვლილია **ნ** ფონემით. ამიტომ მკვლევარს უფრო რეალურად მიაჩნია **ბლ** კომპლექსის სონანტ **ნ**-ში გადასვლა: ***ბლა** → ***ზნა** → ***მნა** → **ნა** (როგავა 1975: 50).

ა. შაგიროვის აზრით, **(ა)ბლა** ფუძე უკავშირდება აფხაზურ-აბაზურ **(ა)ბა**-რა „ხედეა“ ზმნის **ბა** ძირს (შაგიროვი, 1977: 276).

აგ აწა აბჟ., **აგ გწ** გ ბზიფ., ***გ აჭა** აბაზ. „ღვიძლი“

დასახელებულ ფორმათაგან აბაზურში ***გ აჭა** სიტყვა დამოუკიდებლად არ მოიპოვება, მაგრამ იგი არის კომპოზიტში **გ აჭა რფჰჰა** „საქონლის გულ-ღვიძლი“ ზედმიწევნით: „ღვიძლი-ფილტვი“, რაც ადასტურებს ამ სიტყვის ოდინდელ არსებობას

აბაზურში. ამჟამად ამ ენაში „ღვიძლის“ აღსანიშნავად გამოიყენება მარტივი წა ფუძე.

ა. შაგიროვის ვარაუდით, აფხაზ. აგ^აწ^ა და აბაზური წა შეესატყვისება ადიღურ ს, ზ ძირს: ლაბიალიზებულ სისინ-შიშინა ს, სპირანტს აფხაზურში შეესაბამება წ, აბაზურში ჭ < წ (შაგიროვი 1982: 39).

აგ^აზ, აბაზ. გ^აგ „გული“

გულის აღმნიშვნელი გ^აგ ფუძე საერთოა სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა შესაბამის ფუძეებთან. გ. როგავა მიიჩნევს, რომ სიტყვა ნაწარმოებია ასე: გ^აგ ← *გუგ ← *გუ.

შდრ. ქართ. გული, ზან. გური||გუი, სვან. გუი||გუ, გვილდ, ადიღ.-ყაბ. გ^აგ, ჩეჩნ.-ინგუშ. დუოგ, ბაცბ. დოკ, ხუნძ. რ-ა-კ, ანდ. როკკო; ლაკ. დაკ; დარგ. ურკი; ლეზგ. რიკ; თაბას. ურკი; უდ. უკ (უსლარი 1887: 127, როგავა 1975: 48).

აფხაზურ-აბაზური სიტყვის ძირია გ თანხმოვანი, ხოლო ლაბიალიზაციის მომენტი და ნეიტრალური ხმოვანი ქართველურ ენათა -ულ, -ურ დეტერმინანტ სუფიქსთა ანალოგიურია (ბლაჟბა 1948: 39).

ადა „მარღვი“

მარტივი ძირია, რომლის ეტიმოლოგია გამჭვირვალე არ არის. იგი მცენარეთა ფესვის მნიშვნელობითაც იხმარება.

ადაშ „მყესი“

კომპოზიტია: ადა „მარღვი“ სიტყვისა და აშ-კ^ა-კ^ა „თეთრი“ ზედსართავი სახელის ძირისეული შა თანხმოვნის შეერთების გზითაა მიღებული. აშ-კ^ა-კ^ა ზედსართავ სახელში რედუქციცირებული კ^ა ელემენტი კი ინტენსიურობას გამოხატავს.

აგანგზა „ელენთა“

სახელში გამოიყოფა გვერდის აღმნიშვნელი ვა ძირი (შდრ. აგა-რა „გვერდი“), აზ „ნაღველი“- დან ხომ არ მომდინარეობს ზას მეტათეზისით?

აგარა „გვერდი“

ამ ფუძეს აბაზურში შეესატყვისება მარა ფონეტიკური ვარიანტი. როგორც ქ. ლომთათიძემ დაადგინა, არც აფხაზური სახეობაა თავდაპირველი და არც აბაზური ვარიანტი. ორივე მო-

მდინარეობს დღეს უკვე არარსებული *ძ^არა ფორმისაგან, რომელშიც ამოსავალი *ძ^ა ფონემა დაიშალა ძ თანხმოვნად და ლაბიალიზაციის მომენტის გაფონემების გზით წარმოქმნილ ვ თანხმოვნად. ახალი ფონემებიდან ძ გაბატონდა აბაზურში, ხოლო ვ - აფხაზურში (ლომთათიძე 1944 : 33).

სიტყვა ავარა–ში არსებული ვ ბგერა ჩამოყალიბებული ჩანს თვით აფხაზური ენის ფონეტიკური სისტემის ნიადაგზე (ლომთათიძე 1944 : 32). ავარა // ძარა ფორმებში გამოსაყოფია პოლიფუნქციური - რა სუფიქსი. საყურადღებოა ისიც, რომ აფხაზურ-აბაზურ ვა // ძა < *ძ^ა ძირს უბიხურ ენაში შეესაბამება აბაზურის ანალოგიური, იმავე მნიშვნელობის მქონე ძა ძირი.

ავაწეს აბჟ., **ავაკ^აგ** ბზიფ. „ნეკნი“

ფუძეში გამოსაყოფია გვერდის აღმნიშვნელი ვა ძირი. რაც შეეხება წეს (შდრ. აბაზ. ძა-წეს „ნეკნი“ < ძა „გვერდი“ + წეს) ეს უნდა იყოს დიმინუტივის წეს „ჩიტი“ ამოსავალი მნიშვნელობით. ზედმიწევნით: „გვერდის შვილი“. შდრ. აჩწეს „კვიცი, ცხენის შვილი“.

მ. ჩუხუა აფხაზურ ავაწ-გც||← ავაკ-გც „გვერდის ძვალი“ სახელს ადარებს ქართველურ სიტყვას „ნეკ-ნი“. მისი მოსაზრებით, საერთო ქართველური *კუეცა ლექსემის შესატყვისი ჩანს აფხაზური აწ^აცა „ჭიქა“. ეს უკანასკნელი მიღებულია აკ^აცა არქეტიპისგან (ჩუხუა 2000-2003: 126).

აზთრა „ნაღვლის ბუშტი“ ,

აზქ^ა „ზურგი“

ბ. ჯანაშია თავის „აფხაზურ-ქართულ ლექსიკონში“ აღნიშნავს, რომ სიტყვა წარმოდგენილია მრავლობითი რიცხვის ფორმით და არა აქვს მხოლოდობითი რიცხვის ფორმა (პლურალია ტანტუმ) (ჯანაშია 1954: 112). ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ფუძეში არის მრ. რ. ნიშანი - ქ^ა, ხოლო საანალიზო სახელთან სინტაქსურ კავშირში შემავალ სიტყვებში ზურგის აღმნიშვნელად თავს იჩენს მრავლობითი რიცხვის კუთვნილებისა და პირ-კლასის ნიშანი - რ: აზქ^ა რ-ეირხარა „ზურგის შექცევა“ (ზედმიწ.: „ზურგები მათი შექცევა“). ამდენად ძირი ზ თანხმოვანია, მაგრამ ქ. ლომთათიძის მიერ დადგენილი ფუძეთა და აფიქსთა თავდაპირველი

მოდელის მიხედვით (ლომთათიძე 1976: 249) უნდა აღდგეს ამოსავალი CV სტრუქტურის *ზა არქეტიპი.

აკკა „ძუძუ“

საერთო აფხაზურ-აბაზური ფუძეა. შდრ. აბაზ. **კკა** „ძუძუ“.

აკკმაღ „დვრილი, ძუძუსთავი, კერტი“

პირველი კომპონენტი ძუძუს აღმნიშვნელი **აკკა** სიტყვის ბოლო ხმოვანმოკვეცილ **კკ** ფუძეა, მეორე კი **ანაღ** „თითი“ სიტყვის ასევე ბოლო ხმოვანმოკვეცილი ფუძე. ზედმიწევნით: „ძუძუს თითი“.

აკატ „ნაწლავი“

აბაზურ ენაში ნაწლავი აღინიშნება **ჭატი** სიტყვით, რომელიც თითქმის ემთხვევა ადიღურ **ჭატე** „ნაწლავი“ ტერმინს. კ. შაყრილის აზრით, აფხაზური **აკატ** „ნაწლავი“ მომდინარეობს ადიღური **ჭეჭა||ჭეჭ** „გრძელი“ სიტყვისაგან (შაყრილი 1968: 25).

ალაგ, აბაზ. **ლაგ** „თვალის კაკალი“

საერთო აფხაზურ-აბაზური ტერმინია. შედგება **ალა** „თვალი“ და **აგ** „გული“ სიტყვის ფუძეებისაგან.

ალაკთა აბჟ., **ალაქთა** ბზიფ. „თვალის ბუდე“, აბაზ. **ლაქთა**

ფუძეში გამოიყოფა თვალის აღმნიშვნელი **ლა** ფუძე + კ ელემენტი, რომელიც სავარაუდოდ მომდინარეობს აკათა „ბადე“ სიტყვიდან: *ალა+კათა, ა-ს ჩავარდნა უმახვილო პოზიციაში აფხაზურისათვის უცხო არაა.

ალახ „შუბლი“ აქაც უნდა გამოიყოს **ალა** „თვალი“ ლექსემა + ელემენტი **ხა-**, მნიშვნელობით „კენ“. ზედმიწევნით: „თვალის კენ“?

ალაღა//აზლაღა აბაზ. **ლაჩა** // **ლაღა** „ქუთუთო“,

ალა + აღა „კანი, ტყავი“ ,

ალტჟჳა ამ ფუძის ეტიმოლოგია დამაჯერებლად გარკვევა აკად. ქ. ლომთათიძემ თავის კლასიკურ ნაშრომში „აფხაზური „ლავიწი“ სიტყვის ეტიმოლოგიისათვის“ (ლომთათიძე 1974).

ალტჟჳა სიტყვა რთული შედგენილობისაა. **ღ თ ტ** ხშულთა სამეული აფხაზურში მეორეული წარმომავლობისაა. **ღ** ფონემა თითქმის მხოლოდ ნასესხებ მასალაში დასტურდება და გადმოსცემს სხვა ენათა **დვ (დუ)** ბგერათა ჯგუფს. უფრო რთუ-

ლია თ° და ტ° ფონემათა საკითხი (მათი გამოყენების არეც უფრო ფართოა). ლაბიალური უ კომპონენტის თ, ტ-სთან შერწყმით მათი წარმოქმნა გამორიცხული არაა გარკვეულ შემთხვევებში, მაგრამ მათი ამოსავალი უფრო მრავალფეროვანი ჩანს. (ლომთათიძე 1974).

ყურადღებას იქცევს ტ°-ს შემცველი თითო-ოროლა ფუძე, რომლებიც ქართულიდან უნდა იყოს შესული აფხაზურში და რომელთაც ქართულში წვ კომპლექსი აღმოაჩნდა ტ°-ს შესაბამისად. ერთი ასეთი ფუძეა ატ°ან „ნახარში, ბულიონი“ და იგივე უნდა იყოს, რაც ქართული წვენ-ი (ძველ ქართულში წუენ-ი დადასტურებულია სწორედ „ნახარშის, წენიანის“ მნიშვნელობით). (ლომთათიძე 1974: 221-224).

ტაპანთურ დიალექტში დ° თ° ტ° ლაბიალიზებულ ხმულთა სამეული მოშლილა და გადასულა აფრიკატიზაციის გზით ჯ° ჩ° ჭ°//ძ° ც° წ° სამეულში. ამის შედეგად აფხაზური ატ°ან ტაპანთურში წარმოდგენილია წ°ან//ჭ°ან ვარიანტების სახით და ნიშნავს „ნახარშს, ბულიონს“. ტაპანთური წ°ან//ჭ°ან ატ°ან სახეობიდან რომ მომდინარეობს, ამას ნათელს ხდის ტაპანთურისავე ფსიჟკრასნოვოსტოკის კილოკავის მონაცემები. XX საუკუნის 30-40-იან წლებში ამ კილოკავში უმცროსი ასაკის პირთა მეტყველებაში იგი უკვე წარმოდგენილი იყო ჭ°ან ვარიანტის სახით. როგორც გარკვეულია, ასეთი შედეგი კი მხოლოდ მაშინ გვაქვს, როდესაც წ°//ჭ° ფონემები ტ°-საგან არის მომდინარე. ეს მაშინ, როცა თავდაპირველი, საერთო აფხაზურ-აბაზური წ° (ტაპ. წ°//ჭ°) არ იქცევა ჭ°-დ. (ლომთათიძე 1974: 221-224).

ამ წესის ნიადაგზე უნდა იხსნებოდეს ა-ლტ°ჟჭა „ლავიწი, ლავიწის ძვალი“ აფხაზურში, რომელიც საინტერესოა თანხმოვნების თავყრილობითაც. მის შემადგენლობაში მეორე ნაწილად აშკარად გამოდის ჟჭა < ჟჭა ფუძე, რომელიც „მხარს“ ნიშნავს. საანალიზო ტერმინის პირველ ნაწილად გვევლინება ალტ°. ლტ° კომპლექსი არაა აფხაზურისათვის დამახასიათებელი. იგი წარმოქმნილია მახვილის ნიადაგზე ხმოვანთა ჩავარდნით (რაც ჩვეულებრივია აფხაზურში, განსაკუთრებით რთულ ფუძეებში). ამის კვალობაზე ლტ° ელემენტი უკავშირდება ქართულ ლავიწი-

სიტყვას, რომლის ფუძეშიც აფხაზურის ნიადაგზე უნდა ჩავარდნილიყო **ი** ხმოვანი (მსგავსად სხვა ანალოგიური შემთხვევებისა): **ლავიწ** > ***(ა)-ლავეწ//*(ა)-ლვეწ**. (ლომთათიძე 1974)

აფხაზურისთვის უჩვეულოა, ერთი მხრივ, **ლვ (ლუ)** ბგერათთანმიმდევრობა და, მეორე მხრივ, **წწ (უწ)** თანმიმდევრობა.

ამ უჩვეულო მიმდევრობის დამღევის ბუნებრივი გზაა **ლვეწ**-ს გარდაქმნა **ლწვ**-დ ფონემათა სუბსტიტუციის გზით და აქედან **წვ**-ს **ტ** ფონემად გადაქცევა: **ლწვ** → **ლტ** (ცალკე **ალტ** ფუძე არ გვხვდება აფხაზურში). აქ გარკვეული როლი უნდა მიუძღოდეს **ლ**-ს მეზობლობასაც. (ლომთათიძე 1974: 221-224).

ლავიწის აღმნიშვნელი სიტყვა ტაპანთურში აქ განხილულ პირველ **ლტ** ელემენტს, ან მის ფონეტიკურ ვარიანტს არ შეიცავს. იქ ლავიწის სახელად გვაქვს **ქჭა ყაფს** „მხრის ფოსო“. ამ ტერმინოლოგიურ შესიტყვებაში **ქჭა** „მხარი“ ფუძეს მეორე ელემენტად ერთვის ყაბარდოული ტერმინი **ყაფს** „ფოსო (ძვლისა)“. განსხვავებული აგებულებისაა აფხაზური საანალიზო **ალტ ქჭა** „ლავიწი“, რომლის პირველი კომპონენტია ქართულიდან შესული **ლავიწ** ფუძის აფხაზური **ალტ** სახება, რომელსაც ერთვის მხრის აღმნიშვნელი საკუთრივ აფხაზურ-აბაზური წარმომავლობის **ქჭა** ფუძე. ამ ორი, ქართულ-აფხაზური ფუძის შეერთებით მიღებული რთული ტერმინის სემანტიკაა „ლავიწ-მხარი“ (შდრ. ქართული **ლავიწის ძვალი**). იშვიათი არ არის ამ რიგის სხვაობა რთულ სიტყვათა აგებულებაში აფხაზურსა და აბაზურს (ტაპანთურს) შორის, როცა აფხაზური კომპოზიტები აგებულებით ქართულს უდგება, ხოლო ტაპანთური მას შორდება, ან ადიღურს მიჰყვება (ლომთათიძე 1974: 221-224).

ალემჰა, აბაზ. ლემჰა „ყური“

გ. როგავას აზრით, აფხაზურ-აბაზური ფუძის **ჰა** სეგმენტი კავშირშია ადიღ. **თჰაკჰმა** და უბიხ. **ლაკჰმა** „ყური“ სახელების **ჰა** ელემენტთან. იმავე მკვლევრის აზრით, ყველა აფხაზურ-ადიღური ფუძე რთულია.

მათთვის საერთოა **მა** ელემენტიც, ამიტომ ის გამოიყოფა როგორც ამ სიტყვის მთავარი ნაწილი. აფხაზურ-აბაზურსა და

უბიხურ ენებში მორფემა **ლა||ლე** აღნიშნავს „თვალს“ (როგავა 1975: 51).

საყურადღებოა გ. დეეტერსის მოსაზრება, რომელიც გულისხმობს ადიღურის **ჰ**-სა და აფხაზური **ლ**-ს ბგერათშესატყვისობას: ყაბ. **თჰაკჷმა** – აფხ. **ალემჰა** „ყური“ (შაგიროვი 1982: 7).

კ. შაყრილს მიაჩნია, რომ აფხაზურ ენაში ზმნა **აჰა-რა** „გაგონება“ ყურის აღმნიშვნელი სიტყვის **ჰა** ელემენტიდან არის ნაწაროები (შაყრილი 1968: 25).

ამახჷრ აბჟ., **ამახჷრ** ბზიფ. „მკლავი, ხელი მტევნის გარეშე“

პ. ჭარაია თვლიდა, რომ მეგრული **მახვარ-ი** აფხაზურიდან არის ნასესხები, ხოლო მათთან დაკავშირებულია სვანური **მეხერ** (ჭარაია 1912: 30).

ანაჰე აბჟ. **ამაჰე** ბზიფ. **ნაჰე** აბაზ. „ხელი“

ფუძის წარმომავლობა და სტრუქტურა გაარკვია ქ. ლომთათიძემ სტატიაში „ხელისა და ფეხის აღმნიშვნელი ფუძეების უძველესი სახეობებისათვის აფხაზურ-ადიღურ ენებში და ზოგი ქართველური ფუძის ანალიზის საკითხი“ (ლომთათიძე 1966).

მკვლევარი აღნიშნავს, რომ **ანაჰე** ფუძეში **ჰე** „ხელის“ აღმნიშვნელი ძირი არ ჩანს, სიტყვის ძირია **ნა**. იგი ივარაუდება შემდეგი სიტყვების ძირებში: **ანა-ცჷა** „ხელის თითი“, **ანა-ჰ-ხე-ც** „ხელის ფრჩხილი“. ამავე დროს ხელის აღმნიშვნელ რთულ ფუძეთა შემადგენლობაში „ხელ“ სიტყვის ძირეული ნაწილი ჩვეულებრივ **მა-** ელემენტის სახით წარმოგვიდგება, მაგალითად: **ამა-ცჷა** „ხელის თითი“, **ამაა (*←ამა-ჰა)** „სახელური“, **ამა-ცჷა-ზ** „ბეჭედი“.

როგორც ჩანს, „ხელ“ სიტყვის ძირეულ ნაწილად გვევლინება **ნა||მა**. **ნ**-სა და **მ**-ს მონაცვლეობა აფხაზურში ხშირი მოვლენაა. **ნ**-სა და **მ**-ს მონაცვლეობას „ხელ“ სიტყვის ფუძეში თავდაპირველად გარკვეული კანონზომიერება ახასიათებდა. კერძოდ, **ნა** მხოლოდ ისეთ ფუძეებში უნდა გვექონოდა, რომლებშიც ბაგისმიერი ხშული **ჰ** იყო ხოლმე, დანარჩენ შემთხვევაში კი იყო **მა**. აქედან გამომდინარე, ხელის აღმნიშვნელი ძირი იყო **მა-**, **ნა-** კი არის პოზიციურად მიღებული **მა**-სგან **ჰ**-სთან შორეული მეზობლობით (დისიმილაციის საფუძველზე). ეს ვითარება დღესაც და-

ცულია ტაპანთურ დიალექტში, პარალელური ფორმები **ამაცა**||**ანაცა** ტიპისა ტაპანთურშიც არ დასტურდება. ტაპანთურში გვხვდება: ერთი მხრივ, მხოლოდ **მა-ცა**, მეორე მხრივ მხოლოდ **ნა-პე**.

ერთი და იგივე ძირეული მასალა (**მა**) ერთი და იმავე სახით წარმოგვიდგა ***ამაპე**–სა და **ამპე** –ში (**მ**), თუმცა თავიანთი გენეზისის მიხედვით სხვადასხვა ამოსავალს გულისხმობს თითოეული მათგანი:

1. ***ამაპე** → 2. **ანაპე** (დისტანციური დისიმილაცია) → 3. ***ამპე** (კონტაქტური ასიმილაცია ა ხმოვნის რედუქციის საფუძველზე).

„ხელის“ აღმნიშვნელი **მ(ა)** ძირი ფართოდ ჩანს გამოყენებული აფხაზურში ისეთ სახელებსა და ზმნებში, რომლებშიც დღეს უშუალოდ ხელზე მითითება არა გვაქვს, მაგრამ ეტიმოლოგიურად „ხელის“ გაგებას უნდა უკავშირდებოდეს (ლომთათიძე 1966: 150-161).

ანაპსერგ ჭწა აბჟ., **ანარგ ჭწა** ბზიფ., **ნაპსარგ ჭწა** აბაზ. „ხელისგული“.

რთული აგებულებისაა: სავარაუდოდ ხუთი კომპონენტი-საგან შედგება **ანაპ+სგ+რ+გ ჭწა** **ნაპ** „ხელი“ + **-ს-** დანიშნულების ელემენტი + **-რ** მრავლობითობის + **გ ჭ** „გული“ ლექსემა („შუას“ მნიშვნელობით) + **წა** ლოკალური პრეფერბი („ფსკერი“).

ანაპხეც აბჟ., **ანაპხეს'** ბზიფ. „ხელის ფრჩხილი“, აბაზ. **ნაპხეც** „ხელის ფრჩხილის წანაჭერი“.

ბზიფურ დიალექტში მომხდარა ფუძის ბოლოკიდური თანხმოვნის სპონტანური ცვლა (ბლაჟბა 1964: 128) და **ხ** თანხმოვნის მეზობლად **პ** თანხმოვნის **ფ-**დ ქცევა. ფუძეში გამოსაყოფია ხელის აღმნიშვნელი სიტყვის **ნაპ** სეგმენტი. დანარჩენ სეგმენტთა რაობა საკვლევია. აბაზურ ენაში დადასტურებულ ორ ვარიანტს შორის არსებული სემანტიკური სხვაობაც ახსნას მოითხოვს.

ანაცა // **ამაცა** აბჟ., **ამაცა** ბზიფ., **მაცა** აშხარ., **მაჩგ** ტაპ. „თითი“ კომპოზიტია, სიტყვასიტყვით უნდა ნიშნავდეს: **ნა** „ხე-

ლის“ + ცა „ტყავი“, შდრ. ქართული ხალხური ანაცუა, ბანაცუა და შემდგომ ... (ხელის თითებით თამაში).

აჟგ, აბაზ. **ჟგ** „ხორცი“

მარტივი შედგენილობის ფუძეა. უკავშირდება ადიღურ **ლგ** ძირს. ბგერათმესატყვისობა: აფხაზ.-აბაზ. **ჟ** : ადიღ. **ლ'** ნ. ტრუბეცკოიმ ამ სიტყვის მაგალითითაც გამოავლინა.

იგივე მკვლევარი ამ ძირს დაღესტნურ ენათა (არჩიბულ, დიდოურ, უდიურ, ლეზგიურ, რუთულურ, აღულურ, თაბასარანულ, ლაკურ, დარგულ) მასალასთანაც აიგივებდა (ტრუბეცკოი 1930: 278).

გ. კლიმოვი ამ ძირს უკავშირებს ქართველურ ***ლაღვ** ფუძეს (ქართ. **ლეღვ**-ი „ხორცი“, ზან. **ლუღ**-ი „ლეღვი“, სვან. **ლეღვ** „ხორცი“).

საინტერესოა, რომ აფხაზურში ხორცის აღმნიშვნელად გამოიყენება სხვა, აკ^აც სიტყვაც, რომელიც არ დასტურდება აბაზურში. **აჟგ** და აკ^აც სიტყვები სინონიმები არაა, მათ შორის სემანტიკური სხვაობაა: **აჟგ** გამოიყენება ცოცხალი ადამიანისა და ცხოველ-ფრინველის ხორცის აღმნიშვნელად, ხოლო აკ^აც სიტყვა – დაკლული საქონლისა და ფრინველის ხორცის მნიშვნელობით.

არფჰა, აბაზ. **რაფჰა** // **რფჰა** „ფილტივი“,

აჟათა, აბაზ. **ჟანა** „ბარძაყი, ბარკალი (ადამიანისა და ცხოველისა)“

ფონემატური სტრუქტურის თვალსაზრისით აბაზური ვარიანტი უფრო ახალია და მიღებულია **თ^ა > ჩ^ა** სპონტანური ცვლილების შედეგად (ლომთათიძე 1944: 28; ლომთათიძე 1954: 7).

აფგნწა, აბაზ. **ფგნწა** „ცხვირი“

მიიჩნევა საერთო აფხაზურ-ადიღურ ფუძედ. შდრ.: ადიღ. **ფა**, უბიხ. **ფაწა**.

ყველა აფხაზურ-ადიღური ენისთვის საერთო ელემენტად გვევლინება **ფგ//ფა**. ადიღურში **ფწ** // **ფა** დამოუკიდებელი სიტყვაა და „ცხვირს“ ნიშნავს, ხოლო აფხაზურ-აბაზურსა და უბიხურში მასთან დაკავშირებული **ფგ** და **ფა** ძირები კომპოზიტის პირველი კომპონენტებია. აღნიშნული აფხაზურ-ადიღური ძირე-

ბის მასალაზეა დადგენილი კანონზომიერი ბერათმესატყვისობა: აფხაზ.-აბაზ. ფ: ადიღ. ფ: უბიხ. ფ.

ა. შაგიროვის აზრით, აფხაზურ ა-ფგნწა-ში წა მარცვალი ზედსართავ ა-წარ „წვეტიანი“ სახელის ძირეული ელემენტია, ხოლო მის წინ მდგომი ნ – ლოკალური აფიქსი, ან ფონეტიკური დანართი (შაგიროვი 1982: 58). მკვლევარი მიიჩნევს, რომ ამავე სახელის ფგ შეიძლება დავაკავშიროთ აფხაზ. „წინ“ ზმნისართის ძირთან, ამ შემთხვევაში აფგნწა-ს სემანტიკა იქნება „წვეტიანი წინ“.

აღრა „მუცლის ღრუ“

ნასესხებია ქართულიდან. შდრ. ქართ. ღრმა- სიტყვის ღრ-სეგმენტი.

აშა, აბაზ. შა „სისხლი“

ნ. ტრუბეცკომ დააკავშირა ერთმანეთთან აფხაზურ-აბაზური აშა // შა და ადიღური შეგ ფუძეები და გამოავლინა აფხ.-აბაზ. შ: ადიღ. შ ბერათმესატყვისობა, რაც გაზიარებულია სხვა მკვლევართა მიერაც (შაგიროვი 1977-I: 255).

ა. შაგიროვი მართებულად არ იზიარებს ნ. ტრუბეცკოისა და კ. ჭარაიას მიერ ადიღ. შეგ „ძმა“ და აფხაზური ააა-შა „ძმა“ ფუძის შა სეგმენტის დაკავშირებას „სისხლის“ აღმნიშვნელ შა ძირთან, ვინაიდან ადიღურ ენებში ძმის აღმნიშვნელი ძირის შ თანხმოვანს ისევ შ თანხმოვანი შეესატყვისება, ხოლო „სისხლის“ აღმნიშვნელი აფხაზურ-აბაზური შა ძირის შ თანხმოვანს – შა თანხმოვანი (შაგიროვი 1982: 5).

აშამხე აბჟ., **აშამხე** ბზიფ., **შამგა** აბაზ. „მუხლი“

კ. ჭარაიას აზრით, **აშამხე** რთული შედგენილობისაა: აშა „ფეხი“ და მხე ელემენტი - საზიაროა ქართულ მუხლ სიტყვასთან (ჭარაია 1912: 52).

ამ ვარაუდს არ ეთანხმება ა. შაგიროვი, რომელიც მიიჩნევს, რომ ეს სიტყვა ამგვარი შედგენილობისაა: აშაჰე „ფეხი“ სიტყვის შა ძირი + ახე „თავის“ აღმნიშვნელი ფუძის ხე ძირი, ხოლო მათ შორის მდებარე ელემენტი -მ- უკავშირება აშაა „სახელური, ტარი“ სიტყვასო (შაგიროვი 1977 -I: 250).

აშაპე, აბაზ. შაპე „ფეხი“

მიიჩნევა საერთო აფხაზურ-ადიღურ სიტყვად. ანა-პე//ამა-პე „ხელი“ სიტყვებში გამოყოფენ შა და პე ძირებს, რომელთაგანაც პირველი გამოხატავს ფეხის სემანტიკას. ამოსავალი ფონეტიკური ვარიანტია *აშა-პა. შა ძირის შ თანხმოვანი კანონზომიერ ბგერათშესატყვისობას იძლევა ადიღური ლ'ა, ლ'ა-კ'ა „ფეხი“ და უბიხ. ლ'ა-პა „ფეხი“ ფუძეების ლატერალურ თანხმოვანთან (როგავა 1975: 49, შაგიროვი 1982: 32).

ქ. ლომთათიძე აღნიშნავს, რომ აშა-პე სიტყვის პირველი ელემენტი პე-ს გარეშე გვხვდება მისი ძირითადი მნიშვნელობით, რაც მიგვითითებს იმაზე, რომ ეს ელემენტი ძირეულია. იგი შა//შე//შ ფონეტიკურ ვარიანტთა სახით (პე-ს გარეშე) გვხვდება შემდეგ სიტყვებში: აშა-ც'ა „ფეხის თითები“, აშა-ჭა „ნაბიჯი“ („ფეხის პირი“), აშა-თა // აშ-თა „კვალი“ (თა ადგილმდებარეობის გამომხატველი ელემენტი), აშა-ხ'ა „წვივი“, აშ-ხ'ა „ქუსლი“. იგივე შა გამოიყენება „ფეხთ ჩაცმა-გახდის“ აღმნიშვნელ ზმნებში ფუძე-წინდებულის სახით: ი-ლ-შ-უპ „მას (ქალს) ის ფეხთ აცვია“... ასევე გვხვდება იგი ცალკე არსებულ ზმნებში, როგორცაა: აშა-ქ'ე-რ-გელა-რა „დადგენა, დაფუძნება“ („ფეხზე დაყენება“) და სხვა (ლომთათიძე 1966: 150-151).

აშაპხეც აბჟ., აშაპხეს' ბზიფ., შამხე // შაპხე აბაზ. „ფეხის ფრჩხილი“, აბაზ. შაპხესა „ფეხის ფრჩხილი; ფლოქვი“ ზედმიწევნით: ფეხის თმა? ახუც „თმა“.

აშაპე'ანც' „წვივი“ აშაპ+გ'ა+ანც' სიტყვასიტყვით: აშაპ „ფეხი + გ'შუა + ანც' ტყავი“.

აშაპე'კ'ეს „ფეხის თითი“ აშა+ანც'+კ'ეს ზედმიწევნით: შა „ფეხი“ + ანც'კანი + კ'ეს

ქ. ლომთათიძის აზრით, ამ უკანასკნელში გამოიყოფა ერთეულის აღმნიშვნელი -ს სუფიქსი, რომელსაც მრავლობითი რიცხვის ფორმაში ჩაენაცვლება კრებითობის -რა სუფიქსი: აშაპე'კ'ან-რა „ფეხის თითები“ (შდრ. მხ. რ. ანაპე'კ'ეს „ხელის თითი“ – მრ. რ. ანაპე'კ'ანრა), რაც შეეხება კ'ე //კ'ან ელემენტებს, მათგან უფრო ძველი მეორე ვარიანტი ჩანს, თუმცა მისი ამოსავალი მნიშვნელობა დაჩრდილულია.

აშახა, აბაზ. **შახა** „წვივი“

კომპოზიტია. ფუძე შედგება ფეხის აღმნიშვნელი **შა** და **ხა** ძირებისაგან (ლომთათიძე, 1966: 151). **ხა** ძირი ხომ არ ნიშნავს მაგიერს, „ირიზს“? **ან-ხა** „დედამთილში“ რაცაა ეს სეგმენტი? სემანტიკა საძიებელია.

აცა „კუჭი“

მარტივი ფუძეა.

აცა აბჟ., **ჩა** აბაზ. „კანი“, „ტყავი“, „ქერქი“, „ნაჭუჭი“.

კ. შაყრილი მიიჩნევდა აფხაზურ-ადილური ენებისთვის საერთო სიტყვად და აკავშირებდა ადილ. **ჭიშუ** სიტყვის **შ** თანხმობასთან, თუმცა ვერ განმარტავდა ამ ადილური სიტყვის დანარჩენი ნაწილების რაობას. მკვლევრის აზრით, იგივე ადილური ელემენტი **შ** შენარჩუნებულია აფხაზურ სიტყვებში: **აშ-წა** „ტანსაცმელი“, **აშ-წა-რა** „ჩაცმა“ (შაყრილი 1968: 26).

აც ეიჟ „სხეული, ორგანიზმი“

კომპოზიტია. შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: **აცა** „კანი“, „ტყავი“, „ქერქი“, „ნაჭუჭი“ + **ე** კავშირი „და“ + **აჟ** „ხორცი“, ანუ „კანი და ხორცი“.

აც ეიჟხ თაქა „სხეულის ნაწილები“

შედგება **აც ეიჟ** „სხეული“ და მრავლობით რიცხვში მდგომი **ა-ხთა** „ნაწილი“ სიტყვების ფუძეებისაგან: **აც ეიჟ - ხთა - ქა**.

აჭაპან „ჭიპლარი, ჭიპი“

მიჩნეულია მეგრულიდან ნასესხებ სიტყვად. შდრ.: ქართ. **ჭიპ-ი**, მეგრული **ჭიპ-ი**, ლაზური **წიპა** (შაგიროვი 1989 : 146), თუმცა ასახსნელია ბოლოვიდური **ან** სეგმენტის წარმომავლობა. აბაზურში ამავე მნიშვნელობით გამოიყენება ტერმინი **ბენჯა**, რომელიც ხის კვირტსაც აღნიშნავს. ა. შაგიროვს ეს სიტყვა სამართლიანად მიაჩნია ყაზარდოულიდან ნასესხებად: შდრ. ყაბ. **ბენჯა** და ადილური **ნებგჯ** (შაგიროვი 1989: 146).

აჭაჭა აბჟ, **ჭაჭა** აბაზ. **ჭაჭე** უბიხ. „თირკმელი“

ნასესხებია მეგრულიდან, შდრ. მეგრ., იმერ. **ჭაჭა**. ქართველურ ენებში **ჭაჭა** აფხაზურ ნასესხობად ითვლება (შაგიროვი 1977: 200).

აჭე, აბაზ. **ჭა** „პირი“

გ. როგავას აზრით, საერთო აფხაზურ-ადილური ფუძეა: ადილ. ჟა აფხ.-აბაზ. (ა-)ჭგ, უბიხ. ჭგ (როგავა 1975: 50).

აჭგწა აბჟ., აჭაწა ბზიფ. „სასა“.

ფუძე შედგება აჭგ „პირი“ + წა „ქვეშ“ ლოკალური პრევერბისაგან.

ახაგთა აბჟ., ახაგთა ბზიფ., ჯაგთა // ჯექთა აბაზ. „თხემი“.

ახაფგც აბჟ., ახაპგც ბზიფ, ფგც აბაზ. „კბილი“

აფხაზური ვარიანტები მიღებულია აბაზურ ფგც სახეობაზე ხა < ხა „თავის“ აღმნიშვნელი ძირის დართვით. ც ძირს აკავშირებენ „ცალის“, „ერთეულის“ აღმნიშვნელ საერთო იბერიულ-კავკასიურ ც ძირთან.

ახაფგცჟ აბჟ., ახაფგცჟ ბზიფ., ფგცჟ აბაზ. „ღრძილი“

კომპოზიტია. ნაწარმოებია ორი სახელის ფუძის შეერთებით: ახაფგც // ახაფგც „კბილი“ + აჟგ „ხორცი“, ანუ „კბილის ხორცი“.

ახაშთახ~ აბჟ., ახაშთახ~ ბზიფ. „კეფა“

რთული სიტყვაა. შედგება ახგ // ახგ „თავი“ + აშთახ~ „უკან“ ფუძეებისაგან.

ახშგჯ აბჟ., ახშგჯ ბზიფ. „ტვინი“

ახშგბაჯ // ახგბაჯ აბჟ., ახშგლგბაჯ // ახშგბაჯ ბზიფ., ჯაბგჟ // ჯაბგჟლაშა აბაზ. „თავის ტვინი; თავის ქალა“ სიტყვასიტყვით: „ტვინი+ძვალი“.

ახგ აბჟ., ახგ ბზიფ., ჯა აბაზ. „თავი“

პ. ჭარაია აფხაზურ (აბჟურ) სიტყვას აკავშირებდა ქართულ თხემ-თან (ჭარაია 1912 : 42-43).

ქ. ლომთათიძე სამართლიანად მიიჩნევდა, რომ ზემოთ დასახელებული სამი აფხაზურ-აბაზური ფორმიდან ფონეტიკურად უძველესი (ამოსავალი) ვარიანტი შემონახულია აბაზურ ენაში, ბზიფური და აბჟური ვარიანტები კი მისგან მომდინარეობენ ჯ > ხ > ხ და ა > გ გარდაქმნათა საფუძველზე (ლომთათიძე 1944: 29; ლომთათიძე 1954: 37; ლომთათიძე 1976 : 112).

ახ⁰და აბჟ., **ახ⁰და** ბზიფ. „კისერი; ყელი“, აბაზ. **კ⁰და** „კისერი“.

სომატურ ლექსიკაში უმველესი, მცირე რაოდენობით წარმოდგენილი, ოდენფუძიანი სიტყვები ჩანს.

ცოტაა ნასესხები მასალაც. მრავლადაა კომპოზიციით მიღებული ლექსემები.

VII თავი

ხმიანობა და სადგომი

საინტერესოა ფაუნის ხმიანობისა და სადგომოს აღმნიშვნელი ლექსიკა აფხაზურში.

ისევე როგორც სხვა ენებში, აფხაზურშიც:

ხმიანობის აღმნიშვნელი სახელები ხმაბადვითია.

ასეთებია:

აჭერჭერა „ჭიკჭიკი“ (**იჭერჭერუეიტ**, **იჭერჭერაიტ**) ჭიკჭიკებს, იჭიკჭიკა.

აყჟრა „ჟღურტული, დაჟღურტულება“ (**იყჟუეიტ**, **იყჟაიტ**) ჟღურტულებს, დაჟღურტულა.

აღურრა 1. „კრუტუნნი, დაკრუტუნება“ (**იღურუეიტ**, **იღურიიტ**) (კრუტუნებს, დაიკრუტუნა), ხრუტუნნი, (ხრუტუნებს, დაიხრუტუნა), ღრუტუნნი (ღრუტუნებს, დაიღრუტუნა), **აღგუ ღურუეიტ** „კატა კრუტუნებს“ 2. დრუხუნნი (დრუხუნებს, იდრუხუნა); **აჰა ღურუეიტ** „ღორი დრუხუნებს“.

აკაკარა „კაკანი“ (**იკაკოაიტ**, **იკაკეაიტ**) კაკანებს, იკაკანა; **აკუტგ კაკოაიტ** „ქათამი კაკანებს“ **ზაყა იკაკაზ აყარა იმწამაც** (ანდ.) „იმდენი არ დაუდვია, რამდენიც იკაკანაო“.

აკარკარრა „კრიახი“, (**იკარკარუეიტ**, **იკარკარიიტ**), ტკვარცალო (ტკვარცალებს, იტკვარცალა); **აკუტგ კარკარუეიტ** „ქათამი კრიახებს“.

აბგვრა „ბლუილი“, (**იბგვუეიტ**, **იბგვაიტ**), ბლუის, იბლუვლა; **აგაღ ბგვუეიტ** „კურო, ბულა ბლუის“.

აურა „ღმუილი, დაღმუვლება“ (მაღლის, მგლის), (**იუუეიტ**, **იუუაიტ**), „ღმუის, დაიღმუვლა“.

აყარა 1. „ყვირილი“, 2. „ღმუილი, დაღმუვლება, ზმუილი, დაზმუვლება“ **აჟ ყააუეიტ** „ძროხა ღმუის, ზმუის“. 3. „ბღავილი, კიკინი“; **აჟასა, აჟმა ყააუეიტ** „ცხვარი, თხა ბღავის, კიკინებს“. 4. „ყროყინი“, **აჩადა ყააუეიტ** „ვირი ყროყინებს“, 5. „ყიყინი“, **აყვზ ყააუეიტ** „ბატი ყიყინებს“. 6. „ყივილი“ **არბაღ ყააუეიტ** „მამალი ყივის“.

აშრა „ყეფა (ყეფს, დაიყეფა); **ალა შუეიტ** „ძალლი ყეფს“.

ზოგჯერ ხმიანობის გამომხატველ სიტყვას დაერთვის **აბუ** „ხმა“ ლექსემა, მაგ.: **აშშე-ბუ** „ძალლის ყეფის ხმა“.

აფხაზურში პროდუქტიულია ასევე ხმიანობის აღწერითი წარმოებაც: **აბუჯ გოიტ** „ხმას გამოსცემს“, მაგ.: **აწეს აბუჯ გოიტ** „ჩიტის ხმას გამოსცემს“, ანუ „ჭიკჭიკებს“.

სადგომის აღსანიშნავად გამოიყენება ძირითადად აფიქსაციით ნაწარმოები ლექსიკა:

-**რა** ზოგადობის სუფიქსიანი:

აბოუ-რა „ბოსელი“,

ათეჯ-რა „სორო, ბუნაგი“.

-**თრა/-რთა** შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსით ნაწარმოები:

აკუტე-რთა „საქათმე“,

აფხ არგლა-რთა „ფრინველის ღამის გასათევი, დასაჯდომი ადგილი, ფრინველთ საბუდარი“, **აფხ არგლა** „ღამის გათევა“,

აყეზ-თრა „საბატე“,

აკამბაშ-თრა „ბოსელი (კამეჩისა),

ალა-თრა „ძალლის ხუხულა“,

აჟ-თრა „ბოსელი“,

აწეს-თრა „ჩიტის ბუდე“ .

ათეჯრა „ბუდე“ ლექსემის დართვით ნაწარმოები:

აწეს-თეჯრა „ჩიტის ბუდე“ .

-**გ არა** შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსით ნაწარმოები:

აჟ-გ არა „ძროხის ზაკი“ .

-**წარა** შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსით ნაწარმოები:

აკუტ-წარა „საქათმე“.

-წართა შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსით ნაწარმოები: ამ შემთხვევაში -წა და -რთა სუფიქსების გაერთიანებით მიღებული:

აკუტ-წართა „საბუდარი“ (ქათმისა).

აჩეხუჩა „ახორი, ბაგა“, კომპოზიტია, აჩე „ცხენი“, დაჩრდილულია მეორე-ხუჩა კომპონენტის მნიშვნელობა.

VIII თავი

სტრუქტურული მოდელები

1. ოდენ ფუძის სახით წარმოდგენილი სახელწოდებები

აჟ° „ძროხა“,
 აც° „კამერი“,
 აჯმა „თხა“,
 აცგუ „კატა“,
 აზ „ბოტი, ვაცი“,
 აჟასა „ცხვარი“,
 აჰ° ზნაფ „თაგვი“,
 აჰ° ა „ღორი“,
 აჟა „კურდღელი“,
 ათე „ვერძი“,
 აზგა „მგელი“,
 აჩ° გ „ცხენი“,
 აყგზ „ბატი“,
 აჰყა „წერო“,
 აკ° ტე „ქათამი“,
 აყ° ართ „კრუხი“,
 აწგს „ჩიტი“,
 აკ° ა „შევარდენი“,
 აჰ° გჰ° „მტრედი“,
 ატე „ბუ“,
 აჩა „მწყერი“,
 ალაჰ° ა „ყორანი“,
 აზ° შ „ქორი“,
 აზ° აჟ „ჩხიკვი, ჯაფარა“,
 აქ° აჩა „იხვი“,
 აყ° არასა „გვრიტი“,
 აშხა „ფუტკარი“,
 ამწ „ბუზი“,
 აცც „ქინქლა“,
 ალა „ძაღლი“,

აჯ „ჩრჩილი“,
 აკუბრე „კოლო“,
 აწა „ტილი, მკბენარი“,
 აძ „რწყილი“,
 აკაწა „ბაღლინჯო“,
 ახ^აც „ჭია“,
 ახ^ა „ხორცის მატლი“,
 ახ^არშ / ახ^არშ^ე „ბობოლი“ (ხის დიდი მატლი).

2. რედუპლიცირებული სახელები

აკუკუ „გუგული“,
 აყ^აყ^ა „ზურგი“,
 აფჭაჭარ „ქოჩორი“,
 აღ^აღ^ა „აპკი“,
 აჭერჭერა „ჭიკჭიკი“,
 აყყურა „ჟღურტული, დაჟღურტულეზა“,
 აღურრა „კრუტუნი, დაკრუტუნეზა“,
 აკაკარა „კაკანი“,
 აკარკარა „კრიახი“,
 აბგვრა „ბლეილი“,
 აყარა 1. „ყვირილი“, 2. „ღმუილი, დაღმუელება, ზმუილი, დაზმუელება“,
 არჯარახ „ჯიგარი; ფილტვ-გულ-ღვიძლი“,
 ახ^აჭა-მაჭა „ჭია-ღუა, მწერი“ შდრ.: ქართული ხოჭო.

3. კომპოზიტები

ორკომპონენტანი

საზღვრულ-მსაზღვრელი:

1. სტრუქტურული მოდელი: არსებითი სახელი (უმეტესად ცხოველის აღმნიშვნელი ლექსემა) + ზედსართავი სახელი, ან მი-სი ფუძის ნაშთი:

აბგახ^ეგჭე „მელა“, ზედმიწევნით: „მგელი პატარა“,
 აბგადღუ „მგელი“, სიტყვასიტყვით: „მგელი დიდი“,
 აძგშა „ძერ-ქორი“ შა < შკ^აკ^ა „თეთრი“ ზედსართავი სახე-

ლის ფუძის ნაშთი,

აფხ^ჲჯნძარახ „ფაშვი“, სემანტიკადაჩრდილული კომპოზიტი,
ადაშ „მეესი“

ადა „ძარღვი“ + **ა-შ-კ^ჲა-კ^ჲა** „თეთრი“ ზედსართავი სახელის ძირისეული შ^ჲ თანხმოვანი.

ამახ^ჲარ, ბზ. **ა-მახ^ჲჭა/ა-მახ^ჲჭე** „მკლავი“, ზედმიწევნით: **ა-მა+ხ^ჲარ** „ხელი+მოხრილი“.

აფენწა რხ^ჲა „კაუჭა“, „ცხვირი მოხრილი“,

აფენწა ხარშ^ჲალა „მოკაუჭებული“.

აშხ^ჲა „ქუსლი“, **ა-შხ^ჲა** „ფეხი+მოხრილი“.

აფყაშ, **აფყეშ**, **აფსგმ-ფყეშ** (აბჟ.), „საზანი“, **აფსგმ** „თევზი“, **აფყარა** „ყრა“, ზედმიწევნით: „თევზი საჭრელი“,

მსაზღვრელ-საზღვრული:

2. სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი + არსებითი სახელი:**

გარეულობის აღსანიშნავად ცხოველის აღმნიშვნელ სახელის ფუძეს წინ ერთვის **აზნა/ აზენ /აზნ** „ტყე“ ლექსემა:

აზნაც^ჲ „ხარ-ირემი“: **აზნა** „ტყე“, **აც^ჲ** „ხარი“,

აზენჰ^ჲა „ტახი“: **აზენ** „ტყე“, **აჰ^ჲა** „ლორი“,

აზენჩა „ფურ-ირემი“: **აზენ** „ტყე“, **ჩა** „ცხენი“.

აფსლგ „წავი“, **აფს** „წყალი“ + **ალა** > **ლგ** „ძაღლი“.



აჩა-ლამწ „ძაღლის მწერი“, **ალა** „ძაღლი“, **ამწ** „ბუზი“, სიტყვასიტყვით: „მგლ(ის) ბუზი“,

აც^ჲგმწ „ბუზანკალი“, **აც^ჲ** „ხარი“, **ამწ** „ბუზი“, ზედმიწევნით: „ხარის ბუზი“,

აჩა+წგს „კვიცი“, ზედმიწევნით: „აჩა ცხენი + წგს ჩიტი“.

ამათფსგმ „გველთეფზა“, **ამათ** „გველი“, **(ა)ფსგმ** „თეფზი, ზედმიწევნით: „გველი“+„თეფზი“ (კალკირებულია ქართულიდან).

ამშჳნჳა „ზღვის ღორი“, **ამშჳნ** „ზღვა“, **ჳა** „ღორი“. სიტყვა-სიტყვით: „ზღვის ღორი“ (კალკირებულია ქართულიდან).

აცგზღჯ „წიფლის ფოთოლა“ **აცგ** „წიფელი“+ **(ა)ზღჯ** „ფოთოლი“ ზედმიწევნით: „წიფლის ფოთოლი“.

აუსცა „ცხვრის ტყავი“, სიტყვასიტყვით: **ა-უს+ცა**, „ცხვარი+ტყავი“.

აგუჩამა „გავა“ სიტყვა ორი კომპონენტისაგან უნდა შედგებოდეს, **აგუ+ჩამა**, პირველი კომპონენტი აშკარად „გულია“, მეორის მნიშვნელობა გაუგებარია.

აფლგვღვ „მენჯი, პოჭოკი“, სავარაუდოდ ორკომპონენტიანია, პირველი **ა-ფვ** „წინას“ უნდა ნიშნავდეს, გაუგებარია მეორე ნაწილის მნიშვნელობა.

აფვმაწ „ბარკლის წინა ნაწილი“, სავარაუდოდ ორკომპონენტიანია, პირველი **აფვ** „წინას“ უნდა ნიშნავდეს, გაუგებარია მეორე ნაწილის მნიშვნელობა.

აფვწა „ცხვირი“ სავარაუდოდ ორკომპონენტიანია, პირველი **ა-ფვ** „წინას“ უნდა ნიშნავდეს, გაუგებარია მეორე ნაწილის მნიშვნელობა.

აჳა ქვშ „ღორის დრუნჩი, დინგი“, **აჳა + ქვშ** „ღორი+დრუნჩი“.

აშამხვ „მუხლი“, ძნელია თქმა ორკომპონენტიანია, თუ სამკომპონენტიანი, პირველი ნაწილი უდავოდ „ფეხია“, **მხვ** კი შესაძლოა თავად ორ სეგმენტს შეიცავდეს, **მ+ხვ**, სადაც **მ** ზოგადად კიდურის აღმნიშვნელი შეიძლება იყოს, **ხვ** კი „თავის“ აღმნიშვნელი: სიტყვასიტყვით: „ფეხი კიდური თავი“.

აზზალასა „ცხვრის მეორე გაპარსვის მატყელი“, **აზზა** „ცოცხალი“, **ა-ლასა** „მატყელი“,

ალასახა „ერთი ცხვრის ერთჯერ ნაპარსი მატყელი“, **ა-ლა-სა+ხა** „მატყელი+ ერთთავი“,

ახუც „თმა, ბეწვი ერთი ცალი“, **ა-ხუ+ც** „თმა+ცალის აღმნიშვნელი ც ელემენტი“,

აბჯარ ხაფგც „ეშვი“ ,

აბჯარ „იარალი“ (თურქ.) + **ხაფგც** „იარალი კბილი, ანუ საომარი, საბრძოლო კბილი“,

აშაცა (მრ. ა-შაცა) „ფეხის თითი“, **ა-შა + ცა** „ფეხი+კანი“,

აცლამჰა, აცლემჰა, აცლემჰა „ნიკაპი, ყბა“, **ა-ც+ლამჰა** „ცალი+ყური“,

აჭადე „ნერწყვი“, **აჭა+დე** „პირი+წყალი“,

აკამერშა აცა „ლოკოკინის ნიჟარა“, **აკამერშა** „ლოკოკინა“ + **აცა** „კანი“,

ალაკთა აბჟ., **ალაქთა** ბზიფ. „თვალის ბუდე“, აბაზ. **ლაქთა**

ფუძეში გამოიყოფა თვალის აღმნიშვნელი **ლა** ფუძე + **კ** ელემენტი, რომელიც სავარაუდოდ მომდინარეობს აკათა „ბადე“ სიტყვიდან: *ალა+კათა.

ალაცა//აბლაცა აბაზ. **ლაჩა** // **ლაცა** „ქუთუთო“, **ალა** + **აცა** „კანი, ტყავი“

ა-შამხე აბჟ., **აშამხე** ბზიფ., **შამჰა** აბაზ. „მუხლი“

პ. ჭარაიას აზრით, **ა-შამხე** რთული შედგენილობისაა: **ა-შა** „ფეხი“ და **მხე** ელემენტი – საზიაროა ქართულ **მუხლ** სიტყვასთან (ჭარაია 1912: 52).

ამ ვარაუდს არ ეთანხმება ა. შაგიროვი, რომელიც მიიჩნევს, რომ ეს სიტყვა ამგვარი შედგენილობისაა: **ა-შაჰე** „ფეხი“ სიტყვის **შა** ძირი + **ა-ხე** „თავის“ აღმნიშვნელი ფუძის **ხე** ძირი, ხოლო მათ შორის მდებარე ელემენტი **-მ-** უკავშირება **ა-შაა** „სახელური, ტარი“ სიტყვასო (შაგიროვი 1977 –I: 250).

ახაფგცჟე აბჟ., **ახაფგცჟე** ბზიფ., **ფგცჟე** აბაზ. „ღრმილი“

კომპოზიტია. ნაწარმოებია ორი სახელის ფუძის შეერთებით: **ახაფგც** // **ახაფგც** „კბილი“ + **ა-ჟე** „ხორცი“, ანუ „კბილის ხორცი“.

სამკომპონენტური

1. სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი** (უმეტესად ცხოველის აღმნიშვნელი ლექსემა) + **არსებითი სახელი + მასდარი**

აბეზკათაჰარა „აბლაბუდა, ობობას ქსელი“, სიტყვის პირველი ნაწილი

აბეზ „ენა“, მეორე ნაწილი **აკათა** „ბადა“, **აჰარა** „ქსოვა“.



აშამხე „მუხლი“, **ა-შა+მ+ხე**, ზედმიწევნით: „ფეხი + კიდური + თავი“,

აშაცკვს „ფეხის ნეკი“, **ა-შა+ც⁰+კვს**, სიტყვასიტყვით: „ფეხი + კანი + ნეკი“.



ფუძე შეიცავს ხელის აღმნიშვნელი ფუძის **მა** (/ნა) ძირეულ ელემენტს.

ამახა-შახა „კიდურები“ -კომპოზიტია. ტერმინის შემადგენლობაში **მა** ელემენტი ფეხის აღმნიშვნელი **შა** ძირის ეკვივალენტურია, რაც **მა-ს** „ხელის“, ხოლო **შა-ს** „ფეხის“ აღმნიშვნელად გვაგარაუდებინებს. აბჟ. **ხა** < ბზიფ. **ხე** < აბაზ. **ჟა** ელემენტი საკუთრივ კიდურის აღმნიშვნელი თავდაპირველი ფუძე უნდა ყოფილიყო.



აბაჯლაშა, აბჯლაშა „ძვლის ტვინი“

აბჯ „ძვალი“+ **ლა** ლოკალური პრევერბი, რომელიც აღნიშნავს რაიმეში შიგ მყოფობას + **შა** ელემენტი **ახშაჯ** „ჭკუა“ ლექსემის ნაშთი.

აშაცკვს „ფეხის ნეკი“, **აშა-ც⁰-კვს**

აშაცხებ „ფეხის ცერი“, **აშა-ც⁰-ხებ**

აბნჩაიც ხარ-ირემი“: **აბნ** - „ტყე“, **ჩა-აიც** „ცხენ-ხარი“.

გვცაფშ, გ'გწაფშ „ხონთქარა“, **გ'გ** „გული“ **წ< წა** „ქვეშ“ (ლოკალური პრევერბი), **აფშ < აყაფშ** „წითელი“ ზედმიწევნით: გულ-ქვეშ-წითელა.

აკამგრშაშა „ლოკოკინა“, **აკამგრშაშა** (ბზიფ.), **აკამ < აკან**, (შესადლოა ნასესხები ქართულიდან) **რ-** კაუზატივის მაწარმოებელი აფიქსი, (**ა)შაშა** „ცხიმი, ქონი, საპოხი“ სიტყვასიტყვით: „კანგაქონიანებული“, საზღვრული წინ უძღვის ვითარებითი ზედსართავით გამოხატულ მსაზღვრელს.

აჟ-აბჟარ-ძ „ფერდი, საზარდული“, ამ სიტყვაში უნდა გამოიყოს **აბჟა** „შუა“ ლექსემა, დანარჩენი კომპონენტების სემანტიკა გაუგებარია.

ოთხკომპონენტიანი

აშარგ'აც' „წვივი, კანჭი“, ზედმიწევნით: **აშა+რ+გ'+აც'** „ფეხი+ მესამე პირის მრავლობითობის **რ-** აფიქსი+გული, ამ შემთხვევაში „შუა“ +კანი, „ფეხი მათი შუა კანი“.

აფგრც'ქა „ფაფარი“, **აჩაგ ა-ფგრც'ქა** „ცხენის ფაფარი“, **აჰა ა-ფგრც'ქა** „ღორის ჯაგარი“ **აფგ+რ+ც'+ქა**, ვვარაუდობთ ოთხ სემანტის: პირველი **ა-ფგ** „წინას“ უნდა ნიშნავდეს, **რ-** მრავლობითისა ჩანს, **ც'** „კანის“ აღმნიშვნელი ლექსემაა, **-ქა** ნივთთა კატეგორიის მრავლობითობის ნიშანი უნდა იყოს. ზედმიწევნით: „წინა მათი კანები“.

ახბგვლაშა, ახბავლაშა, ახშეგბავ „ტვინი“, **ა-ხ+ბგვ+ლა+შა, ხ** „თავი“+ **ბგვ** „ძვალი“ +**ლა** ლოკალური პრევერბი, რომელიც აღნიშნავს რაიმეში შიგ მყოფობას + **ახშეგვ** „ჭკუა“ ლექსემის ნაშთი + ში ელემენტი.

ხუთკომპონენტიანი

აც'ეაჟბ'თაქა „სხეულის ნაწილები“, **აც'+ეა+ჟ+ბ'თა+ქა** **ც'** „კანი“ +**ეა** საურთიერთო მიმართების აფიქსი **აჟ > ეა + ჟ** „ხორ-

ცი“ + ხ^{თა} „წილი, ხვედრი“ + ქ^ა ნივთის კატეგორიის მრავლობითობის აფიქსი. სიტყვასიტყვით: „კანი + ურთიერთ + ხორცი + წილი, ხვედრი + ები“.

აშაპსგრგუწა, აშარგუწა, აშარგუწ (ბზ.) „ფეხისგული“ **აშა+სგ+რ+გუ+წა**, ზედმიწევნით: „ფეხის აღმნიშვნელი ძირი+სავარაუდოდ დანიშნულების აფიქსი **სგ** + მესამე პირის მრავლობითობის **რ-** აფიქსი+გულის, (ამ შემთხვევაში) შუას მნიშვნელობის მქონე სიტყვა+ლოკალური პრევერბი, რომელიც ქვეშ მყოფობას აღნიშნავს.

ანაპსგრგ^ეწა აბჟ., **ანარგ^ეწა** ბზიფ., **ნაპსარგ^ეწა** აბაზ. „ხელისგული“

ანაპ+სგ+რ+გ^ე+წა ნაპ „ხელი“ + -ს- დანიშნულების ელემენტი + -რ მე-3 პირის მრავლობითობის აფიქსი + **გ^ე** „გული“ ლექსემა („შუას“ მნიშვნელობით) + **წა** ლოკალური პრევერბი, რომელიც ქვეშ მყოფობას აღნიშნავს.

აშაც^ეკ^არაქ^ა მრ. რ. (მხ.რ. ა-შაც^ა) „ფეხის თითები“, **აშა-ც^ე-კ^ა-რა-ქ^ა**, **შა** „ფეხი“+**ც^ე** „კანი“+**კ^ა** - სიმცირე-სიპატარავის აღმნიშვნელი ელემენტი + **-რა** კრებითი მრავლობითის აფიქსი + **-ქ^ა** ნივთთა კატეგორიის მრავლობითობის აფიქსი.

IX თავი

აფხაზური ენის ფაუნის ლექსიკაში გამოვლენილი
ზმნური და სახელური აფიქსები და აფიქსოიდები

ფაუნის ლექსიკაში თავს იჩენს სხვადასხვა მორფემები, ზმნური და სახელური სიტყვათმანარმოებელი ელემენტები:

ზმნური ელემენტები

გამოიყენება კუთვნილებით ნაცვალსახელთაგან მომდინარე კუთვნილებითი ელემენტები, ე. წ. „ლ“-ს რიგისა:

1. რ- მე-3 პირის მრავლობითობის პრეფიქსი:

აყარმაწვს, ანცა-რ-წვს „ბულბული“ „ღმერთების (მათი) ჩიტი“,

არწგ-რ-ახაც „ჭია“, „წნილი (მათი) ჭია,

აბგა-რ-გმმ „ციცინათელა“, „მგელი (მათი) ბუზი“

აფხაზური ენის გრამატიკული ნორმების გათვალისწინებით უნდა ყოფილიყო: აბგა-ქა-რ-გმმ „მგლები (მათი) ბუზი“. კომპოზიციის დროს კი, მსაზღვრელი სიტყვის ნივთის კლასის მრავლობითობის აღმნიშვნელი -ქა სუფიქსი გაუჩინარებულია და მსაზღვრელის მრავლობითობა მხოლოდ კუთვნილების გამომხატველი -რ პრეფიქსითაა გადმოცემული.

აშაპ-სგ-რ-გუ-წა, აშარ-გუ-წა, აშარ-გუ-წ (ბზ.) „ფეხისგული“ ხუთკომპონენტია: ა-შაპ+სგ+რ+გუ+წა, ზედმიწევნით: „ფეხის აღმნიშვნელი ძირი + (სავარაუდოდ დანიშნულების აფიქსი) სგ + მესამე პირის მრავლობითობის რ- აფიქსი + გუ „გულის“, (ამ შემთხვევაში) „შუას“ მნიშვნელობის მქონე სიტყვა +წა ლოკალური პრევერბი, რომელიც ქვეშ მყოფობას აღნიშნავს.

აშხარან „დედა ფუტკარი“, სიტყვის პირველი ნაწილია იგივე აშხა „ფუტკარი“, მას მოსდევს მრავლობითი რიცხვის კუთვნილების რ- პრეფიქსი და ან „დედა“ ლექსემა. სიტყვასიტყვით: „ფუტკარი (მათი) დედა“; აღსანიშნავია, რომ სიტყვა მხოლოდ რიცხვშია, აფიქსი კი მრავლობითობისა აქვს. ისევე როგორც

(**არწგ-რ-ახაც** „ჭია“, „წნილი (მათი) ჭია, **აბგა-რ-გმმ** „ციცინათელა“, „მგელი (მათი) ბუზი“) შემთხვევაში. სავარაუდოდ, განზოგადებულია მსაზღვრელი სიტყვა.

არწგრახაც „ჭიაყელა“, შდრ. **ახაც, არწგ** „წნილი“, **ახაც** „ჭია“ ზედმიწევნით: **არწგ** „წნილი“ + **-რ** მესამე პირის მრავლობითობის აღმნიშვნელი კუთვნილების პრეფიქსი + **ახაც** „ჭია“, „წნილი(ს) (მათი) ჭია“. მიმართებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი წინ უძღვის საზღვრულს.

2. ზ- სამიმართებო პრეფიქსი:

აშაპგ-ზ-აწ „ვისაც ცალი ფეხი აქვს ის“ **ა-შაპგ-ზ-აწ** „სავათი“ სიტყვასიტყვით: „ფეხი რომელსაც ცალი (ერთი) აქვს. **ზ-** სამიმართებო პრეფიქსია: „ვისაც“.

3. რ- კაუზატივის მაწარმოებელი აფიქსი:

აკამგ-რ-შაშა „ლოკოკინა“, **აკამგრშაშა** (ზზიფ.), **აკამ < აკან**, (შესაძლოა ნასესხები ქართულიდან) **რ-** კაუზატივის მაწარმოებელი აფიქსი, (**ა**)**შაშა** „ცხიმი, ქონი, საპოხი“ სიტყვასიტყვით: „კან-გაქონიანებული“, საზღვრული წინ უძღვის ვითარებითი ზედსართავით გამოხატულ მსაზღვრელს.

სახელური ელემენტები

1. მამრობითობის აღმნიშვნელი ნახევარსუფიქსი -ღ:

ათგ-ღ „ყოჩი“,
აბა-ღ „ვაცი“,
აცა-ღ „კურო“,
აჭაფა-ღ „კერატი“,
არბა-ღ „მამალი“.

2. მამრობითობის აღმნიშვნელი აზ „მამა“ ლექსემა, ან უკვე აფიქსოიდად ქვეული მისი ნაშთი:

აღგ^ა-აბ „ხვადი კატა“: აღგ^ა „კატა“, აბ „მამა“,
 აბლ-აბ „ხარჯიხვი“: აბლა „ჯიხვი“, ბ < ბა „მამა“,
 აბ „ბოტი“,
 აღგ^ა-აბა (ბზ.) აღგ^ა „ხვადი კატა“,
 აბლ-აბ „ხარ-ჯიხვი“,
 აჩა-აბა „მამალი ცხენი“, „ახტა“, „ვაცა“.

3. მდედრობითობის აღმნიშვნელი -ან/-ნა „დედა“ ლექსემა:

აჩა-ან „ფაშატი“,
 აშხარ-ან „დედა ფუტკარი“,
 არცგ-ნა „დედალი“.

4. მდედრობითობის აღმნიშვნელი -ფს ნახევარსუფიქსი:

აღგ^ა-ფს „ძუ კატა“,
 აჩადა-ფს „ჭაკი ვირი“, „ფაშატი“, „ხრდალი“,
 აჟა-ფს „დედალი კურდღელი“,
 აფს-ლაჰ „ნეზვი, დედალი არჩვი“.

5. დიმინუტივის -ს სუფიქსი:

ასგს „ბატკანი“,
 ამგს „თიკანი“,
 აჰგს „ხბო“,
 აღწგს „მოზვერი“,
 აშგშ < აშგს „გოჭი“.

6. სიმცირის, სიწვრილის აღმნიშვნელი -სსა სუფიქსი:

აფსგმსსა „ჭიჭყინა“, -სსა სუფიქსი სიმცირის, სიწვრილის
 გამომხატველია. ზედმიწევნით: „თევზ წვრილი“.
 აკუბრგ სსა „წვრილი ქინქლა“.

7. ზოგადობის -რა სუფიქსი:

აბოუ-რა „ბოსელი“,
 ათგ-რა „სორო, ბუნაგი“

8. დანიშნულების -ტ° სუფიქსი:

აფსაა-ტ° „ფრინველი“,
წაყა-ტ° „ქვეწარმავალი“

9. დანიშნულების -ს>-ზ სუფიქსი:

აშაპ-სგ-რ-გუ-წა, აშარგუწა, აშარგულ (ბზ.) „ფეხისგული“
ხუთკომპონენტანია: აშაპ+სგ+რ+გუ+წა, ზედმიწევნით: „შაპ ფე-
ხის აღმნიშვნელი ძირი +სგ სავარაუდოდ დანიშნულების აფიქსი
+ რ- მესამე პირის მრავლობითობის აფიქსი + გუ გულის, (ამ შე-
მთხვევაში) შუას მნიშვნელობის მქონე სიტყვა + წა ლოკალური
პრევერბი, რომელიც ქვეშ მყოფობას აღნიშნავს.

აძთას „ჭარლი, ალკუნი, ზამთარმჩევი, წყალჩიტა“, რომელ-
შიც აძ < აძე „წყალია“, -თა- ლოკალური პრევერბი, რომელიც რა-
იმეში მყოფობას აღნიშნავს, -ს სუფიქსი კი შეიძლება აწეს „ჩიტი“
სიტყვის ნაშთი იყოს, შესაძლოა გარდაქცევეითობის -ს სუფიქსი.
სიტყვასიტყვით: „წყლად (შიგ) მყოფი (ჩიტი)“.

10. შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი -რთა / -თრა სუფიქსი:

-თრა/-რთა შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქ-
სით ნაწარმოები:

აკუტგ-რთა „საქათმე“

აფზარგლა-რთა „ფრინველის ღამის გასათევი, დასაჯდომი
ადგილი, ფრინველთ საბუდარი“, აფზარგლა „ღამის გათევა“,

აყგზ-თრა „საბატე“,

აკამბაშ-თრა „ბოსელი (კამეჩისა),

ალა-თრა „მაღლის ხუხულა“,

აჟ-თრა „ბოსელი“,

აწეს-თრა „ჩიტის ბუდე“,

ამ-თრა „სარწყილე“,

ალგმჰართე (აბჟ.), ალგმჰართ, (ბზიფ.), „ლაყუჩები“, ზედ-
მიწევნით: ალგმჰა + რთ(ა)ე, ალგმჰა „ყური“, „ყურის ადგილი“ +
რთა (შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსი),

აზ-თრა „ნაღვლის ბუმტი“ **ა-ზ+** შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსი – **თრა** “ზედმიწევნით: „ნაღველის ადგილი“.



ათვკრა „ბუდე“ ლექსემის დართვით ნაწარმოები:

აწეს-თვკრა „ჩიტის ბუდე“

ფრინველთა სადგომის, შემოზღუდული სივრცის აღსანიშნავად ფრინველის აღმნიშვნელ ფუმეს ერთვის **-რთა / -თრა** სუფიქსი: **აწეს-თრა // აწეს-თვკრა** „ჩიტის ბუდე“, **აკვტგ-რთა // აკვტგ-წა-რთა** „საბუდარი“, **აფხარგლა-რთა** „ფრინველის ღამის გასათევი, დასაჯდომი ადგილი, ფრინველთ საბუდარი“, **აფხარგლარა** „ფრინველის დაჯდომა ღამის გასათევად, დაბუდება“. **-რთა / -თრა** სუფიქსი უნდა მომდინარეობდეს **ათრა** „სორო“ ფუმისაგან, რომლის მნიშვნელობაც გაფართოებულა და ამჟამად, ზოგადად, შემოზღუდული სივრცის აღსანიშნავად იხმარება. ამ შემთხვევაშიც კონკრეტული სახელის განზოგადებასა და საგნობრივი მიმართების გადანაცვლებასთან გვაქვს საქმე, როგორც ეს **აწეს** „ჩიტი“ ლექსემის შემთხვევაში იყო. (იხ. ზემოთ, გვ.: 5).

11. შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი **-გ^არა** სუფიქსი: **აჟ^ა - გ^არა** „ძროხის ბაკი“ .

12. შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი **-წარა** სუფიქსი: **აკუტ-წარა** „საქათმი“.

13. შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი **-წართა** სუფიქსი:

ამ შემთხვევაში **-წა** და **-რთა** სუფიქსების გაერთიანებით მიღებული:

აკუტ-წართა „საბუდარი“ (ქათმისა).

14. ფაუნის ლექსიკაში გამოვლენილი ლოკალური ელემენტები:

-წა

აშაპსგრგუ-წა

აშარგუწა, აშარგუწ (ბზ.) „ფეხისგული“ ხუთკომპონენტია-ნია: **აშაპ+სგ+რ+გუ+წა**, ზედმიწევნით: **„აშა“** ფეხის აღმნიშვნელი ძირი + **სგ** სავარაუდოდ დანიშნულების აფიქსი + **რ-** მესამე პირის მრავლობითობის აფიქსი + **გუ** გულის, (ამ შემთხვევაში) შუას მნიშვნელობის მქონე სიტყვა + **წა** ლოკალური პრევერბი, რომელიც ქვეშ მყოფობას აღნიშნავს.

გგცაფშ, გ^ეგ-წ-აფშ „ხონთქარა“, **გ^ეგ** „გული“ **წ < წა** „ქვეშ“ (ლოკალური პრევერბი), **აფშ < აყაფშ** „წითელი“ ზედმიწევნით: **გულ-ქვეშ-წითელა**, (ბზიფ.),

აგუშ-წა „ცხოველთა გულმკერდი“. ლექსემა შედგება ორი კომპონენტისაგან: **ა-გუშ** + **წა**, **ა-გუშ** < **ა-გუშფგ** „გულმკერდი“ + **წა** ლოკალური პრევერბი, რომელიც ქვეშ მყოფობას აღნიშნავს. ზედმიწევნით: „გულმკერდი ქვედა“, მოტივაცია განპირობებული უნდა იყოს ოთხფეხთა გულმკერდის განლაგებით, ადამიანის გულმკერდთან შედარებით.

აჭგ-წა აბჟ., **აჭაწა** ბზიფ. „სასა“ .

ფუძე შედგება **აჭგ** „პირი“ + **წა** „ქვეშ“ ლოკალური პრევერბისაგან.

-შთა

აშთა-ნჭ^ე

ქ. ლომთათიძე ასე შლის ამ სიტყვას: **ა-** (ტაპანთურისათვის არადამახასიათებელი სიტყვათა ნომინაციის დროს) შესაძლოა თავკიდურად მოქცეული **შთა** კომპლექსის ბუნებით იყოს გამოწვეული, თუმცა **შთანჭ^ე** სახეობაც გავრცელებულია.

-**შთა** „კვალი“, „ქვევით“, „ძირს“ ლექსემაა, ამჟამად გაბატონებულია შტა სახეობა, **-ნ** სუფიქსი გამოხატავს ადგილს, ზმნისართული ფუძის მაწარმოებელია.... და მისგან **-წ^ე, ჭ^ე** (< **ტ^ე**) განკუთვნილება, წარმომავლობის სუფიქსის დართვით უნდა იყოს მიღებული **აშთანწ^ე** // **აშთანჭ^ე**, რომელიც უნდა ნიშნავდეს „ძირისა“, „ქვედაური“, ე. ი. „მიწისა“ („მიწიერი“), ასეთ ახსნას სარწმუნოს ხდის ს. ჯანაშიას მიერ აფხაზურში დადასტურებული

გველის ერთ-ერთი ტაბუირებული სახელწოდება **წა-ყატ^გ**, ე. ი. „ქვედა“ (ჯანაშია 1968: 161).

-თა

ამთას

„ჭარლი, ალკუნი, ზამთარმჩეკი, წყალჩიტა“, რომელშიც **ამ** < **ამგ** „წყალია“, **-თა-** ლოკალური პრევერბი, რომელიც რაიმეში მყოფობას აღნიშნავს, **-ს** სუფიქსი კი შეიძლება **აწგს** „ჩიტი“ სიტყვის ნაშთი იყოს, შესაძლოა გარდაქცევითობის **-ს** სუფიქსი. სიტყვასიტყვით: „წყლად (შიგ) მყოფი (ჩიტი)“.

-ლა

ახბგვ-ლა-შა, **ახბავლაშა**, **ახშეგვავ** „ტვინი“, **ახ+ბგვ+ ლა+შა**, **ხ** „თავი“+**ბგვ** „ძვალი“+**ლა** ლოკალური პრევერბი, რომელიც აღნიშნავს რაიმეში შიგ მყოფობას + **-შა** ელემენტი – **ახშეგვ** „ჭკუა“ ლექსემის ნაშთი.

X თავი

ნასესხები ლექსიკა

ქართულიდან ნასესხები უნდა იყოს შემდეგი სახელწოდებები:

აკუკუ „გუგული“,

აჭენჭა „პატარა ჩიტი, რომელიც ღობეში ძვრება“ შდრ.: „ჭინჭრაქა“,

აუარბა „არწივი, ორბი“, შდრ.: „ორბი“,

აუარბაჟ „ძერა“ შდრ.: „ორბი“,

აკაფკაფ „მთის კაკაბი, შურთხი“, შდრ.: „კაკაბი“,

ამალაღურ // ამლაღურ „მოლაღური“,

აშაუარდენ „შევარდენი“,

აზარეი // აზაღერ „ბელურა“,

აყრან „ყვავი“, შდრ.: „ყორანი“,

აგად „გედი“,

აკტე „ქათამი“ შდრ.: კვატა,

აკვკვ „მტრედი“, შდრ.: ხოხოზი,

ატე „ბუ“ შდრ.: „ტოროლა,

აბემზელ „ბუმბული“,

აკალმაპ // აკამლაპ (ბზიფ.) „თევზი“,

აგულშაპ „გველეშაპი“,

აულაგურ // აოლაგურ, ამლაგურ (ბზიფ.), „ორაგული“,

აჟენთხ „ზუთხი“,

აღლამ „ღლავი“,

აკამპელა, აკამპულ, ასეყა (ბზიფ.), „კამბალა“,

ახამსია, ახამსა „ხამსა“, (აბჟ.) აკამშია, ახამსე, (ბზიფ.), „ხამსა“,

აწერედ, აწარედ „წერედი“,

ათოფრა (აბჟ.), „თევზის წყლიდან ამოხტომა, ქვირითის დასაყრელი ადგილისაკენ სწრაფვა“ (შდრ: იმერ. ტოფი)(ბლაჟბა : 1964) და ასევე მეგრ. ტოფი.

აჭაპან „ჭიპი“,

აჭაჭა „თირკმელი“.



რუსულიდან ნასესხებია:
 ა-პოპუგაი „თუთიყუში“ ,
 სეიჰაჩ < უსაჩ „ხამსა“.

დასკვნები

1. აფხაზური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის სოლიდური ნაწილი ცხოველთა (ფაუნის) სახელწოდებებს მოიცავს.

2. ფაუნის ლექსიკა აფხაზურში იყოფა ორ ჯგუფად; ნასესხები სიტყვები და სახელწოდებანი, რომელთა ახსნაც აფხაზური ენის საშუალებითაა შესაძლებელი.

3. ცალკეა გამოსაყოფი ფაუნის ლექსიკის გარკვეული ნაწილი, რომლის წარმოშობაც უკვე დაჩრდილულია.

4. ცხოველთა აფხაზური სახელწოდებანი ორ ჯგუფად იყოფა: სახელწოდებათა ერთი ნაწილის ფუძე მარტივია, ზოგჯერ ერთ მარცვალსაც არ აღემატება; ლექსემათა გარკვეული ნაწილი მიღებულია აფიქსაციით; სახელწოდებათა უფრო დიდი ნაწილი კომპოზიტებს წარმოადგენს.

5. კომპოზიტები, ძირითადად, აფხაზური ენის გრამატიკულ ნორმათა დაცვითაა შედგენილი, თუმცა გვხვდება გამონაკლისებიც.

6. აფხაზური ენის ფაუნის ლექსიკა სტრუქტურულად ასე გამოიყურება:

ორკომპონენტიანი კომპოზიტები:

1. საზღვრულ-მსაზღვრელი

სტრუქტურული მოდელი: არსებითი სახელი (უმეტესად ცხოველის აღმნიშვნელი ლექსემა) + ზედსართავი სახელი (ან

მისი ფუძის ნაშთი)

ა) ს. მ.: არსებითი სახელი + არსებითი სახელი

ბ) ს. მ.: არსებითი სახელის ფუძე + სიწვრლის, სინორჩის შემცველ ცნებათა ფუძის ნაშთები, დიმიწვრის სუფიქსი.

2. მსაზღვრელ-საზღვრული

სტრუქტურული მოდელი: არსებითი სახელი + არსებითი სახელი

ს. მ.: არსებითი სახელი (აბნა „ტყე“ ლექსემა) + არსებითი სახელი (ცხოველის აღმნიშვნელი ლექსემა)

სამკომპონენტური კომპოზიტები:

მსაზღვრელ-მსაზღვრელ-საზღვრული:

ს. მ.: არსებითი სახელი + არსებითი სახელი + არსებითი სახელი

ს. მ.: არსებითი სახელი (ცხოველის სახელწოდება) + ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი + არსებითი სახელი

ოთხკომპონენტური კომპოზიტები:

მსაზღვრელ-მსაზღვრელ-საზღვრულ-მსაზღვრელი

ს. მ.: არსებითი სახელი + არსებითი სახელი + არსებითი სახელი + ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი

ხუთკომპონენტური კომპოზიტები:

ს. მ.: არსებითი სახელი + დანიშნულების პრეფიქსი + არსებითი სახელი + არსებითი სახელი + ლოკალური აფიქსი

7. ფაუნის ლექსიკის სტრუქტურულმა ანალიზმა ცხადყო, რომ კომპოზიციის შედეგად მიღებულ ფაუნის ლექსიკაში უფრო პროდუქტიულია მსაზღვრელ-საზღვრულიანი წარმოება საზღვრულ-მსაზღვრულიანთან შედარებით.

8. ცხოველთა სახელწოდებებში გამოვლინდა სახელური და ზმნური სიტყვათწარმოებითი ელემენტები:

1. სახელური სიტყვათწარმოებითი ელემენტები:

ა) -**ღ** მამრობითი სქესის ცხოველ-ფრივენლთა აღმნიშვნელი აფიქსოიდი

ბ) -**აბაბ** მამრობითობის აღმნიშვნელი აფიქსოიდი

გ) -**ან** მდედრობითობის აღმნიშვნელი აფიქსოიდი

დ) -**ფს** მდედრობითობის აღმნიშვნელი აფიქსოიდი

ე) -**ს** დიმინუტივის აფიქსი

ვ) -**სსა** სიწვრილე/სიპატარავის აფიქსი

ზ) -**რა** კრებითობის სუფიქსი

თ) -**რა** აბსტრაქტულობის სუფიქსი

ი) -**ზც-ს** გარდაქცევითობის აფიქსი

კ) -**ტ** დანიშნულების სუფიქსი

ლ) -**რთა/-თრა** შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსი

მ) -**გარა** შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსი

ნ) -**წარა** შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსი

ო) -**წართა** შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსი

2. ზმნური სიტყვათწარმოებითი ელემენტები:

ა) **რ-** კუთვნილებითი ნაცვალსახელისაგან მომდინარე ელემენტი „**ლ**“-ს რიგისა: III პირის მრავლობითობის (კუთვნილების) გამომხატველი პრეფიქსი.

ბ) **ზ-** სამიმართებო პრეფიქსი

გ) **რ-** კაუზატივის მაწარმოებელი პრეფიქსი

9. კომპოზიტებში გამოვლინდა ლოკალური პრევერბები: -
წა-, -შთა-, -თა-, -ლა-

10. ნაშრომში გაანალიზებულია 400-მდე ლექსიკური ერთეული. მრავლადაა საერთო იბერიულ-კავკასიური ძირის მქონე სიტყვები.

ფაუნის ლექსიკის გარკვეული ნაწილი ნასესხებია უმეტესად ქართველურ ენათაგან.

სიხშირის მიხედვით **ცხოველთა** აღმნიშვნელ სახელწოდებებში პირველ ადგილზე ოდენფუძიანი წარმოებაა, მეორე ადგილზე გარეული ჯიშების აღმნიშვნელი სახელწოდებებია, რომლებიც აზნა „ტყე“ ლექსემას შეიცავს, ბოლო ადგილი ვითარებით ზედსართავ სახელდართულ ფუძეებს უკავია. ასეთებია:

აბგახ გჳგ „მელა“, ზედმიწევნით: მგელი პატარა“,

აბგადგუ „მგელი“, სიტყვასიტყვით: „მგელი დიდი“.

ამ შემთხვევაშიც აფხაზურ ენაში არსებული მოდელი, საზღვრულ-მსაზღვრელის ხმარებისა, დაცულია. ვითარებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს.

აღსანიშნავია აგრეთვე ისეთი შემთხვევები, როდესაც ცხოველთა აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინები ამჟამად არსებით სახელად ქცეული ზმნური ფუძეებია:

ალალა „ირაო საქონელი“ (შდრ. ა-ლა-ლა-რა „რამეში შიგ შესვლა“), აგრეთვე **-ხ** სუფიქსით ნაწარმოები სახელწოდება **ა-შა-რა-ხ** „ნადირი“ (შდრ. ა-შა-რა „ნადირობა“).

ფრინველთა აღმნიშვნელ სახელწოდებებში პირველ ადგილზეა კომპოზიტები, მეორეზე ოდენფუძიანი წარმოება, მამრობითი და მდედრობითი სქესის მორფოლოგიური ასახვა ფრინველთა სახელებში არ არის სისტემური.

უმდაბლესი ხერხემლიანების აღმნიშვნელი სახელწოდებანი აფხაზური ენის ფაუნის ლექსიკაში გამოირჩევა თავისი მცი-

რერიცხოვნობით. **თევზების** აღმნიშვნელი სახელები ძირითადად ნასესხობებს წარმოადგენს. **ქვეწარმავალთა** და **ამფიბიების** სახელები კი ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის საკუთრება ჩანს. ამას ადასტურებს აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა ბგერათმესატყვისობანიც, და ამ სახელთა აგებულებაც, რომელშიც აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი გრამატიკულ-ლექსიკური თავისებურებანი გამოსჭვივის.

ნაწლავდრუიანთა ლექსიკა გაუფორმებელი ფუძით ან კომპოზიციითაა მიღებული.

კომპოზიტები მსაზღვრელ-საზღვრულს წარმოადგენს, მიმართებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი წინ უძღვის საზღვრულს. ვითარებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი კი მოსდევს საზღვრულს. ნაწლავდრუიანთა აღმნიშვნელი სახელწოდებანი აფხაზური ენის ფაუნის ლექსიკაში გამოირჩევა თავისი მცირერიცხოვნობით.

მწერთა აფხაზური სახელწოდებანი სტრუქტურულად არის: ოდენფუძიანი, აფიქსიანი, კომპოზიციით მიღებული, ორ და მეტკომპონენტისანი. ზემოთ განხილული, კომპოზიციის გზით შედგენილი სახელწოდებები, აფხაზური ენის გრამატიკულ ნორმათა დაცვითაა ნაწარმოები: საზღვრული წინ უსწრებს მსაზღვრელს.

ცხოველთა და ფრინველთა სახელწოდებებისაგან განსხვავებით, მწერთა სახელწოდებებში მოტივაცია ნაკლებად შეინიშნება. ლექსიკური ფონდის ეს უბანი ოდენფუძიანი სახელწოდებების სიმრავლითაც გამოირჩევა.

სომატურ ლექსიკაში უძველესი ჩანს მცირე რაოდენობით წარმოდგენილი, ოდენფუძიანი სიტყვები.

ცოტაა ნასესხები მასალაც. მრავლადაა კომპოზიციით მიღებული ლექსემები.

ხმიანობის აღმნიშვნელი ლექსიკა ძირითადად ხმაბაძვითი, რედუპლიკაციის შედეგად მიღებულ სიტყვებს შეიცავს.

Nana Machavariani

THE VOCABULARY OF FAUNA IN ABKHAZIAN (Semantic-Structural Analysis)

Summary

Short contents of the work

The aim of the paper is to present the Abkhazian vocabulary of fauna as completely as possible; Determination of the motivation of the words related to fauna, systematization of the denominations from the semantic-structural point of view; As a result, revealing the inner meaning of the Abkhazian language; Separation of the borrowed part of the vocabulary from the words created on the basis of the Abkhazian language.

Analyzing the structural models of forming the vocabulary related to fauna one by one, separating different parts of speech or morphemes in them; Revealing words with obscure semantics; And etymological analysis of some names related to fauna.

The vocabulary of fauna in Abkhazian is generally divided into two groups: loanwords and denominations that are explained by means of the Abkhazian language.

The Abkhazian denominations of fauna can also be divided into two groups: the base of one part of the names is simple, sometimes it does not exceed one syllable; the larger part of the names are compounds or they are obtained through affixation.

Obviously, the compounds are formed mainly in compliance with the grammatical norms of the Abkhazian language, although there are some exceptions.

The paper analyzes the structure of compounds and discusses all possible cases of composition that occur in the vocabulary of fauna.

In the introduction, the author discusses the general issues of linguistics, the problems of motivation of words, and the opinions about these issues in the scientific literature.

General issues of lexicology and semasiology, the problem of the interrelation between words and concepts, the role of metaphorization in the creation of the vocabulary of fauna are discussed in the paper.

In the introductory part, the basic types of word formation of nouns in the Abkhazian-Adyghe languages and the general structural features of compound nouns are also discussed.

The so-called “syntactic blocks” containing the head word-a modifier, a modifier-the head word, a modifier-a modifier-the head word, and a modifier-a modifier-a modifier-the head word, on the basis of which a large part of the vocabulary of fauna is formed are discussed in detail.

The review of the scientific literature on the vocabulary related to fauna is also presented.

In the main part of the work, in each chapter, borrowed vocabulary, words with obscure semantics are distinguished, a part of the vocabulary the etymology of which can be explained through Abkhazian or any other language is discussed.

The work includes a number of attempts of etymological search of various words.

Chapter I

1. Animal Names

From the semantic point of view, the vocabulary of animals can be divided into the names of domestic and wild, female and male, and baby animals.

From the structural point of view, different models are distinguished in the vocabulary of animals.

1. Animal names are presented by an unaffixed base:

až° "cow",

ac° "buffalo",

ažma "goat".

2. Animal names take the semi-suffix **-γ** denoting male animals and birds:

atəγ "ram",

abay "billy goat",

ac°ay "bull".

It is important to mention that the element **-γ** is also added to the lexeme **ak°tay** "egg".

3. The semi-suffix **-ab** is also used to denote the masculine gender of animals. The original meaning of this suffix is "father":

ab "buckling",

ac°g°aba (Bzip) **ac°g°ab** "tomcat",

abyab "male wild goat",

4. The semi-suffix **-ps** is added to the names of animals to denote the feminine gender:

acg°aps "female cat/queen",

ač•adaps "mare",

ažaps "female rabbit/doe".

Apslah° "female chamois" – in this case **-ps** appears as a prefix.

6. To express the feminine gender, the semi-suffix **-an** is also used, the original meaning of which is "mother":

ač•an "mare"

7. The diminutive suffix **-s** is added to the names of baby animals:

asəs "lamb",

ažəs "baby goat/kid",

ah°əs "calf".

In the plural, the diminutive suffix **-s** is replaced by the suffix **-r(a)**.

asəs “lamb”, **asara** “lambs”,
ah°əs “calf”, **ah°ara** “calves”.

8. The lexeme **abna** “forest” is added to the base of animal names to denote wildness:

abnac° “stag”,
abənh°a “boar”,
abnč°ac° “stag”.

This word **-abna** “forest” appears to be in the role of a modifier and stands in front of the head word. In Abkhazian, a modifier expressed by a relative adjective precedes the head word.

9. In order to express an enclosed area or a barn for animals, the suffix **-rta** /**-tra** is added to the base denoting an animal:

až°-tra “barn”,
ah°əs-tra “calf hutches”.

We think that this suffix is derived from the base **atra** “burrow”, the meaning of which has expanded and now it is generally used to denote an enclosed area.

10. The plurality of animals is expressed by the suffix **-k°a** of the category of irrational beings:

ač°-k°a “horses”, **až°-k°a** “cows” or by the collective suffix **-ra**. It is also possible to add the suffixes **-ra** and **-k°a** at the same time: **asa-ra-k°a** “lambs”, **ah°a-ra-k°a** “calves”. In such cases, we think that the function of the preceding suffix **-ra** is obscured and the plural suffix **-k°a** of the category of irrational beings is added to the base again.

2. Horse Related Vocabulary

In the main lexical fund of the Abkhazian language, the vocabulary related to the horse is distinguished by its abundance and variety.

In the Caucasian culture, in particular, in the North Caucasian one, this animal has had a special role since time immemorial

as an effective means of transportation, and as an integral part of the mountain dwellers.

From the semantic point of view, the vocabulary related to the horse can be divided into different names depending on the feminine and masculine gender, age and color of the horse.

From the structural point of view, different models are distinguished in the vocabulary related to the horse: base words or words formed through affixation and composition; Borrowed lexemes need to be discussed separately.

აჭა is a general name for "horse".

აჭაბა 1. "stallion"; 2. "colt"

The semi-suffix **-ab** is used to denote the masculine gender. The original meaning of this suffix is "father". **აჭა+aba** literally means "horse father".

აჭან "mare/jenny (horse, donkey, etc.)"

The semi-suffix **-an** is used to express the feminine gender. The original meaning is "mother": **აჭა+an** literally means "horse mother".

აჭაჭას "foal", **აჭა+ჭას** literally means "horse bird".

3. Horse Harness

აკადარ "saddle",

აკადარ ამახა "candle",

აყამაჩა "whip".

Chapter II

Bird Names

From the semantic point of view, the vocabulary of birds can be divided into names of domestic and wild, female and male birds, and their babies.

The vocabulary related to their sleeping places, body parts, vocalization and diseases, which provides a lot of interesting details for studying the names of birds and in general, considering the ethnological-cultural aspects of the linguistic unity should be discussed separately.

In the vocabulary of birds at our disposal, different models are distinguished from a structural point of view:

The names of birds are presented by an unaffixed base:

აგაზ "goose",

აჟა "crane",

აკ⁰ჭ "chicken".

Most of the names of birds are formed through composition:

ამს⁰ანგაზ "swan", in which **ამს⁰ან** means "sea", and **(ა)გაზ** means "goose", literally: "sea goose".

აწ⁰აყ⁰აწ "tomtit", in which **აწ⁰ა** means "fat", and **(ა)ყ⁰აწ** means "thief", literally: "thief of fat".

აჯ⁰ა "heron": **აჯ⁰** supposedly means "water", and **ა⁰ა** means "skin", literally: "water skin".

To express the names of babies, the diminutive suffix **-s** is added to the base, which is derived from the lexeme **აჟას** "bird" in K. Lomtadze's opinion.

In the plural, the diminutive suffix **-s** is replaced by the collective suffix **-r(a)**: **აჟას** "bird", **აჟა-რა** "birds".

The lexeme **აბნა / აბან** "forest" is added to the base to denote the wildness of birds: **აბან⁰ჭ⁰** "pheasant", in which **აბან** is "forest" and **აკ⁰ჭ** is "chicken", literally: "forest chicken".

The plurality of birds is expressed by the collective suffix **-ra**: **ak̄č̄a-ra** "chicks", etc. or by the plural suffix **-k̄a** of the irrational beings: **aq̄əz-k̄a** "geese".

To express the vocalization of birds, the imitative words are used:

ač̄ərč̄ər-ra "tweeting", etc. cf.: Geo. *çikçiki*

We think that the following names are borrowed from Georgian:

ak̄uk̄u "cuckoo",

ač̄ənča "a small bird that crawls through the fence" cf.: Geo. *çinçraka*,

auarba "eagle", cf.: Geo. *orbi*.

Chapter III

Names of Lower Vertebrates

The names of the lower vertebrates included in the main vocabulary of the Abkhazian language can be divided into semantic groups of reptiles, fishes and amphibians.

In the vocabulary of the lower vertebrates at our disposal, different models are distinguished in terms of the structure: the names of the lower vertebrates are presented by an unaffixed base, or they are formed through affixation or composition.

1. Names of Reptiles

ajnc̄əš̄ // **aonç̄əš̄** "lizard",

amat "snake",

ašt̄anç̄ə - K. Lomtadze dedicated a special study to its etymology (Lomtadze 1980),

ak̄uwa "turtle" is borrowed from Georgian.

2. Names of Fishes

apsəz "fish",

alaxə "sheatfish", literally: "forehead",

atrəs "herring" (Bzip),

Some of the names of the lower vertebrates are formed through affixation:

apsəzssa "sprat", the suffix **-ssa** expresses smallness, thinness, literally: "fish tiny".

Borrowed from Georgian:

aḵalmah // **aḵamlah** (Bzip) "fish",

agulšap "dragon",

aulagur // **aolagur**, **amlag**ər (Bzip) "salmon".

3. Names of Amphibians

aday

adaž "toad", in this lexeme the meaning of the element **-ž** can be "old", i.e., literally: "frog old",

ačay*raday "tree frog", **ačazra** "harvest", (a)day "frog", literally: "harvest frog".

Chapter IV

Names of Coelenterates

In the main lexical fund of the Abkhazian language, the small group of the names of coelenterates is distinguished:

ayuerçk "rainworm",

abčə "dung beetle, mole cricket",

arçəraxac "rainworm", cf.: **ax**ac, **arç**ə "pickles", **ax**ac "worm", literally: **arç**ə "pickles" + the third person plural possessive prefix **-r** + **ax**ac "worm", "a worm of pickles". A modifier expressed by a relative adjective precedes the head word.

Chapter V

Names of Insects

From the semantic point of view, the vocabulary of insects can be divided into the names of flying and crawling insects, useful, or aesthetically pleasing and harmful insects.

Different models are distinguished structurally in the vocabulary of insects.

Flying insects that are useful for humans:

ašxa "bee", a number of words are derived from this base in Abkhazian:

ašxəc "one bee", the suffix **-c** denotes "a piece";

ašxar "worker bee", the element **-r** can be a remnant of the word **ar** "army" in this lexeme, i.e., "soldier bee",

aqanč/aqanč-x'ac "silkworm": **ax'ac** means "worm". This word seems borrowed in Abkhazian, cf.: Georgian *qačis čia*, the second part of the lexeme is even calqued. **aqančzaara** "sericulture", **azaara** "raising", i.e., "raising silkworms". Sericulture is a relatively new field for Abkhazians, as evidenced by the fact that the word denoting silkworm is borrowed in Abkhazian.

Flying insects that are aesthetically pleasing to humans:

aparpaləḵ/aparpaləḵ'/axəčpəpər (Bzip) "butterfly", cf.: Georgian *parpali/parpali*.

Chapter VI

Somatic Vocabulary

The somatic vocabulary of fauna in Abkhazian is presented with the semantic-structural diversity typical of this language. It includes base words and words formed through affixation and composition. The borrowed vocabulary needs to be discussed separately.

Unaffixed words:

az “bile”,

აჭა “mouth”,

amg°a, Abaza **mg°a** “stomach”.

Words formed through **composition** may include two, three, four and more than four components:

Two-component words:

amax°ar, Bzip **amax°ča/amax°čə** “arm”, literally: **ama+x°ar** “hand+bent”,

auasc°a “sheepskin”, literally: **auas+c°a**, “ship+skin”.

Three-component words:

ašamxə “knee”, **a-ša+m+xə**, literally: “leg limb head”,

ašac°ḳəs “pinky toe”, **aša+c°+ḳəs**, literally: “leg skin pinky toe”.

The base contains the basic element **ma** (/na) of the base word denoting a hand.

amaxa-šaxa “limbs” is a compound word. The element **ma** in the term is equivalent to the root **ša** denoting a leg, which suggests that **ma** means “hand” and **ša** means “leg”. The element Abz. **xa** < Bzip **xə** < Abaza **ša** may have been the original base denoting a limb.

Four-component words:

ašarg°ac° “shin”, literally: **aša+r+g°+ac°** “leg + the third person plural affix **r-** + heart (in this case “the middle”) + skin, “leg their middle skin”.

apərc°k°a “mane”, **აჭა apərc°k°a** “horse mane”, **ah°a apərc°k°a** “pig bristles”, in **apə+r+c°+k°a**, we assume four segments: the first **a-pə** means “front”, **r-** can be of a plural form, **c°** is the lexeme that denotes skin, **-k°a** can be a plural marker of the category of irrational beings, literally: “front their skins”.

Five-component words:

ac°ejžx°tak°a “body parts”, literally: **a-c°+ej+ž+x°ta+k°a** “skin and flesh parts”.

ašapsərguça, ašarguça, ašarguç (Bzip) “sole”: **a-ša+sə+r+gu+ça**, literally: “the root denoting a leg + the probable affix of function **sə** + the third person plural affix **r-** + the word denoting a heart (in this case denoting the middle) + the local preverb that denotes being under something.

Words formed through affixation:

aztra “gallbladder”, **a-z** + the suffix **tra** denoting an enclosed space, literally: “the place of bile”.

Words that seem to be reduplicated:

aq°aq°a “back”,

apçaçar “cowlick”,

ay°ay° “membrane”.

**Borrowed words:**

açapan “navel”,

açaça “kidney”,

abəmbəl “feather”.

Chapter VII**Vocalization and Homes**

The Abkhazian vocabulary denoting the vocalization and homes of fauna is interesting.

Just like in other languages, in Abkhazian words expressing **vocalization** are imitative.

They are as follows:

açərçərta “tweeting”, **içərçərwejt, içərçərjt** “It is tweeting; It tweeted”.

aqəʒra “chirping”, **iqəʒwejt**, **iqəʒjt** “It is chirping; It chirped”.

ayurra 1. “purring”, **iyurwejt**, **iyurit** “It is purring; It purred”, snorting (It is snorting; It snorted), grunting (It is grunting; It grunted), **acgu yurwejt** “The cat is purring” 2. “squealing” (It is squealing; It squealed); **ah^oa yurwejt** “The pig is squealing”.

aḵakara “cackling”, **ikakojt**, **ikakejt** “It is cackling; It cackled”; **aḵuṭə ḵakojt** “The chicken is cackling”, **zaqa iḵakaz aqara imcazac** (And.) “It didn’t lay as many eggs as it cackled”.

Words formed through affixation are used to denote animal homes:

Words with the suffix **-ra** of generality:

abou-ra “cowshed”,

atəy*-ra “burrow, lair”.

Words formed with the suffix **-tra/-rta** denoting an enclosed area:

aḵuṭə-rta “chicken coop”,

apx^oarəla-rta “A sleeping place for birds, a sitting place, a bird nest”, **apx^oarəla** “spending the night”,

ajəz-tra “goose coop”,

aḵambaš-tra “buffalo shed”,

Words formed with the suffix **-g^oara** denoting an enclosed area:

až^o-g^oara “paddock for cows”.

Words formed with the suffix **-çara** denoting an enclosed area:

aḵuṭ-çara “chicken coop”.

